

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დანახვებულა-საარქივო სამმართველო

SUB-DEPARTMENT OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC
GOVERNMENT – ARCHIVES ADMINISTRATION

ISSN 2298-0776

აჭარის დედანამოზლოსთან დაბრუნების 135 წლისთავისადმი
მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო
(ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)

III

კონფერენციის მასალები

International science conference dedicated to 135th anniversary

of returning Ajara to motherland

SOUTH-WEST GEORGIA
(HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY)

CONFERENCE MATERIALS



გამომცემლობა „თბილისალი“
თბილისი 2013 Tbilisi

სარედაქციო საბჭო:

გურამ სალაძე –სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე;

თამაზ ფუტკარაძე – რედაქტორი;

თენგიზ ცინცილაძე (ბათუმი, საქართველო), თენგიზ სალუქვაძე (ბათუმი, საქართველო), ჯაბა ბერიძე (ბათუმი, საქართველო), ელგუჯა გოგიბერიძე (ბათუმი, საქართველო), ელგუჯა ჩაგანავა (ბათუმი, საქართველო), ნატო ქიქავა (ბათუმი, საქართველო), მარიანა პისკოვა (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი), გრიგოლ ალაიანი (ერევანი, სომხეთი), კრისტინა პოპოვა (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი), მაკა ალბაგაჩიევა (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი), თამილა ლომთათიძე (ბათუმი, საქართველო), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი, საქართველო), ფრიდონ ქარდავა (ბათუმი, საქართველო), ქეთევან იაკობაძე (ბათუმი, საქართველო).

Editorial Board:

Guram Saladze –chairman of editorial board;

Tamaz Putkaradze –editor;

Tengiz Tsintskiladze (Batumi, Georgia), Tengiz Salukvadze (Batumi, Georgia), Jaba Beridze (Batumi, Georgia), Elguja Gogiberidze (Batumi, Georgia), Elguja Chaganava (Batumi, Georgia), Nato kikava (Batumi, Georgia), Mariana Piskova (Blagoevgrad, Bulgaria), Grigol Aganyan (Yerevan, Armenia), Kristina Popova (Blagoevgrad, Bulgaria), Makka Albagachieva (St. Petersburg, Russia), Tamila Lomtadze (Batumi, Georgia), Merab Kezevadze (Kutaisi, Georgia), Fridon Kardava (Batumi Georgia), Ketevan Iakobadze (Batumi, Georgia).

სარედაქციო საბჭო შეიძლება ყოველთვის არ ეთანხმებოდეს ავტორთა მოსაზრებებს. ავტორთა სტილი დაცულია.

Editorial board may not always agree with authors opinions.

Authors style is retained.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და ქართველები

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველი ერის ისტორიაში. ქართველებს იმედი მიეცათ, რომ აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამჯერად მაინც დაუბრუნდებოდა დედასამშობლოს. აჭარის, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ „ოსმალის საქართველოს“ საკითხისადმი ქართული საზოგადოება განსაკუთრებით დაინტერესდა XIX ს-ის 60-იან წლებში.

ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ კავშირი აღედგინათ თურქების მიერ დაპყრობით ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველებთან.

რუსეთ-თურქეთის ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს: დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, მამია გურიელმა, ივანე კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა.

ივანე კერესელიძე შეხვდა და ესაუბრა აჭარაში პოპულარულ პიროვნებას, აჭარელთა თავკაცს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს. სწორედ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ საქართველოში დაიწყო სახალხო ლაშქრის შედგენა. სულ ომის პერიოდში სახალხო ლაშქარში შევიდა 38 ათასზე მეტი კაცი.

აჭარელი პატრიოტები ემზადებოდნენ არსებული ხელისუფლების დამხობისა და საქართველოსთან შეერთებისათვის. მზადდებოდა აჯანყება, რომელსაც შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობდა. ჯერ კიდევ ადრე ქობულეთის აჯანყების შესახებ ს. მესხი, ე. მელიქიშვილს თბილისიდან საზღვარგარეთ წერდა: „ქობულეთში ოსმალის ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს – აი, იქნება გაწყრეს ღმერთი და რამე გამოვიდეს – ძალიან სანატრელია, რომ ოსმალთა დაანოკონ – იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომლებიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი) ჩვენ შემოგვიერთონ, ბლომად ვიქნებით, კარგია ყოველ შემთხვევაში“ (სერგეი მესხი, 1980:190). ომი ორ ფრონტზე მიმდინარეობდა: ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ამიერკავკასიაში. რუსეთი, რომელმაც მარცხი იწვნია ყირიმის ომში, მომზადებული შეხვდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველების მონაწილეობა ამ ომში, რომლებიც ორივე ფრონტზე წარმატებებს აღწევდნენ.

ჯარების მთავარსარდლებად დაინიშნენ მეფის ბიძაშვილები: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბალკანეთში, ხოლო მიხეილ ნიკოლოზის ძე კავკასიაში.

კავკასიაში ბრძოლის მეორე დამხმარე ასპარეზს შეადგენდა ზღვისპირეთი. ე.წ. რიონის მხარე. აქ ჯარების მეთაური იყო გენერალ-ლეიტენანტი ოკლობ-

ყო, რომლის განკარგულებაში იყო 51600 კაცი და 20 ქვემეხი. ამ ჯარებიდან უშუალოდ საბრძოლველად გამოეყო ე.წ. „ოზურგეთის რაზმი“ (25 ათასი მეტრძო-ლი 2 ბატარეით). შემდგომ „ქობულეთის რაზმად“ წოდებული. მას თვით ოკლობ-ყო მეთაურობდა. შტაბის უფროსად კი პოლკოვნიკი გ. ყაზბეგი დაინიშნა.

კავკასიის არმიის დანარჩენი ნაწილი განლაგებული იყო მთელ კავკასიაში. მცირერიცხოვანი გარნიზონები იდგნენ ფოთში, სოხუმში, ქუთაისში და შავიზ-ღვისპირეთის ქალაქებსა და სიმაგრეებში. იგი იცვლებოდა ომის დაწყებამდე და საბოლოოდ შემდეგი სახით დამტკიცდა:

1. შეტევის განვითარება ბათუმის, არტაანის, ყარსის და ბაიაზეთის მიმარ-თულებით.

2. არ დაეშვათ ოსმალეთის დესანტის გადასხმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და შემოჭრა ამიერკავკასიაში.

3. არ დაეშვათ აჯანყება ჩრდილო კავკასიაში.

ომის დასაწყისშივე დაზუსტდა ომის გეგმა და მთელი სიმძიმე ქობულეთის რაზმს დაანვა, ამიტომ იგი გააძლიერეს. ენერგიულად ემზადებოდა ომისათვის თურქეთიც. ამ ომს ოსმალეთში სამკვდრო-სასიცოცხლო მოვლენად მიიჩნე-დნენ.

შიპკის უღელტეხილზე ბრძოლებში უდიდესი გმირობა გამოიჩინა არტი-ლერიის მე-3 ბრიგადის თავადმა ივანე ონისიმეს ძე ვაჩნაძემ (მეგრელიძე შ., 1974:66).

ასევე თავი გამოიჩინეს: არტილერისტმა ვასო მაყაშვილმა, პორუჩიკმა აბულაძემ, პროპორშჩიკმა შენგელიძემ და სხვებმა.

შიპკის ბრძოლებში მონაწილეობდა და განსაკუთრებით თავი ისახელა ფლიგელ-ადიუტანტმა, გენერალ-მაიორმა ნ. მინგრელსკიმ (დადიანი). მან დაიმ-სახურა წმინდა ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენი და ოქროს ხმალი წარწე-რით „მამაცობისათვის“. გარდა ამისა მის მკერდს ამშვენებს წმინდა გიორგის ორი ორდენი.

ომის გამოცხადების პირველ დღესვე 24 აპრილს გაჩაღდა ბრძოლა მეორე ასპარეზზე. კავკასიაში მოქმედი კორპუსის ძირითადმა ძალებმა გენერალ-მაი-ორ ლორის მელიქოვის მეთაურობით მდ. არფაჩაი გადალახეს. აქ ავანგარდში მოქმედებდა გენერალ-მაიორი ზ.ჭავჭავაძის კავალერია. 5 დღიანი ბრძოლის შემდეგ იგი ყარსის მახლობლად აღმოჩნდა.

7 მაისს მაიორ იოსელიანის ცხენოსანი დივიზია, რომელსაც იუნკერი ნაკა-შიძე მეთაურობდა მდინარე მტკვარზე გადავიდა. ამ ბრძოლებში დაატყვევეს ქალაქის კომენდატის შვილი ინჟინერი მაჰმედ ტატლი ოღლი. დააჯილდოვეს ნა-კაშიძე და 20 მოხალისე. 17 მაისს დაიწყო ბრძოლა არტაანისათვის. მის მთავარ სიმაგრეს გიულივერდის სიმაღლეები და ფორტი ემირ-ოღლი შეადგენდა. ამ გა-

მაგრებული ადგილების დაკავება თავად მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბს დაევალა. ამირეჯიბმა ბრწყინვალედ განახორციელა მასზე დაკისრებული მოვალეობა. ამისათვის მან დაიმსახურა წმ.გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი. ბრძოლებში თავი ისახელეს ბატარეის მეთაურმა მუსხელიშვილმა. პირველი აიჭრა მტრის სიმაგრეებზე ი. მიქელაძის ასეული. 8 საათიანი ბრძოლის შემდეგ არტაანი კავკასიის მეზობლთა ხელში იყო.

არტაანის ალების შემდეგ ახალციხის რაზმი დაიშალა. არტაანის ალება ეს იყო მიმდინარე ომში კავკასიისა და საერთოდ რუსეთის არმიის პირველი გამარჯვება. ამიტომ მას უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

17 მაისს ყარსთან ორი არმიის საკავალერიო ძლიერი ბრძოლა მოხდა. გენერალ ჭავჭავაძის კავალერიამ მტერს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა გენერალი ჩოლოყაშვილი. 11 მაისს იგი გარდაიცვალა.

ყარსთან ბრძოლაში თავი ისახელეს დალესტნის ცხენოსან მე-2 რეგულარული პოლკის შტაბის – კაპიტანმა იოსელიანმა, 133-ე ქვეითი არმიის პოლკის კაპიტანმა ჩიჩუამ, 56-ე ელიზავეტპოლის პოლკის მაიორმა მაცაშვილმა და სხვა მრავალმა.

დრამ-დაგასთან გაჩაღებულ ბრძოლაში მთავარი გმირი იყო გენერალი ამილახვარი. ბრძოლის წინ მან ამანათი მიიღო საქართველოდან, რომელშიც შავი დროშა იყო და რომლითაც იგი ჩოლოქთან იბრძოდა ოფიცრის ჩინით. ეს დროშა მას გაუგზავნა ჩოლოქის ქართული დრუჟინის მეთაურის ჯანდიერის შვილმა.

ბრძოლის წინ ამილახვარი, მიუთითებდა რა დროშაზე, მეზობლებს მიმართავდა: „ბიჭებო! ეს დროშა შეჩვეულია მონინააღმდეგეზე გამარჯვებას, მის ჩრდილქვეშ 1854 წლის 4 ივლისს ჩვენ სახელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ ჩოლოქზე, ღმერთი გვიშველის დღევანდელ დღესაც” (მეგრელიძე შ., 1974:70-71).

ამილახვარის მეთაურობით 1877 წლის 4 ივლისს დრამდაგასთან განადგურებული იქნა თურქეთის არმია. სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა ზივინთან. აქ თავი ისახელა გენერალ ჭავჭავაძის კავალერიამ. თბილისის მე-15 პოლკის შტაბს-კაპიტანმა ორბელიანმა, კაპიტანმა მაჭავარიანმა, პოლკოვნიკმა ჩოლოყაშვილმა, ვაჩნაძემ და სხვებმა.

დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა მუსტაფა-ფაშა, რომელიც გზადაგზა ანადგურებდა და სპობდა ქრისტიანებით დასახლებულ სოფლებს. იგი არ ინდობდა ბავშვებს და მოხუცებს.

კავკასიის ბრძოლის პირველი პერიოდი მოქმედი კორპუსის მარცხნივ ზივინთან და საზღვრებთან უკან დახევით დამთავრდა. შერიფ-ბეგი აქტიურად უწყობდა ხელს გამარჯვების მოპოვებას. შერიფი დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის სარდლობისაგან, რომ მას დაეჩქარებინა აჭარის ალება: „17 იანვარს შე-

რიფ-ბეგის დაჟინებით არმიის შტაბის უფროსმა უბრძანა პოლკოვნიკ ტრეიტერს კავშირი გაეხსნა გენერალ კომაროვსა და შერიფ-ბეგთან და პირადი წინამძღოლობით შავი ზღვის ფლოტელთა ორივე ბატალიონი დაედრა დღევანდელ, შემდეგ კი აჭარისაკენ” (Толикеев, материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг. Т. 4:389).

დიდი ბრძოლები გაიმართა მდ. ჩოლოქზე. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები იყო მუხანესტატესა და ხუცუბნისათვის. სწორედ ამ ბრძოლებში ისახელა თავი დანიბეგაშვილის რაზმმა, რომელმაც იერიშით აიღო ხუცუბნის ყორღანი, რომელსაც მეზობლებმა დანიბეგაშვილს ყორღანი შეარქვეს.

რუსეთის მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. გაზეთი „დროება“ იტყობინებოდა, რომ: „შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნისათვის ყოველ ას გლეხზე ორი გლეხი უნდა წასულიყო ლაშქარში, მსურველი კი ათჯერ მეტი აღმოჩნდა. განსაკუთრებული ხალისით მიდიოდნენ ლაშქარში გურულები” (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V. 1970:441).

განსაკუთრებით გამოირჩეოდა გურიის ლაშქარი შტაბს კაპიტან გურიელის მეთაურობით. ოზურგეთის რაზმს ქობულეთის რაზმი ეწოდა. აქვე იბრძოდა პირველი და მეორე ქართული დრუჟინა.

განსაკუთრებული დღე იყო 25 აპრილი, როცა ქობულეთის რაზმი ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. კაპიტან მაყაშვილს დაევალა სიმაღლის აღება და თან დროში უნდა აღემართა. ბრძოლის ველზე დაეცა 16 მამაცი ლიხაურელი. კაპიტან მაყაშვილს მე-4 ხარისხის ორდენი უბოძეს წარწერით „მამაცობისათვის“ ხოლო შემდგომ იგი რუმინეთის მეფემ დააჯილდოვა „რუმინეთის ვარსკვლავის ორდენით“.

ქობულეთის რაზმი მხოლოდ ივლისის დასაწყისში მივიდა ციხისძირის სიმაგრემდე, რომლის გადალახვა ვერცერთ ომში ვერ შეძლო რუსეთის არმიამ.

რუსეთის ჯარების მიერ ბათუმისა და მისი მიდამოების დაკავების შესახებ კალენდარული გეგმა ყოფილა შედგენილი ასეთი განრიგით: ქობულეთი, სამება, კვირიკე – 17 აგვისტოს, ციხისძირი-21 აგვისტოს, ჩაქვი – 24 აგვისტოს, ართვინი, ბორჩხა და აჭარა – 23 აგვისტოს. ქალაქი ბათუმი – 25 აგვისტოს (ახვლედიანი ხ.ა., 1956:134).

ბათუმისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მტკიცედ ადგა აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.V. 1970:447).

ომის დაწყებისთანავე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აფხაზეთში. აფხაზეთის მოსახლეობამ შექმნა ე.წ. „სამურზაყანოს მილიცია“ და აქტიურად იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ, თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში თავი ისა-

ხელეს სამურზაყანოს ასეულიდან ბათა ემუხვარმა, თავადებმა აღმასხან და ჩი-
გო მარშანიებმა.

თურქებმა ხელთ იგდეს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია და მოსახლეობის
ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ აამხედრეს, ხოლო კავკასიის მთებში აჯანყება
მძვინვარებდა.

ძალიან ბევრი ქართველი მონაწილეობდა პლევნის ბლოკადაში. თავი ისა-
ხელა ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეთისკი (ბაგრატიონმა) რომელიც
ერთადერთი იყო დუნაის მთელ არმიაში, რომელიც პლევნის იერიშის წინააღ-
მდეგი იყო. მე-9 დივიზიას ხელმძღვანელობდა ლაშქარაშვილი, მარცხენა ფლან-
გზე განლაგებულ ჯარებს მეთაურობდა გენერალი მანველაშვილი. თავი გამოი-
ჩინეს გენერალ-ლეიტენანტმა შანშიაშვილმა, კორნეტ სუმბათაშვილმა, რომელ-
მაც დაიმსახურა ორდენი „რუმინეთის ვარსკვლავი“.

აღსანიშნავია იმპერატორ ალექსანდრე მე-2-ის დუნაის არმიაში 1877-1878
წწ. ყოფნის დღიურები. გადმოცემულია 28-29 ნოემბრის მოვლენები, თუ როგორ
განიცდის და ნერვიულობს იმპერატორი პლევნასთან დროებით წარუმატებლო-
ბებზე. ნახსენებია გენერალი ლაშქარევი, რომელსაც თურმე ცხენი მოუკლეს
შეტევისას („სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეო-
პოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“ 2009: 173).

განსაკუთრებით ისახელა თავი ლაზარევის რაზმში ყირიმის ომის გმირმა
პოლკოვნიკმა ქავთარაძემ, მისმა გამარჯვებამ საშუალება მისცა ლაზარევეს მთე-
ლი ძალებით გაეშალა შეტევა. მას წმინდა გიორგის მე-3 ხარისხის ორდენი უბოძეს.

ბრძოლის მე-3 ეტაპზე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამირეჯიბის ცხე-
ნოსანთა ნაწილებმა, მისმა შეტევამ აიძულა თურქები ბანაკი დაეტოვებინათ
მთელი თავისი სიმდიდრით (46 ქვემეხი). გამარჯვების მთავარი გმირი ამირეჯი-
ბი დაჯილდოებული იქნა წმინდა გიორგის მე-3 ხარისხის ორდენით, ხოლო 8 ნო-
ემბერს მას გენერალ-მაიორობა უბოძეს.

18 ნოემბერს გენერალ-ლეიტენანტმა ლაზარევემა ყარსი აიღო ღამის
ბრძოლებით. ეს იყო სანიმუშო მაგალითი, რომლის მსგავსი სუვოროვის მიერ
იზმაილის აღების შემდეგ სამხედრო ხელოვნების ისტორიას არ ახსოვს.

ყარსის ბრძოლებში თავი ისახელეს პორუჩიკმა აბაშიძემ, ბაგრატიონ-
მუხრანელმა, პოლკოვნიკმა ქავთარაძემ და სხვებმა. არზრუმის ბლოკადის
დროს თავი გამოიჩინა ამირეჯიბმა, რომელსაც სტანისლავის I ხარისხის ორდე-
ნი ხმლით უბოძეს.

1878 წლის 31 იანვარს დროებითი ზავი დაიდო ქ. ანდრიანოპოლში. 8
მარტს გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება. სწორედ ამ ზავით
რუსეთს აზიაში ეძლეოდა არტაანი, ყარსი, ბათუმი და ბაიაზეთი, მათ ირგვლივ
მდებარე ტერიტორიები სოღანლუდის მთებამდე.

ამ ზავით უკმაყოფილო ინგლისი ემზადებოდა იმისათვის, რომ ამიერკავკასია მოეწყვიტა რუსეთისათვის. აგრესორთა გეგმებში განსაკუთრებული ადგილი ენიჭებოდა სამხრეთ-საქართველოს, რომელშიც სამი საუკუნის განმავლობაში თურქებმა ისლამი დანერგეს. სან-სტეფანოს ზავი მიუღებელი აღმოჩნდა ინგლისისათვის. ამიტომ 1878 წ. 18-30 მაისს ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ინგლის-რუსეთს შორის. ამ შეთანხმების თანახმად რუსეთი გარკვეულ დამოებზე წავიდა, თუმცა ინგლისი ცნობდა რუსეთს მიეღო ბათუმი, ყარსი და მისი მიმდებარე ტერიტორიები.

1878 წლის 13 ივლისს ბერლინის კონგრესის მუშაობაში ევროპის სახელმწიფოების 20 წარმომადგენელი მონაწილეობდა. სულ ჩატარდა 13 სხდომა, განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა ბათუმის რუსეთთან შეერთების საკითხთან დაკავშირებით.

1878 წლის 30 მაისის შეთანხმებას ინგლის-რუსეთს შორის დიდი ხმაური მოყვა. თურქეთს უნდოდა დაებრუნებინა არზრუმი და ქ. ბაიაზეთი. ამ მდგომარეობის გამოყენებით რუსეთმა შეძლო ბათუმის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაეჭრა, მაგრამ იგი აიძულეს ქალაქი პორტო-ფრანკოდ გამოეცხადებინა.

ბერლინის კონგრესის გადანყვეტილებით, თურქეთი ვალდებულებას იღებდა ბათუმი რუსეთისათვის გადაეცა, თუმცა თურქები ბათუმის გადაცემას აფერხებდნენ, რათა მეტი სიმდიდრე გაეტანათ აჭარიდან.

1878 წლის 25 აგვისტო – ქართველი ხალხის საზეიმო დღეა, 31 აგვისტოს ოსმალთა უკანასკნელმა ნაწილებმა დერვიშ-ფაშას მეთაურობით ბათუმი დატოვეს.

ქალაქის მოსახლეობა განმათავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა და მის უფროსს პურმარილი მიართვა. იმ დღესვე შევიდა ბათუმის ნავსადგურში რუსეთის ფლოტიც, ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის ნაციონალურმა დროშამ და ქვემეხთა არაერთმა სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში, რომ ეს მხარე დედა-სამშობლოს საქართველოს დაუბრუნდა” (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V. 1970:452).

რუსეთის მიერ ბათუმის დაკავება და არზრუმის თურქებისადმი გადაცემა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის უკანასკნელი აქტი იყო.

ილია ჭავჭავაძემ ქართველ ხალხს მოუწოდა დახმარების ხელი გაეწოდებინა ახლად განთავისუფლებული და ომით დაზარალებული მაჰმადიანი ქართველებისათვის. “აბა ქართველობავ - წერდა დიდი მოღვაწე. ეხლა შენ იცი როგორ დაანახვებ თავს შენს ახალ შემოერთებულ ძმებს! ეხლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამაპაპათა ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო” („ივერია” 1879 წ. 9).

ყარსისა და ბათუმის ოლქიდან გასახლებულთა რიცხვი დაახლოებით 140 ათას კაცს შეადგენდა. 1877-1878 წლების კამპანიას დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც არის, რომ ინტერესი ამ მოვლენისადმი დღესაც ასე დიდია.

საინტერესოა, რომ აჭარაში შესულ მეზობლებს გენერალ ოკლობჟიო მოუწოდებდა, რომ არ დაერღვიათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და პატივისცემით მოპყრობოდნენ ხალხს: „დაე გახსოვდეთ, რომ თქვენ წინ გადაშლილია მინდვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლისათვის ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას და საერთო მტერს ებრძვისო“ (მეგრელიძე შ., 1963:116, 125).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ახვლედიანი ხ., „სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში,“ ბათ., 1956 წ;
2. მესხი ს., „წერილები“, 1980 წ., სოხუმი;
3. მეგრელიძე შ., „საქართველო აღმოსავლეთის ომებში“, თბ., 1974;
4. Толикеев, материалы для описании русско- турецкой войны 1877-1878 гг. Т. 4.
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V. თბ., 1970 წ;
6. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათ., 2009 წ;
7. “ივერია,” 1879 წ. 9.

Otar Gogolishvili

1877-1878 years Russia-Turkey war and Georgians

Summary

1877-1878 years Russia-Turkey war holds a special place in Georgian nation's history. In this article is reviewed main issues of Georgian society's attitude connected with Ajara („Ottoman Georgia“) and participation of Georgians in Russia-Turkey war.

ნიკოლოზ ჩიქოვანი
რუსეთ - თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი

XIX საუკუნის დამდეგიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთი ირანისა და ოსმალეთის მთავარი მეტოქე გახდა კავკასიაზე ბატონობისათვის ბრძოლაში, გაჩნდა შესაძლებლობა ერთმორწმუნე რუსეთის მხარდაჭერით საუკუნეების წინ დაკარგული საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნებისა. ამ პროცესის გვირგვინად იქცა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი, რომლითაც ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ ომამდე შექმნილი სათავისო სტრატეგიული გეგმის ხორცშესხმას ელოდა. გეგმის არსი ნათლად აქვს გადმოცემული ნ. ნიკოლაძეს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში - „საქართველო - ომი თუ იქნა“. „ჩვენს ქვეყანას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოეღოს აღმოსავლეთის ომში. საქართველოთი რუსეთი პირდაპირ შედის ოსმალეთში... საქართველოს კი, ეხლა მაინც დიდი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ინგლისის თვალში (“დროება”, 1877, 3 აპრილი, №36, გვ.3). მოსალოდნელ ომში ქართველთა დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძის პოზიცია გამოკვეთილი იყო: „ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარს საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს... ნუ დავიმაღვით სოროში. ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს დაანახებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია“ (“დროება”, №36, 3. აპრილი, 1877). ქართველი საზოგადოება მიიჩნევდა, რომ ომს „შედეგად მოჰყვება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლება“ (ივერია” №8, 23 აპრილი, 1877).

რუსეთის ხელისუფლება კარგად ხვდებოდა, რომ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა სამხედრო ოპერაციების მსვლელობისას ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების პოზიციას, მით უფრო მხარდაჭერას. ცარიზმი ძალას არ იშურებდა მათი კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად, მით უფრო, რომ სულთნის პროპაგანდა მიზანმიმართულად ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული განწყობილების გაძლიერებას. კავკასიის მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილი, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალიც იყო, ასე მიმართავდა აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობას: “აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნო!...

ჩვენმა კეთილისმყოფელმა და კაცთმოყვარე ხელმწიფემ ამოიღო ხმალი არა იმისათვის, რომ დაჰსჩაგროს მშვიდობისმოყვარე მცხოვრებნი... იგი გზავნის ჯარს ჩაგრულთა დასაფარველად და მჩაგვრელთა შესაკავებლად. ხელმწიფესა სურს დაიცვას სიმართლე და პატივი... რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გვაშოროს ერთმანეთის მტრობა-სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ჩვენ ძმებთან. ჰოი, ძენო კეთილშობილის ქართველის ტომისა-ნო, ძმანო ყოველთვის ერთგულთა და საყვარელთა ქვეშევრდომთა რუსის იმპერატორისათა” (ივერია” №8, 23 აპრილი, 1877). სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ არ დაეკარგა ეროვნული ცნობიერება. სწორედ ამის შედეგი იყო რომ “რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878 წ.წ.) ომის დროს აჭარა მტკიცედ დადგა განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე” (საქართველოს ისტორია, 1984:45). ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ მაინც ვერ გააქრო სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში ეროვნული მთლიანობის შეგნება. დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით შეხვდა მაჰმადიან ქართველთა დიდი ნაწილი.

მოსახლეობის ასეთ განწყობილებას გამოხატავდა გულო კაიკაციშვილი, რომელიც ქობულეთში შემოსული განმათავისუფლებელი არმიის მეგრძოლებზე მიმართვისას, 1878 წლის 19 აგვისტოს აღნიშნავდა: “ჩვენო ქართველებო, ჩვენო ძმებო, ნათესავებო და ბიძაშვილებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი, რომ ჩემმა თვალებმა დღეს თქვენ, ჩვენი ძველი ძმები... აქ, ქობულეთში დაგინახათ. ვმადლობ ღმერთსა და პატივს ვცემ მის განგებას, რომ ჩვენი და თქვენი ნატვრა შესრულდა, ღმერთმა შეგვაერთა... თქვენც ჩვენის დაახლოებით გაიხარებდით და მერე ჩვენის ასეთი შეერთებით და ამ ერთიანობის სიყვარულით აღდგება და გაძლიერდება საქართველო, როგორც იყო იგი თამარის დროს. მაშ, გაუმარჯოს ჩვენს შეერთებას” (სურგულაძე ა., 1978:304. ციტირებულია ჯემალ კარალიძის სტატიიდან - კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში“, ბათ. 2009).

ომში აქტიურად მონაწილეობდა როგორც რუსეთის რეგულარულ არმიაში მომსახურე ქართველი ოფიცრობა, ასევე ქართული მილიციის ნაწილები. იმ ათეულობით ქართველ ოფიცერს შორის, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ომის კავკასიის ფრონტზე, გამოირჩეოდა იმჟამად პოდპოლკოვნიკი, შემდეგში გენერალ-მაიორი ნიკოლოზ მერაბის ძე ჩიქოვანი. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული მისი ნამსახურების სია საშუალებას გვაძლევს სრულად წარმოვადგინოთ მისი ღვაწლი ამ ომში, რომელიც იმპერიის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი - წმინდა დიდმონაშემ და ძღვევაშემოსილი გიორგის მე-4

ხარისხის ორდენით აღინიშნა. დაჯილდოების სიგელში იმპერატორი ალექსანდრე მეორე წერდა:

„1877 წლის ომის დროს თავდაცვითი პოზიციის დაკავებისას სოფ. ხალფალუსთან თქვენ თვეზე მეტი დროის განმავლობაში იგერიებდით ძალებით მნიშვნელოვნად აღმატებული მტრის მრავალრიცხოვან შემოტევას და 15 აგვისტოს ბრძოლის დროს გეჭირათ თქვენი ბატალიონით იგივე პოზიცია. იზმაილ-ფაშას კორპუსის დიდმა ნაწილმა იერიში მოიტანა რა თქვენზე, მამაცურად მოიგერიეთ ყველა შემოტევა, დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ კი პირადად უხელმძღვანელებთ რა იერიშს, გადადით ენერგიულ შეტევაზე და უკან დაახევინეთ მოწინააღმდეგეს საშინელი უწესრიგობით, რითაც გადამწყვეტით კიდევ მათზე სრული გამარჯვება.

აღნიშნული გმირობებისთვის ჯილდოდ, ხელმძღვანელობის წარდგენით და სამხედრო ორდენის კავალერთა დუმის დამონმებით უმოწყალესად გიბოძეთ ჩვენ თქვენ 1878 წლის 23 დეკემბერის კაპიტულისადმი ბრძანებით კავალერობა წმინდა დიდმონამე და ძღვევაშემოსილი გიორგის მე-4 ხარისხის ჩვენი საიმპერატორო ორდენისა“ (ქ.ც.ა. ფ.1 საქ. 4548, ფურ. 83).

ნიკოლოზ მერაბის ძე ჩიქოვანი დაიბადა 1833 წლის 23 მაისს სამეგრელოს სოფელ სუხჩაში, თავადის ოჯახში. იყო მართლმადიდებლური სარწმუნოების, აღიზარდა კერძო საწავლო დაწესებულებაში, სამსახური დაიწყო თბილისის ეგერთა, შემდგომში გრენადერთა - მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, დიდი თავადის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის პოლკში.

1851 წლის 23 მაისიდან მივლინებულ იქნა სასწავლო ბატალიონში საფრონტო სამსახურის წესის შესასწავლად. 1852 წლის 3 ივნისს უნტერ-ოფიცრის ჩინით გადაყვანილია ერევნის კარაბინერთა პოლკში, 1852 წლის 14 აგვისტოს მივლინებულ იქნა მე-6 სარეზერვო ბატალიონთან საბრძოლო გამოცდისა და ოფიცრის ჩინის მისანიჭებლად - 1853 წლის 15 ოქტომბერს.

1854 წლის 20 იანვარს მთიელ ხალხებთან ბრძოლაში წარჩინებისთვის მიენიჭა პროპორშჩიკობა.

1852 წლის 6 დეკემბერს გადაყვანილია ჯერ დალესტნის ქვეითი პოლკის სარეზერვო ბატალიონში, შემდეგ მე-20 ქვეითი დივიზიის სარეზერვო ბრიგადაში, აქედან კი 21-ე სარეზერვო ბრიგადაში 1857 წლის 1 აპრილს. 1858 წლის 1 აგვისტოს ებოძა პოდპორუჩიკობა, 1859 წლის 1 თებერვალს დაინიშნა როტის უფროსად და 1859 წ. 9 თებერვალს მიენიჭა პორუჩიკის წოდება. შტაბს კაპიტანია 1863 წლის 25 თებერვლიდან.

ყუბანის ოლქის რაზმების გადაადგილებისას (არმიის მთავარსარდლის, დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის პირადი ხელმძღვანელობით) გამოჩენილი წარჩინებისთვის 1863 წლიას 4 მაისს დაჯილდოვდა წმ. ანას მე-4 ხარისხის

ორდენით, წარწერით „მამაცობისთვის“, ხოლო 1864 წლის 27 მაისს მიენიჭა კაპიტნის წოდება. 1863 წლის 15 ივლისიდან იგი იმ ბატალიონის როტის უფროსია, რომელიც 1864 წლის 1 იანვრიდან ფორმირებულია 150-ე ქვეითთა ტამანის პოლკად. 1864 წლის სექტემბერში წარჩინებული სამსახურისთვის დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით, ხოლო მთიელთა წინააღმდეგ გამოჩენილი სიმამაცისთვის 1866 წლის 31 მაისს დაჯილდოვდა წმ. ვლადიმირის მესამე (1886 წლის 6 მაისი) და მე-4 ხარისხის ორდენით, ხმლითა და ბაფთით. სხვადასხვა დროს იგი დაჯილდოვებული იყო აგრეთვე: წმ. ანნას მე-2 ხარისხის მახვილებიანი ორდენით (1878 წლის 9 აპრილს), ოქროს ხმლით - წარწერით „სიმამაცისთვის“ (1878 წლის 9 ივლისს), წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით, წმ. სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით. ფლობდა ოქროს ხმალს, წარწერით „სიმამაცისთვის“. ნიკოლოზ ჩიქოვანი დაჯილდოვებული იყო აგრეთვე: 1853 -1856 წლის წლების ომის სამახსოვრო ბრინჯაოს, 1877-1878 წლების ომის სამახსოვრო ბრინჯაოს მედლებითა და და ჯვრით კავკასიაში სამსახურისთვის.

1869 წლის 3 მაისიდან იგი ბატალიონის მეთაურია. 1865 წლის 25 დეკემბერს იგი დაინიშნა მსროლელთა უფროსად. ამ თანამდებობაზე დამტკიცდა 1871 წლის 5 აპრილს. 1875 წ. 14 მაისიდან ნიკოლოზ ჩიქოვანი დაინიშნა ბატალიონის მეთაურად. 1870 წლის 11 ოქტომბრს მას მიენიჭა მაიორის სამხედრო წოდება. 1877 წლის 22 დეკემბერს თერგის ოლქში აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებებისათვის მიენიჭა პოდპოლკოვნიკის, მოგვიანებით კი პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1890 წლის 12 მარტიდან იგი გენერალ-მაიორია. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა პოლკის მეთაურის (1880 – 1884 წწ), გუარის ქვეითი დრუჟინის მეთაურის (დაინიშნა 1884 წლის 14 თებერვალს), კავკასიის მე-3 მსროლელთა ადგილობრივი დრუჟინის მეთაურის (დაინიშნა 1887 წლის 15 ნოემბერს), აბასთუმნის სამხედრო ჰოსპიტალის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის (დაინიშნა 1880 წ. 20 ივნისს) თანამდებობებზე.

განსაკუთრებული თავდადებითა და წარმატებით იბრძოდა ნიკოლოზ მერაბის ძე ჩიქოვანი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. იგი მონაწილეობდა შემდეგ საბრძოლო ოპერაციებში:

სოფელ ალიკაზაკ სა და სოფელ ხალფალუსთან 1877 წლის 24 ივლისის ბრძოლებში (ერევნის რაზმთან ერთად);

1877 წლის 8 აგვისტოს - იგდირთან ბრძოლაში;

12 აგვისტოს - პოლკოვნიკ სამოილოვთან ერთად იგდირთან და აბას გალეს უღელტეხილზე მიმდინარე ბრძოლაში;

15 აგვისტოს - პოლკოვნიკ სამოილოვის მიერ თურქების შემოტევის მოგერიებაში სოფელ ხალფალუს და ჩარუხჩისთან;

8 სექტემბერს - სოფელ ხალფალუსა და ჩარუხჩისთან ბრძოლაში;
15 სექტემბერს - გენერალ-ლეიტენანტ ტერგუკასოვის მიერ იხირის პოზი-
ციაზე იზმაილ ფაშას თურქული არმიის შეტევის მოგერიებაში;
6 ოქტომბერს - მოათთან თურქების რაზმის განდევნაში;
16 დან 17 ოქტომბერს - ღამით გენერალ-ლეიტენანტ გეიმანის და ტერგუ-
კასოვის რაზმების ბრძოლაში გასანკალესთან.
23 ოქტომბერს - გენერალ-ლეიტენანტ გეიმანის და ტერგუკასოვის მიერ
დევი-ბოინუს პოზიციაზე თურქების დამარცხებაში.
27-დან 28 ოქტომბრის ღამეს - იმავე რაზმების გადაადგილებაში ერზრუმზე;
1878 წლის 29 მარტიდან -დან 1 აპრილამდე - პოლკის გადაადგილებაში არდაგა-
ნის რაზმთან მისაერთებლად ამავე რაზმის გაუქმებამდე (1878 წლის 25 ოქტომ-
ბერს).

ნიკოლოზ მერაბის ძე ჩიქოვანს ცოლად ჰყავდა თავად გიორგი მაჭუტაძის
ქალი ელისაბედი. ჰყავდა ქალიშვილი ელენე (დაბადებული 1885 წლის 9
მარტს).

ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს, 1864 წლის 11 ივნისს, ნიკოლოზ
ჩიქოვანი მტრის ტყვიით მარცხენა ხელში დაიჭრა. ტყვიამ დააზიანა ხელის მა-
მოდრავებელი, თითების მომხრელი კუნთები. ჭრილობა განიკურნა ორი თვის
განმავლობაში, დატოვა ვერცხლის 20 კაპიკიანის ზომის ორი ნანიბური. შედე-
გად - იდაყვში ხელის მოხრის შეუძლებლობა, დროთა განმავლობაში ხელის კუნ-
თების ატროფია, ძლიერი ტკივილები, რასაც დაემატა ჯანმრთელობის საერთო
მძიმე მდგომარეობა, გამოხატული სხეულის დასუსტებაში, მარცხენა მხრის
ძლიერი ტკივილი, უძილობა და ღამის გაძლიერებული ოფლიანობა. ჩიქოვანი
იყო დაჭრილთა შესახებ კომიტეტის (მე-2 კლასის) მფარველობის ქვეშ.

ნიკოლოზ ჩიქოვანი 1890 წლის 12 მარტს გათავისუფლდა სამხედრო სამსა-
ხურიდან ავადმყოფობის გამო, თუმცა მას მიეცა მუნდირის ტარების უფლება,
დაენიშნა პენსია სახელმწიფო 860 მანეთის ოდენობით (წელიწადში) და ემერი-
ტუსის პირველი კლასის მე-5 თანრიგით - 1129 მან. ოდენობით წელიწადში (პენ-
სია დანიშნული იყო სამსახურში ხელახლა შესვლამდე). ჩიქოვანი ღებულობდა
პენსიას აგრეთვე ალექსანდრეს კომიტეტისგან დაჭრილებისთვის (245 მან.
ოდენობით წელიწადში) და წმ. გიორგის საზოგადოების კაპიტალისგან (360
მან. წელიწადში).

ნიკოლოზ მერაბის ძე ჩიქოვანი გარდაიცვალა 1892 წლის 6 ივნისს. დაკ-
რძალულია ქუთაისში, წმ. პეტრე და პავლეს საკათედრო ტაძარში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. დოლიძე ლ., გენერალ სიმუსი, მარშლები, ადმირლები, ჩვენი თანამემამულენი. თბილისი, 2000წ.
2. გაზეთი: „დროება“, 1877, 3 აპრილი, №36,
3. „ივერია“ 23 აპრილი, 1877წ. №8,
4. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი № 1, საქ. № 4548.

Inga Eliava

Nikoloz Chikovani 1877-1878 years Russia-Turkey war hero

Summary

On the second half of XIX century with support of Russia Empire emerged ability of returning of centuries ago lost Georgia's historical territories. In this article is presented and analyzed one of the hero's of 1877-1878 years Russia-Turkey war - Nikoloz Chikovani martial-military life reflected unique archival data.

Первый художественный фильм о Русско-турецкой войне 1877-1878 г.

/на основе болгарских архивов/

Разработка проводится в рамках проекта „MemoryROW“ - 7 рамочная программа „Мария Кюри»

До национализации болгарской кинематографии в 1948 г. в Болгарии создано всего 3 фильма касающихся периода османского владения. Все они связаны с годовщинами освобождения. Первый из них это документальный фильм «50 лет освобождения Плевна». Создан не только в связи с годовщиной Русско-турецкой войны, но и с 1000 –летием управления царя Симеона 893-927 г. «Золотой век». Фильм хранится в Болгарской национальной фильмотеке. В 1933 г. пионер болгарского кино Васил Гендов стал автором и первого звукового фильма – драма «Бунт рабов», который тоже касается темы освобождения. И не в последнюю очередь в 1946 г. режиссер Борис Борозанов создал «Следы огня» - первый художественный фильм, который воссоздавал события Апрельского восстания в 1876 г.

В период после национализации болгарской кинематографии в 1948 г. до конца 1989 г. созданы всего 518 художественных фильмов. В более 20 из них действие происходит во время османского владения и касаются освободительной борьбы. Непосредственно связаны с Русско-турецкой войной 1877-1878 г. только «Герои Шипки» /1954 г./ и «Путь к Софии» /1979 г./ 5-серийный телевизионный художественный фильм о ходе Русско-турецкой войны. Для сравнения можно указать, что про средневековье имеется только 11 фильмов, а преобладающая часть исторических фильмов связаны с антифашистской борьбы.

Художественный фильм „Герои Шипки“ создан в 1954 г. как первая совместная продукция Болгарской кинематографии и Киностудий «Ленфильма». Номинирован на Золотую пальмовую ветвь на кинофестивале в Канн в 1955 г. Сценарист фильма - Аркадий Первенцев - писатель, журналист, драматург и публицист, депутат ВС РСФСР. Его творчество определяют как социалистический реализм, а после 60-ых гг. оценивают как «отпечаток культа личности Сталина».

Режиссер фильма выдающийся Сергей Васильев. Из всех его восьми фильмов, шесть созданы вместе с его творческим «братом» Георгием Васильевым /за исключением «Герои Шипки» и последнего фильма Сергея Василева «В дни Октября»/. Самую большую славу ему принес фильм «Чапаев» /1934 г./, а за «Герои Шипки» получил приз лучший режиссер Каннского фестиваля 1955 г.

Сюжет фильма „Герои Шипки“ - Русско-турецкая война 1877-1878 г., но только на Балканском фронте. Фильм задуман и сделан как исторический, военный, с преобладанием батальных сцен, без фабулы, а драматургическая линия построена на основе боевых сцен. Акцент поставлен на освободительный характер войны и на ее роль в укреплении дружбы между русскими солдатами и болгарскими ополченцами, между русским и болгарским народом. Русский царь, аристократия представлены в иронических красках.

В Центральном государственном архиве в Болгарии сохраняются архивные документы, отражающие процесс создания фильма, которые сосредоточены преимущественно в архивном фонде **№404 Студия художественных фильмов**. Целью настоящего исследования является наиболее общая характеристика этих документов, при помощи которых возможно проследить официальную политику фильмирования Русско-турецкой войны 1877-1878 г. в начале 50-ых гг. прошлого века. С другой стороны архивные документы раскрывают некоторые неизвестные обстоятельства в связи с фильмом.

Студия художественных фильмов создана после национализации болгарской кинематографии в 1948 г. в силу Закона о кинематографии (Държавен вестник.” бр. 78 от 5 април 1948). Целью ее является производство художественных фильмов, но к ней относились и мультипликационные фильмы, а также дублирование фильмов. Деятельность студии отражается в более 800 единиц хранения, которые поступили в Центральном государственном архиве с 1965 по 1996 г. Самый ранний документ с 1950 г., а самый поздний с 1991 г. Среди них находятся и следующие 4 единицы хранения, в которых сосредоточены компактно документы о художественном фильме «Герои Шипки».

- Первое и второе досье фильма „Герои Шипки“ /всего 249 л./;
- Режиссерский сценарий „Освобождение Болгарии от турецкого ига“, перевод Атанаса Далчева- /176 л./;
- Переписка и отчет в связи с фильмом «Герои Шипки», протоколы художественного совета, приказы об изучении советского опыта - / 211 л./;
- Общие приказы, 1953 г. - / 153 л./

Вне круга настоящего исследования остается анализ документов, которые отлагаются в фондах других институциях как например: Комитет кинематографии, Министерство народного просвещения, Болгарская национальная фильмотека, поскольку в них не имеется компактных массивов, а только отдельные письма, приказы и др. документы о фильме «Герои Шипки». Оригиналы или копия этих документов чаще всего находятся и в рассматриваемом архивном фонде.

Наиболее общий обзор указанных единиц хранения в Студии художественных фильмов показывает, что все документы о продукции «Герои Шипки» составлены на болгарском языке и что их авторами являются преимущественно болгарские институции. В целом документы охватывают весь процесс создания фильма. Видовой состав документов довольно разнообразный – корреспонденция; планы; финансовые отчеты; приказы по личному составу; общие приказы; доклады; докладные записки. Среди документов есть и черновики и подлинники /с подписями и печатями/ и копии, есть машинописные и рукописные экземпляры, а также таблицы, схемы. Особое внимание заслуживают специфические документы, среди которых на наш взгляд нужно отметить режиссерский сценарий фильма; монтажный лист дубляжа; оперативно- производственные планы летних, осенних, зимних съемок; монтажно-технические ведомости.

Что вскрывают и раскрывают документы?

В Болгарии фильм задуман как средство квалификации всех и особенно технических лиц в кинематографии. Первое письменное предложение в этом направлении болгарские кинодеятели сделали еще в 1945 г. во время командировки в Москве руководителя фондации «Болгарское дело» Страшимир Рашев. В 1948 г. оно снова включено в документах партийно-правительственной делегации, прибывшей в Москву для подписания Договора о сотрудничестве и взаимной помощи между НРБ и СССР¹: *«У нас нет средних технических и творческих кадров в кино. Наше предложение договорить одну-две совместных продукции со советской кинематографии. Они будут как школа для всех наших кадров. По нашему мнению Освободительная война 1877-1878 г. является наиболее благодатной и благодарной для обеих стран».* В ходе разговоров со советскими кинематографистами в качестве основной задачей определялось создание болгарского национального искусства.

В ответ Михаил Калатозовили /зам.министра Кинопроизводства СССР/ задает вопрос: *«А как вам кажется возможность создать болгарское национальное киноискусство под руководством русского режиссера? При том из самых выдающихся.»*

Поэтому можно обобщить, что в Советском союзе будущий фильм о Русско-турецкой войне рассматривается как возможность поставить начало болгарского национального кинематографического искусства с помощью выдающегося советского режиссера.

¹ 18 марта 1848 г.

Тема фильма

На основе архивных документов можно утверждать, что тема фильма воспринимается как благодатная и благодарная для обеих стран. Для советских политиков и идеологов - она является наиболее подходящей и с точки зрения утверждения мифа о двойных освободителях /русские войска в 1877-1878 г. и советская армия в сентябре 1944 г. /.

И болгарская и советская точки зрения совпадают: что этот фильм о дружбе и братстве между двумя народами; что война вел русский народ как освободительная для братского, славянского, христианского болгарского народа, что герои Шипки –это герои народа и близкие к народу командиры.

Болгаро-советская или советско-болгарская продукция?

Официальный бланк документов, составленных в марте 1953 г., обозначает продукцию как «Болгаро-советская», а после того до конца 1954 г. как «Советско-болгарская» продукция «Герои Шипки». Удостоверяющая печать продукции – с начала и до самого конца «Болгаро-советская продукция «Герои Шипки». По всей вероятности пришлось отступить «первенство» на бланке в пользу советской продукции, но так как печать не изменился на самом деле получился результат вполне неприемлемый с точки зрения правила документирования и в тоже время показательный с политической точки зрения.

Архивные документы свидетельствуют, что финансирование продукции болгарское (ЦДА, ф.404, оп. 1, а.е.10. л.41, 156; оп.2, а.е.2, л.107) и восходить на 15 718 864, 96 лв., а фильмовая пленка – советская. Съёмки в большей части проводились в Болгарии, где сняты 3 721 полезных метров, а в Ленинград /сегодня Санкт Петербург/– всего 460 п.м.

Советский акцент виден в архивных документах. Советское имеет решающее значение в совместной продукции, несмотря на то, что преобладающие внешние признаки свидетельствуют о паритетности: советский директор продукции –И. Поворотов – болгарский директор продукции Ал. Христов; советский консультант историк и полк. П.В.Фортунагов – болгарский консультант историк майор Б.Чолпанов; советский композитор Н. Н.Крюков – болгарский композитор Филип Кутев...

Документы иллюстрируют наличие внутренних иерархий в ходе создания фильма. В начале февраля 1954 г. один из режиссеров Янко Янков отправляет письменный запрос болгарскому директору продукции почему не был допущен на первом показе фильма, состоявшийся 27 янв.1954 г. В ответ с 9.02. ему сообщают:

«Советский директор продукции Поворотов сообщил болгарскому директору продукции Ал. Христову, что по поручению председателя Болгарской

Кинематографии допущено присутствовать на показ фильма кроме членов Художественного совета, художник-постановки, главный оператор и директор produkcji. Поэтому не присутствовали режиссеры Боголюбов, Харитонов, Апсолон(ЦДА, ф.404, 1, а.е. 10, л.171; л.172)».

В ответе однако нет информации, но на самом деле на показе фильма и на заседании художественного совета присутствовал министр народного просвещения Демир Янев, а также зав. отделом „Агитации и пропаганды“ ЦК БКП. Режиссеров был отказан доступ.

„Советское“ – как ключ к решения проблем.

С болгарской стороны «советское» обычно является аргументом, ключом к решению разных проблем: для постижения дополнительного финансирования; для обеспечения нормальных условий в гостиницах; для обеспечения горячей пищи и т.д. *„Без столовой, без горячих блюд, к которым привыкли советские товарищи и в которых нуждаются и работники болгарского коллектива, мы плохо себе показываем и заставляем их терпеть лишения на равно с нами из-за отсутствия столовой (ЦДА, ф.404, оп.4, а.е.26, л.67) .“*

„Советское“ с обратным знаком.

„Советское“ является решающей даже в ситуациях перерасхода средств, однако не в направлении экономии финансовых средств...Так например, болгарский директор продукции Ал. Христов сделал предложение об изменениях в ориентировочном графике зимней природы, как следует: *«Эпизод „Перевалы“ - съемки в базе в Кокаляне вместо с 4 по 11 февр. провести с 24 янв. по 3 февр. 1954 г. Таким образом будут освобождены 750 с 1 500 солдат из лагеря в Панчарево 8-10 дней раньше и этим сэкономим 100 000 лв. командировочных и других средств по поддержке лагеря»(ЦДА, ф.404, оп.1 ед.хр.10, л.198).*

Это предложение однако не приняли, так как советский актер, выполняющий роль Радецкого должен вернуться в СССР.

„Советское“, которое не нуждается в контроля.

В архиве находится секретное Постановление Совета Министров НРБ с 24.04.1953 г. о фильме «Герои Шипки» (ЦДА, ф.404, оп.4, ед.хр.26, л.41).

В соответствии с постановлением Комитет Кинематографии получил право ввозить в и вывозить из СССР без таможенных пошлин всех фильмовых материалов по производству фильма „Герои Шипки“, а также всех сооружений и аппаратуры и материалы, которые советская съемочная фирма ввозить или вывозить в связи с производством фильма.

Контроль, доминирование, цензура.

Литературный сценарий, который написал советский автор Аркадий Первенцев не подлежит обсуждению, дополнению, изменению в Болгарии. Что касается режиссерского сценария Сергея Васильева, то он представлен для согласования и одобрения последовательно в: Художественном совете студии „Ленфильм“, в Министерстве культуры СССР и наконец, вполне формально, в Комитете кинематографии в Болгарии.

Среди множества примеров можно отметить как показательный доклад, в котором заместитель директора продукции Ив. Кордов сообщает директору киностудии, что еженедельный письменный обзор работы как форма отчета отправлен с опозданием из-за настаивание партийной группы внести в нем коррекции.

Формой непосредственного контроля является участие в художественном совете на правах постоянного члена определенный представитель отдела «Агитации и пропаганды» в ЦК БКП/. Во время создания фильма «Герои Шипки» контроль осуществлял Иван Рахнев.

В качестве примера можно отметить также и не мало документов, которые свидетельствуют о том, что с 1950 по 1953 г. Болгарскую кинематографию постоянно проверяли и обследовали и службы Государственной безопасности и милиция и служба народного контроля (ЦДА, ф. 1Б, оп.15, а.е. 625, л.1-15).

Что касается политического контекста, достаточно указать на доклад болгарского директора продукции, в котором он отмечает от имени всех, что «все личные и коллективные обещания в честь 6-ого конгресса Партии будут выполнены».

Другие документы содержат косвенные доказательства о контроле. Сохраненный монтажный лист дублирования фильма позволяет заметить некоторые трансформации в ходе создания фильма. Так например, читая пролог фильма в режиссерском сценарии, узнаем, что после подавления Апрельского восстания в 1876 г. у повстанцев был выбор – они могли спасти свою жизнь, но только если ответят утвердительно на вопрос - „Хочешь принять веру Могамеда?“ (ЦДА, ф. 404, оп.4, а.е.24, л.3)

Но позднее, когда пришлось дублировать фильм на болгарском языке...этот вопрос уже стал «Подчиняешься ли воле Падишаха?» (ЦДА, ф.404, оп.1, а.е.10, л.6) Таким образом можно установить как изменился акцент и как религиозный мотив был заменен с владетелям Османской империи...

«Умолчанное» в официальных документах.

Один из самых показательных примеров об отсутствии информации в официальных документах связан с наступившими переменами режиссерского сценария фильма «Герои Шипки». Оказывается, что ЦК БКП имел решающее слово и заставил советский режиссер заснять в битве у «Орлиного гнезда» бросание тел убитых людей....Все это было против воли и убеждения Сергея Васильевича. Но в официальных документах нет информации об этой «роли» ЦК Болгарской коммунистической партии. Напротив – из протоколов Художественного совета видно, что во время обсуждения фильма болгарские члены совета не позволяли себя отправлять серьезные критические замечания к своим советским коллегам. Исключением является вопрос о режиссерском решении о боях на Шипке в августе 1877 г. и их несоответствии с господствующей болгарской точки зрения. Ссылаясь на болгарского писателя Ивана Вазова и на его «Эпопея забытых»², председатель Художественного совета настаивает на то, что и в фильме, в решающей битве у Орлиного гнезда нужно бросать тела убитых ополченцев. Во время первого показа фильма он отметил, что в литературном сценарии «*Эпопея забытых*» не представлена, а в фильме – представлена очень хорошо. Однако не так сильно и не полностью по Вазову – здесь бросают только одно тело, только одного турка...Все это находит место в официальном протоколе. Ответ режиссера тоже отражен в документе: *«Я сам решил бросить тело турка. Имел ввиду как это скажется на болгарского зрителя – если бросаются тела убитых соотечественников, героев. Поэтому выбрал турка»*(ЦДА, ф.404, оп.4, ед.хр.26, л.5-10).

На самом деле, режиссер Сергей Васильев не хотел и это делать. Как именно его заставили в ЦК БКП можно узнать из воспоминания художественного руководителя Студий художественных фильмов, но 20 лет спустя. В 1974 г. Слав Славов рассказывает, что после отказа режиссера бросать тела убитых, его позвали в ЦК, после чего он бросил одного турка...(Славов Сл., Сергей Димитриевич Василев в България, Кино и време, 1974, кн.8).

Это воспоминание дополняет картину официальной документации и свидетельствует об одном из умолчанных в ней механизмов контроля коммунистической власти над созданием фильма.

² «Эпопея забытых» – цикл эпических поем, среди которых стихотворение «Ополченцы Шипки» - посвящено болгарским ополченцем, битвы на Шипке в августе 1877 г. и точнее - его подзаголовок «11 августа 1877». Как пишет поэт, когда кончили все боеприпасы, ополченцы начали бросать камни, деревья и тел убитых, чтоб не пропустит войско Сюлеймана. Этот поэтический прием воспринимается как на самом деле случившийся.

Умолчание события, о которых документы напоминают.

Читая архив фильма «Герои Шипки» узнала о трех смертных случаях в ходе работы. Солдат Йордан Йорданов бесследно утонул во время взрывов и переплытия реки Дуная. Еще один молодой человек погиб, выполняя приказ об уничтожении взрывоопасные материалы – солдат-сапер Христо Асенов Цанков. Об этом никто не узнает если только смотреть фильм....Можно допустить, что приказ, на основе которого уволили начальника пиротехнического отдела, связан с этими трагическими событиями.

Что касается смерти звукооператора Александр Максимович Бабий, который погиб в автомобильную катастрофу во время создания фильма, то о нем и в финальных надписях фильма не отмечено.

Повседневность.

В архивных документах о фильме содержатся много примеров о повседневности. Одним из них является акт, удостоверяющий, что съемки не состоялись из-за швейных проблем - недоставки платья героини Йонки или из-за невозможности одного гримера поставить усы на 80 человек для съемки одного эпизода.

Другие документы свидетельствуют о том, что погода во время зимних натурных съемок была так холодна /напоминала на 1877/1878гг./ и поэтому пришлось обосновывать необходимость обеспечить 2 раза в день по 25 граммов коньяка и 4 стакана чая для советских и болгарских съемочных групп, артистов, эпизодистов, статистов. В других документах обосновывается необходимость обеспечить 4 пары альпийских ботинок для советских режиссеров и операторов.

Можно узнать рецепт приготовления пищи для лошадей. Или сколько дополнительных денег было нужно из-за заслонов на ночевке лошадей в холодной зиме.

Допустимая критика.

Из архивных документов можно узнать какие критические замечания отправляли болгарские к советским создателям фильма. В протоколе художественного совета, после первого просмотра фильма болгарские участники в заседаниях Художественного совета позволили себе отметить, что образ болгарской девушки немножко искажен.

Другие «критики» связаны с необходимостью подчеркнуть как можно более и показать не только один раз торжественная встреча «братьев-освободителей», а также приподнять финал фильма.

В итоге можно подчеркнуть, что документы, которые находятся в архивном фонде Студии художественных фильмов отражают одну из сторон

документирования процесса создания фильма «Герои Шипки» - это официальная, институциональная, болгарская сторона.


Имея ввиду политический и идеологический контекст 50-ых гг., эта документация умалчивает зависимость творческих процессов от власти. Несмотря на то, много из признаков и даже реквизитов документов свидетельствуют об идеологизации и влиянии над процессом создания фильма – печать и бланк; протокол Художественного совета. С другой стороны, документы из фондов партийного архива непосредственно раскрывают контроль политической власти над процессом фильмирования. Вспоминания и современные источники позволяют проникнуть в лаборатории создания фильма.

Библиография:

1. Държавен вестник.” бр. 78 от 5 април 1948
2. 18 марта 1848 г.
3. ЦДА, ф.404, оп. 1, а.е.10. л.41, 156; оп.2, а.е.2, л.107
4. ЦДА, ф.404, 1, а.е. 10, л.171; л.172
5. ЦДА, ф.404, оп.4, а.е.26, л.67
6. ЦДА, ф.404, оп.1 ед.хр.10, л.198
7. ЦДА, ф.404, оп.4, ед.хр.26, л.41
8. ЦДА, ф. 1Б, оп.15, а.е. 625, л.1-15
9. ЦДА, ф. 404, оп.4, а.е.24, л.3
10. ЦДА, ф.404, оп.1, а.е.10, л.6
11. ЦДА, ф.404, оп.4, ед.хр.26, л.5-10
12. Славов Сл., Сергей Димитриевич Василев в България, Кино и време, 1974, кн.8

**საქართველო და თურქეთის ქართველები
(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ
არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)**

“როდესაც დაირღვა ჩვენი ქვეყნის ერთობა, მაშინ დაიქცა საქართველო... ძალდატანებით, მოტყუებით, სისხლის ღვრითა და თვალთმაქცობით, შეპირებითა და მოქრთამვით მიიტაცა და დაიმორჩილა თურქეთმა სამცხე - საათაბაგო, აჭარა, შავშეთი, ერუშეთი, კლარჯეთი, ჭანეთი, კოლა, არტაანი, ართვინი, ოლთისი..... დაანგრია და მიწასთან გაასწორა არსებული ციხე - სიმაგრენი და ეკლესია - მონასტრები, წარიტაცა ძვირფასი განძეულობანი და ცეცხლს მისცა უძველესი და უძვირფასესი ქრისტიანული ლიტერატურული ნაწარმოებები და საერო წიგნები.... შავით მოსილმა ბედმა დააცილა ერთმანეთს ერთი ოჯახის განუყოფელი ღვიძლი შვილები, სისხლითა და ხორციტ განუყრელი ძმები.....” წერდა 120 წლის წინათ ქართველი ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე. დაპყრობილი ქართული ტერიტორიების ბაზაზე ჩამოყალიბდა ე.წ. გურჯისტანის ვილაიეთი.




გურჯისტანის ვილაიეთის რუკა, XVI საუკუნის თურქული ხელნაწერი ძეგლის ვილაიეთის დიდი დავთარის ქართული თარგმანის მიხედვით (სუიცა, ფ. 303, ან 1, საქ. 1205)

მოგვიანებით, დაპყრობილი მიწებიდან საქართველოს ბედუკულმართობის გამო ათასობით მაჰმადიანმა ქართველმა დატოვა ქართული მიწა და ოსმალეთის ტერიტორიაზე გადასახლდა. ამ მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო რუსეთ – თურქეთის ომის დროს. რუსეთი და ოსმალეთი, თითოეული თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, ესწრაფოდა ქართველი მუსულმანების გამოყენებას. რუსეთს აშინებდა დაპყრობილ მიწაზე მცხოვრები ქართული მოსახლეობა. მას

სჭირდებოდა ნაყოფიერი მიწები და არა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველობა. ცარიზმი ყველანაირად ხელს უშლიდა მუსულმანი ქართველების დაახლოვებას მათ ქრისტიან მოძმეებთან. ასეთმა სისასტიკემ, რელიგიურმა ძალმომრეობამ, ომის შედეგად გავერანებულმა სოფლის მეურნეობამ, მოსახლეობის უკიდურესმა გაჭირვებამ და შიმშილობამ გამოიწვია ის დიდი ტრაგედია, რომელიც საქართველოს ისტორიაში “მუჰაჯირობის” სახელითაა ცნობილი. მუჰაჯირობის წინააღმდეგ იბრძოდა ქართული ინტელიგენცია, ქართველი ხალხის მონინავე ნაწილი, რომელსაც შეგნებული ჰქონდა ერის ასეთი გაყოფის საშიშროება. გასული საუკუნის დასაწყისში პრესაშიც ფართო კამპანია გაჩაღდა. ასეთმა რეაქციამ ცოტა ხნით შეაჩერა ეს მოძრაობა, მოსახლეობის ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დასახლდა.

ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი და შეგნებული ნაწილი ყოველთვის ოცნებობდა ქართველების გაერთიანებაზე. გიორგი ჟურული წერდა: “არასოდეს არ გამომიყვია ქართველი მაჰმადიანი, ქართველი ქრისტიანებისაგან. მნამს, რომ ქართველობის ერის ერთეულად გარდაქმნა მოხდება. მათი კულტურულად აღორძინება დაიწყება, მაშინ როდესაც შევიგნებთ უახლოვეს მიზანს, რომლის მიღწევას შეერთებულის ძალით უნდა ვცდილობდეთ...” (სუიცა, ფ. 303, საქ. 435)



სამაჰმადიანი საქართველო, ძველი მესხეთი
(სუიცა, ფ. 303, ან.1. საქ. 392)

მშობლიური მიწიდან გადასახლებულმა მოსახლეობამ უცხო ეთნიკურ გარემოში ცხოვრების მიუხედავად შეინარჩუნა ეროვნული თავისთავადობა ქართული ყოფის და კულტურის ძველქართული თავისებურებანი.

ჩვენებურებმა არ დაივიწყეს წინაპრების გვარებიც. დღევანდელი თურქეთის ქართველებით დასახლებულ სოფლებში ცხოვრობენ: აბაშიძეები, ძველაშვილები, გორაძეები, გურგენიძეები, ქოქოლაძეები, კვახაძეები, ლეკურაშვილები, მიმინაძეები, ტრიკიძეები, იასამანიძეები, მალახმაძეები, გვერდაშვილები, ქვაბისთაველები, კირნათელები.

მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის ურთიერთობის აღდგენის პირველი სერიოზული და თვალსაჩინო ნაბიჯები გასული საუკუნის 50 - იან წლებში გადაიდგა. თურქეთის ქართველობის ეთნიკური თვითშეგნების სულისჩამდგმელი იქ მცხოვრები დიდი ქართველი აჰმედ ოზგანი - მელაშვილი იყო. მისმა მოღვაწეობამ ახალი სული ჩაბერა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ცხოვრებას. მას ზოგჯერ “XX საუკუნის თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძესაც” უწოდებენ.

აჰმედმა მოახერხა პარიზში მცხოვრები ემიგრანტი ქართველების თავისუფალი გამოცემის ჟურნალ “თავისუფალი ტრიბუნის” გამომცემ ჯგუფთან დაკავშირება, მათი დახმარებით კი, ქართველ მონინავე ინტელიგენციასთან დაახლოვება. 1965 წელს მოხერხდა თურქეთის მიწაზე ორი სხვადასხვა სარწმუნოების ქართველების შეხვედრა... მათ ერთი მიზანი ჰქონდათ: დავიწყებას არ მისცემოდა, არ გამხმარიყო მათში შემონახული მშობლიური ფესვები, უფრო ახლოს გაეცნოთ ერთმანეთი.

მოგზაურობა სასიამოვნო შედეგით დამთავრდა. გაირკვა, რომ თურქეთის მიწაზე გაცილებით ბევრი, სუფთა ქართული სოფელი იყო, ვიდრე წარმოდგენით იცოდნენ. უალრესად თბილი შეხვედრებისას მოხერხდა ხალხში შემონახული ლეგენდების, ზღაპრების, სიმღერებისა და გამონათქვამების ჩანერა. აი რას წერდა ამ მოგზაურობის შემდეგ პარიზელი ქართველი ილია ჯაბადარი: “ჩემმა წასვლამ და ჩვენებთან ლაპარაკმა გამოიწვია დიდი სურვილი ქართული წერა - კითხვის სასწავლებლად; ყველა ამაცობს ქართველობით; ბევრს სურს საქართველოს ნახვა; სურვილები უფრო გაღვივდება თურქეთში ქართველ მოცეკვავეთა გასტროლით. არაფერი არ უნდა დავზოგოთ ამის მისაღწევად” (**ფ, 202, ან,1, საქ. # 79**).


1966 წელს ახმედ მელაშვილისა და ილია ჯაბადარის მონდომებით ჩატარდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის “სუხიშვილების” გასტროლები თურქეთში. ილია ჯაბადარის თქმით “კონცერტების სანახავად ზოგი ფეხით მოდიოდა, ზოგი ურმით, ზოგი ცხენით ან მატარებლით.... ამისთანა რამ აქ სიზმარშიც არ ენახათ, ქართველები სულით გამაგრდნენ, შორეული სოფლებიდან და ქალაქებიდან მოდიან, ზოგი სამჯერ, ოთხჯერ ესწრება ამ კონცერტს, მე მგონია, რომ ჩემს მიზანს მივალნიე, მიყურებული ქართველობა გავაცოცხლე და რომ შედეგი იქნება ამის, ეს მომავალი გვიჩვენებს... შესვენების

ხან ხანს მივითხრო.
 საყვარელს ჩემს დაქვრივს ვის ვიწვინაყდაც და მშენებელს ტანს
 მყავს ასევე ამ დაქვრივს ყველა ჩემსი ტექნიკის მკვლევარები.
 ვლადიმერ ჩუბინოვს, ივანე ყიზიბაშვილს და ვანუშვილს, კვარციის
 მანქანების მკვლევარს მივითხრო და მსახურსაც სთავაზობ
 ჩუბინოვს


ქვევია შაყაგ
 იქვენი ვიქტორ ხომერიკი

ვიქტორ ხომერიკის წერილი
(სუიცა, ფ. 303 არ. 1, საქ. 484)

საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში მცხოვრებმა ქართველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის საქმეში. კულტურის სახლის პროექტი, ფასადის მოხატულობა პირველად საფრანგეთში გაიგზავნა და მისი პირველი შემფასებლებიც ისინი იყვნენ. “ჩვენ სოფელ ხეირეთში აშენება გვინდა “კულტურის სახლის” იქ ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ ქართული ცეკვა, სიმღერა და წერა - კითხვა, გიგზავნი პროექტებს. თუ შეიძლება მანდაურ ქართველებში შეიტანე საკითხი დაგვეხმარონ ეკონომიურად” (ფ. 303, აღ, 1, საქ. # 1207.) – ვკითხულობთ ერთ-ერთ დოკუმენტში.




giriş cephesi
 01.1/3



სოფელ ხეირიეთის კულტურის სახლის პროექტები
(სუიცა, ფ. 3030ა1, საქ 1214)

აჰმედ მელაშვილის ინიციატივით საქართველოში გამოიგზავნა რამოდენიმე ახალგაზრდა ქართული ცეკვის შესასწავლად. ისინი საციროკო - საესტრადო სასწავლებელში სწავლობდნენ. მისივე ინიციატივით 1970-იან წლებში ქართულ ენაზე გამოიცა ჟურნალი "ჩვენებურები". ჟურნალის მეთორმეტე ნომერში (1993 წელი, ახმედის გარდაცვალებიდან 12-ე წელი) დაიბეჭდა ახმედის მიერ ქართულიდან თურქულად თარგმნილი და მისივე ილუსტრირებული ვახტანგ ონიანის პოემა - "ბეთქილი".



ჟურნალ "ჩვენებურების" ახმედ მელაშვილის მიერ გამოცემული ნომრის გარეკანი
(სუიცა, ფ. 303, ან.1, საქ. 1208)



ბეთქილის ილუსტრაციები ფ. 303, ან 1 საქ, 902

ქართული, ეროვნული საქმის დიდი მოამაგე საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულისთვის სასტიკად დასაჯეს. მას არ აპატიეს საქართველოს სიყვარული. ამერიკასა და საფრანგეთში გამომავალ ქართულ გაზეთებში საგანგებო ყურადღება დაეთმო ამ ახმედ მელაშვილის ტრაგიკული სიკვდილის ამბავს.

1990 - იანი წლების შემდეგ საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო, გაღრმავდა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული კონტაქტები... "ჩემი ფოტოაპარატი საქართველოში გატარებული დღეების მემატიაწინედ იქცა. ყველაფერი კარგი მინდა მოვაქციო ჩემს ფოტოფირზე, პირველ კადრზე ნარიყალას ბებერი ქონგურებზე წამომდგარი ქართლის დედის მონუმენტი აღვბეჭდე და ის ღვინით სავსე თასი, რომლითაც იგი მოყვრად მოსულ სტუმრებს ეგებება. მარად საქართველოს აყვავების, ბედნიერების, წინსვლის სადღეგრძელო შესმულიყოს" (სუიცა, ფ.303, ან.1, საქ. 1206).ეს სიტყვები ოთხმოციანი წლებში საქართველოში ჩამოსულ თურქეთის სენატორებთან მყოფ თურქეთის სააგენტოს "ანჯას" საინფორმაციო განყოფი-

ლების გამგეს ვარლიქ ოზმექენის ეკუთვნის. სარფში სტუმრობისას ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებულმა ოზმექენიმ განაცხადა: “რამაზი სოფელია, გაღმა - გამოღმა ერთნაირი სახლები, ერთნაირი ხეხილის ბაღები, ერთნაირი ხალხი, რა კარგი იქნებოდა, რომ მივიდეს კაცი კაცთან, უთხრას: გამარჯობა ძმაო, გადმოდი ჩემთან, გაახარე ჩემი ოჯახი შენი სტუმრობით! დასხდნენ ერთად, დალიონ მშვიდობის სადღეგრძელო და იმღერონ”. ამავე დღეგაცხადის ნევრმა სენატორმა მუზაფერ შამილოღლუმ თბილისს ექსპრომტად ლექსიც კი მიუძღვნა:

“თბილი წყლებით, ლამაზ ქალით, სანაქებო თბილისო,
ენა ტკბილად მოუბარო, პირმცინარე ხალხით სავსე თბილისო.
აი გტოვებთ, ჩვენ მივდივართ, კარგად გნახეთ თბილისო.”

(სუიცა, ფ.303, არ. 1, საქ 1206).

1990 წლის ოქტომბერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ილია II - ის ინიციატივით შეიქმნა თურქეთთან ურთიერთობის საკრებულო, რომლის შემდგენლობაში შევიდნენ ორივე ქვეყნის ღირსეული შვილები. არქივში დაცულია ამ ჯგუფის ნევრთა სია:

თენგიზ აბულაძე, აპოლონ სილაგაძე, პაატა ნაცვლიშვილი, ტარიელ ჭანტურია, ნათე ბანაში, ზურაბ აბაშიძე, ლევან სანიკიძე, თეიმურაზჩიკოვანი, ლია ჩლაიძე, ვიქტორ ჭიკაიძე, ელიზბარ ჯაველიძე, ვენერა ჯანგიძე, ნოდარ წულეისკირი, ცისანა აბულაძე, ლევან მეტრეველი, ლევან ღვიჯილია, ვლადიმერ საბიაშვილი, ვახტანგ გურგენიძე, რევაზ მიშველაძე, გიორგი ნერეთელი (პარიზი), ანზორ ერქომაიშვილი, ზურაბ ცინციკილაძე, ნოდარ დავლაძე, სულხან ლომინაძე. 1991 წელს საკრებულო გაფართოვდა და შეივსო ახალი ნევრებით: ბადრი მელაძე, დავით ელიაძე, თამაზ ჭინჭარაული, ამირან ამირანაშვილი **(ფ. 303, აღ, 1 საქ. # 1210).**

სტამბულის ფერი - კვეის ქართველთა სავანე თავისი სტამბით, რომელიც შეიქმნა 1861 წელს, წარმოადგენს ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს. იგი იყო საქართველოდან პოლიტიკურ დევნილთა თავშესაფარი. ამ სავანეში 1921 წელს, რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ემიგრანტული მთავრობაც. **(სუიცა, ფ. .303, ან1. საქ. 250).** 1950 - იანი წლებიდან იქ პრაქტიკულად აღარ მოღვაწეობდნენ ბერები. სავანე სულს ღაფავდა.... 1960 წლისათვის ცოცხალი იყო მხოლოდ ერთი სასულიერო მოღვაწე - პავლე აკობაშვილი (ადგულაძე). იგი საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებისაგან დახმარებას ითხოვდა. საბჭოთა მთავრობის პირობებში საქართველოს მისთვის დახმარების განევა არ შეეძლო: „დავრჩი მარტოდმარტო, ვიბრძვი და ვმუშაობ, რომ იგივე ბედი არ ეწიოს ამ ჩვენს ეკლესიას, როგორც წილად ხვდა ჩვენს კულტურის ცენტრებს პალესტინაში ათონის მთაზე, სინას მთაზე, და სხვაგან.

სანამ ცოცხალი ვარ, არ ვზოგავ ძალღონეს, რომ ეს განძი, საუნჯე...შერჩეს ჩვენს ერს... ჩემს შემდეგ არ ვიცი რა დაემართება... ღმერთმა იცის ყველაფერი, ჩვენს საყვარელ სამშობლოსა და მის შვილებზეა დამოკიდებული” წერდა პავლე აკობაშვილი ემიგრანტი ქართველებისადმი 1960 წელს გაგზავნილ წერილში (lib.ge/book.pbp.autor=book=4653).

სტამბულის ქართული მონასტრის მონახულების (1965 წელი) შემდეგ, აღნიშული კულტურულის ძეგლის სავალალო მდგომარეობით შენუხებული ილია ჯაბადარი წერდა: “ნავედი ქართულ მონასტერში, იქ გავიცანი გამგე პავლე აკობაშვილი. ეს უკანასკნელი ბერი არ არის, ქართველი ბერები სულ დაიხოცნენ და საქართველოდან აღარავინ მოდის. ამ მონასტერმა დიდი საფრთხე გადაიტანა. ფრანგები სცდილობენ ხელში ჩაიგდონ, სამწუხარო იქნება, თუ ეს მოხდება. ნუთუ ახალციხიდან არ შეიძლება, კათოლიკური სემინარიიდან რამდენიმე შეგირდების გამოგზავნა? ეს ქართული ქონებაა, ისტორიული ტაძარი და ცოდოა სხვის ხელში ჩავარდეს. აკობაშვილი 75 წლისაა. ამას პატრიოტული თვალსაზრისით ჩვენმა მთავრობამ უნდა მიხედოს, თორე როგორც ათონის მონასტერი ბერძნების ხელში ჩავარდა, ესეც ფრანგ კათოლიკებს ჩაუვარდებათ. 1954 წელს თურქეთში დაიწყო ისევ მოძრაობა, ბერძნების წინააღმდეგ. ბრბო სცარცვამდა საყდრებს, სახლებს და დუქნებს. გაცარცვეს ასევე ჩვენი მონასტერი. ბევრი იშვიათი წიგნები, სურათები და ხელთნაწერები დაიღუპა. აკობაშვილმა ზოგიერთი გადააჩინა. მათ შორის არის:

1. საბა სულხანის მოგზაურობა დასავლეთ ქვეყნებში;

ზედ სწერია: სრულიქნა თვესა მართსა, ვხელითა ღივინსა გის - ათა ქქნსა: უნვ პირველი ტომი;

მეორე ტომი საქართველოში უნდა იყოს.

2. თომა კემფელის ოთხი წიგნი

მიბაძვა ქრისტესი (მხედრულად დაწერილი)

1794 იანვრის დამდეგს) (ფ. 202, აღ1, საქ. # 79).

1966 წელს თურქეთის ქართული სავანე საიმედო და ძლიერი მფარველის ხელში აღმოჩნდა, ზაზაძეების გვარი მას დღემდე საიმედოდ უვლის.

გაცილებით გვიან, საქართველო-თურქეთის საზღვრების გახსნის შემდეგ ქართველ მეცნიერებს მიეცათ ჩვენებურთა ყოფისა და მატერლიაური და სულიერი მემკვიდრეობის, ასევე საარქივო დოკუმენტების შესწავლის შესაძლებლობა. ეროვნულ არქივში დაცულია აკადემიკოს შ. ძიძიგურის რედაქტორობით 1979 წელს გამოცემული “ჩილდირის ვიალეთის ჯაბა დავთარის” ვახტანგ გურგენიძისეული შეფასება. მასალა მოძიებულია ბულგარეთის არქივის ოსმალურ დოკუმენტებში. ეს არის XVII –XVIII საუკუნეების სამხრეთ საქართველოს აღწერა. დავთარი შედგენილია სულთნის კანცელარიის არქივში დაცული დოკუმენ-

ტებით: ბერათებით, თეზქერებით, ფირმანებით. დავთარი დიდი საგანძურია ახალციხის საფაშოს ისტორიის შესასწავლად (ფ.303, ან,1, საქ. # 505). ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჩვენებურების „ილია ჭავჭავაძე“ – ახმედ მელაშვილი სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ქართველების ისტორიისა თუ ეთნოგრაფიის შესწავლით. იგი იბრძოდა იმისათვის, რომ თურქეთის არქივებში დაცული ოსმალური დოკუმენტები ხელმისაწვდომი ყოფილიყო მეცნიერ-მკვლევარებისათვის. ახმედ მელაშვილის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ დაამწუხრა იქეთა და აქეთა ქართველები.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე ვახტანგ გურგენიძე პრესის საშუალებით ასე მიმართავდა ქართლი კულტურის მოღვაწეებს: “ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა!? “ერთ დროს ყოველივე მათს საქმიანობას ილიას ერთადერთი წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ასრულებდა და მერე როგორ? სწორედ მაშინ გაიხსნა თურქეთის ტერიტორიაზე არა ერთ ადგილას ქართული სკოლები, თურქეთშივე ჩუმად ჩადიოდა ქართული წიგნებიც... საჭიროა თითოეულმა ერთად და ყველამ ერთად მივხედოთ ჩვენგან მიტოვებულ ძმებსა და დებს!!! ”

ჩვენი ძალა ერთობაშიაო, მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები, ორივე ერთად საქართველოს შვილები ვართო - ამბობდა ილია. ნატრობდა იმ ბედნიერ დღეზე, როცა ისტორიის უკულმართობის შედეგად გათიშული ძმები, კვლავ შეერთებოდნენ, ძმა ძმას შეეთვისებოდა და შეიყვარებდა.

1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომმა აღასრულა ქართული საზოგადოებრიობის საუკუნოვანი ოცნება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დაუბრუნდა მშობლიურ ფესვებს.

გამოყენებული წყაროები :

1. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცა) ფ. 202, ან, 1, საქ. 70; საქ 79; საქ 80.;
2. სუიცა: ფ. 303, ან, 1, საქ. 250, საქ. 284, საქ. 392, საქ. 484, საქ. 584, საქ. 803, საქ. 896; საქ. 1206, საქ. 1208, საქ. 1210, საქ. 1214, საქ. 1250.

**Georgia and Turkey Georgians (according to the documents protected in central
Archives of Georgia)**

Summary

The definite part of modern Turkey is populated by Georgians, banished from Adjara and Samtskhe. Their ancestors were taken from their native land with bloody, compulsion and fraud. They looked forward to seeing Georgia. They even dreamed to speak the Georgian language. The issue is about renewal of relationship between Christian and Moslem Georgians. The issue is made in the National Archives according to the defended documentary materials.

„ახისნადან მოსულეზი“ შავშეთ-კლარჯეთში

ჭოროხის აუზის, მეტადრე შავშეთ-კლარჯეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქართული წარმოშობისა რომ უნდა იყოს, ამის შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ავტორები მიუთითებდნენ. მაშინ ქართული ენა დღევანდელთან შედარებით უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული და ენადავინცებულთა შორისაც უფრო ბევრს ახსოვდა ქართული ფესვების შესახებ.

შავშეთ-კლარჯეთის მოსახლეობა დღეს ერთგვაროვანი არაა. ხშირად წინაპართა ვინაობის შესახებაც უჭირთ საუბარი. ფაქტია, რომ იდენტობის ყველაზე მყარი საფუძველი ენა აღმოჩნდა. კლარჯეთში, მაგალითად, მე-19 საუკუნის მასალების თანახმად ქართული ყველაზე უკეთ ლივანაში იცოდნენ. ლივანა მურღულის ხეობასთან ერთად სამუსლიმანო საქართველოს ერთ-ერთი იმ ნაწილთაგანია, სადაც ქართული ენა და ეროვნული ცნობიერება ყველაზე მყარად იყო დაცული. მართალია, წერა-კითხვას ვეღარ ახერხებდნენ, მაგრამ ენა კარგად შემოენახათ. ზაქარია ჭიჭინაძე ლივანაში 38, მურღულში 31 სოფელს ჩამოთვლის და შენიშნავს, რომ მხოლოდ ართვინის მახლობელ რამდენიმე სოფლის ქართველ მაჰმადიანებს დავინცებიათ ქართულიო. (ჭიჭინაძე 1912:148) ქალებმა ოსმალური საერთოდ არ იცოდნენ. ლოცვისას ალაჰის ნაცვლად ხშირად ღმერთს ახსენებდნენ. იცოდნენ ქართული შელოცვები, ლექსები, ზღაპრები. მურღულის და დევესქელის ხეობაში ძველებურ მრავალხმიან სიმღერებსაც მოისმენდა კაცი.

რაც შეეხება ართვინსმიღმა ტერიტორიას ჭოროხის შუაწელზე, ქართული ენა ბევრგან დავინცებული ჰქონდათ მე-19 საუკუნეშივე. ზაქარია ჭიჭინაძე მხოლოდ ათიოდე სოფელს ასახელებს ქართულის მცოდნეს (მათ შორის ანჩას, ანაკერტს და სხ.). უფრო ოპტიმისტურია კონია მაჭავარიანის ცნობა, რომელიც 84 სოფელს ჩამოთვლის, (მაჭავარიანი 1894:4) მაგრამ ეს ინფორმაცია გადაჭარბებული ჩანს. საკუთრივ „ათორმეტ სავანეთა“ მხარეში, ოპიზის, ხანძთის, დოლისყანის, ჯმერკის, დაბის, ბერთის, პარეხის, მიძნაძორის, მერეს მიდამოებში, ქართულის ნაშთებს ჯერ კიდევ ნაანყდებოდა კაცი — მშობლიური ენის მცოდნე ცოტადა იყო დარჩენილი მოხუცებს შორის.

არტანუჯი ძირითადად თურქულენოვანი იყო. აქ სხვებთან ერთად ცხოვრობდნენ სომხებიცა და გასომხებული ქართველებიც. მიმდებარე სოფლები სულ გურჯებისა იყო. „დროების“ კორესპონდენტის ცნობით მათ ქართული ენა არ იცოდნენ, მაგრამ ჩამომავლობა კარგად ახსოვდათ. ისიც იცოდნენ, რომ წინათ ქრისტიანები იყვნენ. (დროება 1879:3)

როგორც XIX საუკუნის მოგზაურები მიუთითებდნენ, ათორმეტ სავანეთა მეზობელ მხარეში, შავშეთში, მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართული იყო: ქართველები მოსახლეობის 90%-ზე მეტს შეადგენენ. (ყაზბეგი 1995:90) ქართულად კარგად ლაპარაკობდნენ თითქმის მთელ იმერხევში, პრაქტიკულად ყველა სოფელში. მხოლოდ ყვირალას ხეობის სათავისკენ, ასევე საკუთრივ იმერხევისწყლის ზემო წელში — დიობანში, შოლტისხევისა და წყალსიმერში უჭირდათ.

ქართული კარგად ახსოვდათ იმერხევისწყლის მომიჯნავე მცირე ხეობებში — უსტამისსა და ჩიხისხევიში.

საკუთრივ შავშეთში, იმერხევს მიღმა, მხოლოდ რამდენიმე სოფელში ლაპარაკობდნენ ქართულად. ეს სოფლები შავშეთის ჩრდილოეთითაა და ზოგჯერ მათ იმერხევსაც მიაკუთვნებენ. მხედველობაში გვაქვს გარყილობი, ჯუარები (//ჭუარები), შავიმთა, წითურეთი, ახალდაბა, სინკოთი.

შავშეთის სხვა მხარეებში ქართული ენა აღარ ახსოვთ უკვე XIX ს. II ნახევარში. თუმცა, „აღარ ახსოვთ“ მაინც პირობითად ნათქვამია. როგორც ჩანს, შავშეთში ქართული ენის ამოვარდნის პროცესი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა: XIX საუკუნის შუა ხანებში აქ ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ ქართულად, მაგრამ გაოსმალების, შესაბამისად, მშობლიური ენის ამოვარდნის პროცესს უკვე შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა.

მაგრამ გურჯობის განმსაზღვრელი მხოლოდ წინაპართა ენის ცოდნა როდი იყო. იმხნად მაჰმადიანმა ქართველებმა (იმათაც, ვინც ქართული ენა დაივიწყეს) უმეტეს შემთხვევაში კარგად იცოდნენ, რომ მათი წინაპრები ქართველი ქრისტიანები იყვნენ, თუმცა, ცხადია მოსულიც ბევრი იყო და მოსახლეობის შერევა-აჭრელების პროცესი XX საუკუნეშიც ინტენსიურად გაგრძელდა.

ნიშანდობლივია, რომ დღემდე ჭოროხის აუზის მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ თავს „იერლის“ ანუ ადგილობრივს უწოდებს. ისინი, უმეტეს შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, ფლობენ თუ არა ქართულ ენას), ხან მყარად, ხანაც სიფრთხილით აიგივებენ თავს გურჯებთან. ყოველ შემთხვევაში, თურქულენოვანი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს თქმა იმისა, „ესკი (ძველად) გურჯები ვიყავითო“, არ უჭირს.

„იერლის“ გვერდით, როგორც ვთქვით, მოსულიც საკმაოდ ბევრია და ეს ერთობ ჭრელი ნაწილი ჩანს ჭოროხის აუზის მოსახლეობისა. მათ შორის შეიძლება გამოიყოს ერთი საინტერესო კატეგორია, რომელიც თავს „ახისხადან“ (ახალციხიდან) მოსულს, „ახისხელ თურქს“ ან „ყივჩაღს“ უწოდებს. ამ წრეში შეხვდები როგორც ძველი ქართული ფეოდალური გვარეულობის წარმომადგენლებს (მაგ. ათაბაგებს), ასევე იმათ, ვინც წარსულისა აღარაფერი იციან გარდა ზემოხსენებული ფრაზისა.

„ათორმეტ სავანეთა“ მხარეში, განსაკუთრებით ბერთისწყლის ხეობასა და დაბა-ჯმერკის მიდამოებში ხშირად წაანყდები „ახისხელებს“. ცხადია, ახალციხელთა შესახებ სხვაგანაც ისმის შავშეთ-კლარჯეთში.

ვფიქრობ, ეს საკითხი იმსახურებს საგანგებო ყურადღებას.

როგორც ცნობილია, რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად, ადრიანოპოლის ზავით, ოსმალთა ბატონობისგან გათავისუფლდა სამცხე-ჯავახეთი და, ასე თუ ისე, დაუბრუნდა საქართველოს, რომელიც კარგა ხანია ქცეულიყო რუსეთის კოლონიად.

ერთი მხრივ რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკის და მეორე მხრივ ოსმალეთის პროპაგანდის შედეგად ისტორიული მესხეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი მშობლიური მიწა-წყლიდან აიყარა. დაიწყო გადასახლების უაღრესად ტრაგიკული პროცესი, რომელიც მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი და რომელმაც, როგორც აღმოჩნდა, სათავე დაუდო ამ რეგიონის მრავალ უბედურებას.

მუჰაჯირთა ეს საკმაოდ დიდი ტალღა რუსეთის ხელქვეით მოქცეულ ტერიტორიას გაერიდა და ოსმალეთში გაიფანტა.

უნდა ითქვას, რომ სამუსლიმანო საქართველოდან (აჭარა-ქობულეთიდან, შვეთიდან და კლარჯეთიდან) 1878-82 წლებში გადასახლებულთაგან (რომელთა კომპაქტური დასახლებები ბევრგანაა, თურქეთის შიდა პროვინციებში) განსხვავებით, 1830-იან წლებში მესხეთიდან გადასახლებულთა კვალი დღეს ძნელად იძებნება. მუჰაჯირების შთამომავლებს შორის მესხებიც სახლობენ და ისინი თავს „მესხ თურქს“ უწოდებენ ბევრი მათგანი გურჯობას არ უარყოფს (ლუტიძე 2010:155)

ვფიქრობ, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ შავშეთ-კლარჯეთის „ახისხადან მოსულად“ წოდებული მოსახლეობა სწორედ მესხ მუჰაჯირთა იმ პირველი თაობის შთამომავალია.

როგორც ჩანს სამცხე-ჯავახეთიდან ლტოლვილთა უმრავლესობა მახლობელ პროვინციებში დასახლდა. ამ აზრს თანამედროვე შავშეთ-კლარჯეთში „ახისხადან მოსულების“ არსებობის გარდა განამტკიცებს ისიც, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლების აჭარა-ქობულეთის და საზოგადოდ, ქუროხის აუზის მოსახლეობაში დასტურდება ფენა, რომელიც ოფიციალურად იწოდებოდა ახალციხელ მუჰაჯირებად.

კერძოდ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუჰაჯირობის თემაზე მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე რიზეს უნივერსიტეტის პროფესორმა ნები გუმუშმა წარმოადგინა ოსმალეთის იმპერიაში ჩვენთვის საინტერესო რეგიონში 1835 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალები. (Gümüş 2013:135) მან აღნიშნა მოხსენებაშიც და შემდეგ პირად საუბარშიც დაადასტურა, რომ ზემოხსენებული აღწერის მასალებში საკმაოდ ბევრია იმ

პირთა რიცხვი, რომლებიც „ახალციხელ მუჰაჯირებად“ იხსენიებიან. მათი არსებობა დასტურდება ქობულეთშიც, ქვემო აჭარაშიც, ზემო აჭარაშიც, შავშეთშიც და კლარჯეთშიც.

ცხადია, სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებულთა შორის, რეგიონის მოსახლეობის იმჟამინდელი ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, უმრავლესობა ქართველი მუსლიმანი იქნებოდა. ქართულ გარემოში დასახლებულნი, ალბათ შეინარჩუნებდნენ ქართულ იდენტობას, მაგრამ როგორც ჩანს, არაქართულ გარემოში დასახლებულმა, საკუთარ მიწა-წყალს და ფესვებს მოწყვეტილმა მესხებმა საბოლოოდ დაჰკარგეს კავშირი წინაპრებთან და გათურქდნენ. ესაა ალბათ უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე თურქეთში მესხ მუჰაჯირთა კვალი ძალიან ძნელად იძებნება.

არ არსებობს მყარი საფუძველი, ახალციხელი მუჰაჯირების თემას რომ დაეუკავშიროთ ქვემოთ მოყვანილი ფაქტი, მაგრამ მაინც ამ კონტექსტში უნდა შევნიშნოთ, რომ მაგალითად, ბერთის მოსახლეობა თავისი ხასიათით, ზნე-ჩვეულებებით, ტრადიციებით მომიჯნავე ხეობელთა მსგავსი არაა. „ესკი გურჯები ვიყავით“ ამის მთქმელი ბერთისწყლის ხეობაშიც შეიძლება ნახო, მაგრამ გარკვეულ სხვაობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ ნიკო მარი. ამ განსხვავების შესახებ, სხვათა შორის, აღნიშნავენ თანამედროვე გურჯებიც. მათი თქმით, ბერტელები სხვანაირად მღერიან, სხვანაირად ცეკვავენ, სხვანაირ კერძებს აკეთებენ და საერთოდ, განსხვავებული ხალხია.

ბერთისწყლის ხეობა კიდევ ცალკე საკითხია, მაგრამ „ახისხიდან მოსულების“ თემა ამის გარეშეც იმსახურებს ქართველოლოგიის ყურადღებას, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველი რეალობის იმდენად მცირე ნაგლეჯებია დღეს ხალხში, რეალური სურათის აღდგენა ძალიან ძნელი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. მაჭავარიანი 1894: გაზ. „ივერია“, 337, თბილისი
2. ჭიჭინაძე 1912: ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია, თბილისი, 1912 წ.
3. ლუტიძე 2010: ლუტიძე ი., მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და ეთნიკური იდენტობის საკითხები, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, ტ. XII, თბილისი.
4. ყაზბეგი 1995: ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი.

5. Gümüş 2013: Nebi Gümüş Acara tarihi için bir kaynak: nüfus defterleri ve muhacirlik öncesi Acara'da müslüman nüfus (1835) Acara'da müslüman ve köy muhtarları, ბსუ-ს განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, ტ. 7. ბათუმი.
6. დროება 1879: ა. ნ-აძე, გამაჰმადიანებულ საქართველოში, გაზეთი „დროება“, 179.

Malkhaz Chokharadze

From Akhiskha in Shavshet-Klarjeti

Summary

A large part of Chorokhi population calls themselves „Ierli” or local. Most of them (including Turkish population) compare themselves to Gurjs. Between settled people can distinguish class, which calls themselves „Akhiskheli” (Akhalsikheli).

Based on materials, in article is expressed an opinion, that „Akhiskhelebi” after 1828-1829 years Russia-Ottoman war they are refugee Muhajir descendants and constitutes part of the Georgian origin of Tao-Klarjeti.

შერიფ ხიმშიაშვილის მემამულური მემკვიდრეობა

აჭარელი ხიმშიაშვილები მსხვილი მემამულეები იყვნენ, მაგრამ სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში მათი მეურნეობის შესახებ მწირი ცნობებია დაცული, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკურ საკითხებზე. ამასთან, დღემდე საკამათოა აჭარელი ხიმშიაშვილების წარმომავლობის ისტორია. ხიმშიაშვილები სახლობდნენ იმერეთში, ქართლსა და კახეთში, ეკუთვნოდნენ ფეოდალთა წარჩინებულ საგვარეულოს და ფლობდნენ დიდძალ ყმა-მამულს. 1879 წელს შერიფ ახმედის ძე ხიმშიაშვილმა თხოვნით მიმართა კავკასიის არმიის მთავარსარდალს დახმარებოდა მისი წინაპრების ისტორიის გარკვევაში.

კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა საკითხის შესწავლა დაავალა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს თავმჯდომარეს დავით სუმბათაშვილს და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს კონსტანტინე კომაროვს. დ.სუმბათაშვილის ცნობაში, რომელიც შედგენილია იმავე წლის 19 ივლისს, აღნიშნულია, რომ აჭარელი ხიმშიაშვილების ქართლიდან (დუშეთის მაზრა) წარმომავლობა არ დასტურდებაო. ვ. კომაროვის ცნობაში წერია, რომ კომისიამ შეძლო მხოლოდ ორი საუკუნის ისტორიის დადგენა და აჭარელი ხიმშიაშვილები წარმომავლობით ეკუთვნოდნენ იმერეთის თავადების საგვარეულოსო (ასმხფ, ს. 172:157,241). თუმცა ეს მოსაზრებაც საკამათოა.

საარქივო მასალების, დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, თედო სახოკიას და სხვათა მიერ შეკრებილი მონაცემების შესწავლის პარალელურად ჩვენ ჯერ კიდევ 1962 წელს მოვიძიეთ დამატებითი ცნობები სხალთის ხეობის სოფლებში (ენერი, ფაჩხა, წაბლანა, ნიგაზეულსა და ხულოში). მათი გაანალიზების შედეგად შეიქმნა შედარებით სრულყოფილი სურათი აჭარელი ხიმშიაშვილების მიწათმფლობელობისა და მემამულური მეურნეობის შესახებ.

სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ აჭარელი ხიმშიაშვილების პირველი წარმომადგენელი იყო აბდული, რომლის ქართული სახელი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. მას თავის მხარეში კაცი შემოაკვდა და თავშესაფრის მიზნით ზემო აჭარაში გადმოსახლდა (სოფელი ნიგაზეული). ა. ხიმშიაშვილი მოკლებული იყო სარჩო-საბადეშელს და თავს ირჩენდა ადგილობრივი მოსახლეობის შემწეობით. იგი გამჭრიახი და მარჯვე გამოდგა, გამუსლიმანდა და მოკლე დროში ოსმალეთის მთავრობის ყურადღება მიიპყრო და საკმაო გავლენაც მოიპოვა. ა.ხიმშიაშვილს ბეგის წოდება მიანიჭეს.

აბდულ ხიმშიაშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა მარბიელთა რაზმი და თავდასხმებს აწყობდა გურიის სოფლებზე. მისი რაზმი ძარცვა-გლეჯასაც ეწეო-

და. 1782 წელს ა. ხიმშიაშვილი მოკლეს გურიის სოფელ აკეთზე თავდასხმის დროს. ეს თავდასხმა განხორციელდა ოსმალეთის მთავრობის დაკვეთით, რათა გაენადგურებია თავდგირიძეების გურიის შტო. ოსმალეთის იმპერიაში დიდი გავლენა მოიპოვა აბდულ ხიმშიაშვილის შვილმა სელიმმა, რომელიც შეიარაღებული აჭარლების მეშვეობით სამჯერ გახდა ახალციხის საფაშოს მმართველი (1802, 1803-1809 და 1812-1815 წწ.). სელიმ ხიმშიაშვილის გავლენას ისიც მოწმობს, რომ ოსმალეთის სულთანმა მას მიანიჭა სამთუღიანი ფაშის ტიტული, რაც ვეზირის წოდებას უტოლდებოდა.

სელიმ ხიმშიაშვილის სიკვდილის (1815წ.) შემდეგ მისი შვილები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფაქტიური მფლობელები იყვნენ. უფროსი ვაჟი ფარხადი ახალქალაქის გამგებელი იყო, ახმედი-აჭარის, აბდი-შავშეთის, დურსუნი-ტაოსკარის. მათ შორის ყველაზე უფრო დაწინაურდა ახმედი, რომელსაც ფაშის წოდება მიანიჭეს და სერასკირის თანამდებობაც უბოძეს. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში ერზრუმის ელიაეთის (1864 წლიდან ვილაიეთი) გამგებელი იყო. ვილაიეთში ზემო და ქვემო აჭარა, შავშეთ-იმერხევი, ლიფანი და მაჭახელიც შედიოდა.

ახმედ ხიმშიაშვილი ოსმალეთის სულთნის წყალობით და თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით, მსხვილი მინათმფლობელი გახდა. ჯაყელების საგვარეულოს დაკნინების შედეგად, რითაც ოსმალეთის სულთანმა იყო დაინტერესებული, ხიმშიაშვილები დაეპატრონენ სამხედრო ლენებს, რომლებიც ადრე ჯაყელების საკუთრება იყო. ხიმშიაშვილები, როგორც ნებისმიერი ფეოდალები, კარგად აცნობიერებდნენ, რომ მათი სიძლიერი წყარო იყო ადგილ-მამული. მინა იყო არა მარტო ფეოდალების, არამედ სახელმწიფოს შემოსავლის ძირითადი წყაროც. ოსმალეთში მინის საკუთრების 22 კატეგორია არსებობდა. მათ შორის ძირითადი იყო სახელმწიფო მიწები (ერაზი-მირიე), რომლებიც ფეოდალებს ეძლეოდათ სამხედრო ლენების სახით. მისი მფლობელი ვალდებული იყო შეიარაღებული ლაშქარი გამოეყვანა ხელისუფლების მოთხოვნისთანავე.

სამხედრო ლენის ტერიტორიაზე მოსახლე გლეხი ვალდებული იყო დაემუშავებია მინა, გადაეხადა გადასახადები. ლენის მფლობელი აქედან მიღებული შემოსავლის ნაწილს აძლევდა სახელმწიფოს, დანარჩენს თავისთვის იტოვებდა. XVII-XVIII საკუნეების მიჯნაზე ზემო აჭარა ერთ სანჯაყს წარმოადგენდა, რომელიც იყოფოდა 14 სამხედრო ლენად (ერთი სახასო, 4 ზეამეთი და 9 თიმარი). რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომამდე ახმედ ხიმშიაშვილს სამხედრო ლენის სახით გადაეცა ზემო აჭარის 10 სოფელი, რომლის მოსახლეობა იხდიდა მნიშვნელოვანი ოდენობის გამოსაღებს. 1829 წელს ახმედ ხიმშიაშვილმა ხულოს მეჩეთს შეწირა 4 სოფელი (ლორჯომი, დიდაჭარა, პაქსაძეები და ალმე). ხიმშიაშვილები ითვლებოდნენ ამ სოფლების მმართველად (მუთეველი), თვითონ კრეფდნენ გადასახადებს, ნაწილს მეჩეთს ახმარდნენ, დანარჩენს თავისთვის იტოვებდნენ.

სამხედრო ლენების გარდა, აჭარელი ხიმშიაშვილების საკუთრებაში მოექცა სახნავ-სათესი მიწების ნაწილი, ტყეები, საბალახოები და მდელოები, რომლებიც ადრე ადგილობრივი მოსახლეობის მფლობელობა-სარგებლობაში იყო. ჩვენს მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული ხასიათის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული მიწები გლეხებს წაართვეს ძალადობით. ამ გზით ჩაიგდეს ხელში ხულოს, სხალთისა და ხიხაძირის ხეობათა სოფლების ადგილ-მამულები, ბეშუმის, ახალდაბის (სარი-ჩაირი) და ჩირუხის მთების ტერიტორია, არტანის ოკრუმის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ახმედ ხიმშიაშვილმა (გარდაიცვალა 1836 წელს) თავის მემკვიდრეებს საკუთრებაში დაუტოვა 100000 დესეტინა ადგილ-მამული (დესეტინა უდრის 1.01 ჰექტარს). ეს მიწები მდებარეობდა ზემო აჭარაში, არტანისა და ფოცხოვის საჯანყებში. ადგილ-მამული შედგებოდა სახნავ-სათესის, სათიბების, საბალახოების, მდელოების, ტყეების, ბეშუმის, ახალდაბისა ჩიხაურის იალაღებისაგან. ახმედ ხიმშიაშვილის გარდაცვალების შემდეგ ადგილ-მამულები მის მეუღლეს დაუბეჭადეს დაუმტკიცეს. 1839 წელს მასვე გადაეცა ოსმალეთის სულთნის განახლებული ფირმანი ხულების მეჩეთის სოფლებზე. 1857 წელს ოსმალეთის სულთანმა შერიფ ხიმშიაშვილს ახალი ფირმანი გადასცა მამისეული სამემკვიდრეო მიწების შესახებ. სულთნის 1864 წლის 10 მაისის ფირმანით შერიფ ხიმშიაშვილს დაუმტკიცეს აგრეთვე მუთიველობა ხულოს მეჩეთის სავაყუფო სოფლებზე, რომლის ყოველწლიური შემოსავალი განსაზღვრული იყო 1500 ახჩის ოდენობით. იგი რუსული 300 რუბლის ექვივალენტური იყო (თურმანიძე ო., 2001:57).

XVII საუკუნეში ოსმალეთში დაიწყო სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისი. მინისმფლობელობის ლენური წყობა და მასზე დამყარებული სამხედრო ლაშქრის ფორმირება არაეფექტური აღმოჩნდა. ოსმალეთის სულთნის 1839 წლის 3 ნოემბრის რესკრიპტით იწყება აგრარული რეფორმა (თანზიმათი), რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში დასრულდა. ამ რეფორმით ალა-ბეგებს, მათ შორის ხიმშიაშვილებს ჩამოართვეს კერძო საკუთრების უფლება ადგილ-მამულზე. მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, ყველა სოციალურ ფენას, განურაჩევლად ნოდებისა, დაეკისრა მინის შემოსავლის ერთი მეათედის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ. რეფორმის შედეგად შერიფ ხიმშიაშვილს საკუთრებაში დაუტოვეს, მხოლოდ 16 დესეტინა. დანარჩენი ადგილ-მამული სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა და ხიმშიაშვილებს დარჩათ მხოლოდ მფლობა-სარგებლობის უფლებით, რისთვისაც ეკისრებოდათ აშარის გადახდა არსებული წესის მიხედვით.

აგრარული რეფორმის შედეგად ალები უფლებრივად გლეხებს გაუთანაბრეს, ხოლო ბეგებს სამემკვიდრეო პენსია დაუნიშნეს. აჭარაში, შავშეთში, ართვინსა და არტანუჯში საადგილმამულო – სამემკვიდრეო პენსია 47 ბეგს დაუნიშნეს. მათ შორის იყვნენ ჯაყელები, შერვაშიძეები, ხიმშიაშვილები, აბაშიძეები,

თავდგირიძეები. შერიფ ხიმშიაშვილის საადგილმამულო-სამემკვიდრეო პენსია 588 ყურუშს უდრიდა (სცსსა, ფ. 231, ან.1, ს.36, ფურც.6-7).

XIX საუკუნის 70-იან წლებში ხიმშიაშვილებმა თავიანთი ადგილ-მამულის ნაწილი გაყიდეს. მაგალითად, 1870 წელს შერიფ ხიმშიაშვილმა მთა ჩირუხი მიყიდა შავშეთელ ბეგს ფუათ ჯაყელს. აჭარის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების წინ 368 დესეტინა მიყიდეს ზემო აჭარის სოფელ თხილვანის მოსახელობას. აქედან 288 დესეტინა იყო საძოვარ-საბალახო. ნასყიდობის დოკუმენტი გაფორმდა სოფლის საზოგადოების წარმომადგენლებსა და აბას ხიმშიაშვილს შორის (სცსსა, ფონდი 13, ან.7, საქმე 2820, ფურც.103; ფ.231, ან.1, ს.162, ფურც.74-75; ასმხფ. საქმე 325, ფურც.100).

ამის შემდეგ შერიფ ხიმშიაშვილის ადგილ-მამული დაპატარავდა. 1880-1913 წლებში იგი შედგებოდა 8781 დესეტინისაგან. ამ მამულიდან ზემო აჭარაში მდებარეობდა 5834 დესეტინა, ხოლო არტაანის ოკრუგში-2847 დესეტინა.

შერიფ ხიმშიაშვილის მამულის უმეტესი ნაწილი მდებარეობდა ზემო აჭარის ხულოს, სხალთის, ქერის, ფაჩხას, ნაბლანის, ბაკოსა და პაპოშვილების სოფლებში, მთა ბეშუმსა და ახალდაბაში (სარი-ჩაირი). სახნავი იყო 406 დესეტინაზე მეტი, ხოლო სათიბი, საბალახო, მდელო – 3558 დესეტინა. დანარჩენი ტყეზე მოდიოდა. არტაანის ოკრუგის სოფელ ურისა და ალაგეზ-ყარაბაღის ადგილ-მამულიდან ტყეს ეკავა 1870 დესეტინა. დანარჩენი იყო სახნავი, სათიბი და საბალახო. ხულოსა და სხალთაში შერიფ ხიმშიაშვილს ჰქონდა სახლ-კარმიდამოები, ბაკოში (ქორახი) საზაფხულო აგარაკი, ახალდაბის მთაზე დასასვენებელი სახლები (სცსსა, ფ. 13, ან.7, ს.2820, ფურც.103; აცსა, ფ. ი-81, ან.1, ს.106, ფურც.32).

შერიფ ხიმშიაშვილი 1892 წელს გარდაიცვალა 63 წლის ასაკში. მას დიდი ოჯახი ჰყავდა (13 ვაჟი და 12 ასული). XIX საუკუნის 80-90-იან და 900-იან წლებში ცოცხლები იყვნენ შერიფის ვაჟიშვილები: ჯემალი, თემური, ზექერია, ზაბითი, ჯეფერი, ისა, ჯელალი, ყაია და სხვები. მათი მამული დანაწილებული არ იყო და საერთო ძალისხმევით უძღვებოდნენ. ტყეები და მდელოები სოფლის საზოგადოებისაგან გამიჯნული არ ყოფილა. ამის გამო საღალლო გამოსაღებს (აშარი) ცარიზმის ხელისუფლება სოფლის საზოგადოებებს აწერდა.

რუსეთის მთავრობა, ოსმალურ საადგილმამულო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, არ ცნობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ალა-ბეგების კერძო მესაკუთრებულ უფლებებს მიწაზე. ცარიზმის ბატონობის დროს ამ საკითხზე გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა. შერიფ ხიმშიაშვილის ბრძოლა მიწების კერძო საკუთრებაში დამტკიცების შესახებ გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა. რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების ბრძანებით სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე სწავლობდა აჭარელი ხიმშიაშვილების საადგილ-მამულო საკითხს. ბოლოს რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა

შერიფ ხიმშიაშვილის დამსახურება რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში და იმპერატორის ნიკოლოზი მეორის 1912 წლის 25 აპრილის ბრძანებით შერიფ ხიმშიაშვილის მემკვიდრეებს კერძო საკუთრებაში დაუმტკიცეს 8295 დესეტინა ადგილ-მამული. ოსმალთა დროინდელი მიწებიდან მხოლოდ 385 დესეტინა ჩამოაჭრეს და სახელმწიფო ხაზინის საკუთრებაში მოაქციეს. იგი იყო ტყის მასივი, რომელიც არტაანის ოკრუგის სოფელ ურში მდებარეობდა (სცსსა, ფ. 13, ან.7, ს.2820, ფურც.103). რაც შეეხება ხულოს მეჩეთზე შეწერილ სავაყუფო სოფლებს, რუსეთის ხელისუფლებამ ჩამოართვა შერიფ ხიმშიაშვილს და სახელმწიფო დასახლების კატეგორიაში გადაიყვანა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფეოდალებს შორის აჭარელი ხიმშიაშვილები გამონაკლისი იყვნენ, ვისაც კერძო საკუთრებაში მიწები დაუმტკიცეს. ამიერიდან ისინი აღარ იხდიდნენ საღალაო გამოსაღებს, რომელიც 1901 წლის რეფორმის შემდეგ დაწესდა. აჭარელი ხიმშიაშვილების მიწებზე შეწერილი იყო სახელმწიფო საადგილმამულო გადასახადი და საერობო მოსაკრებელი, რომლებიც გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე საღალაო გამოსაღები.

მიწისმფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემის დროს ხიმშიაშვილები ფიზიკურად არ მუშაობდნენ. მათი მოსავლის ძირითადი წყარო იყო გადასახადები, რასაც გლეხები იხდიდნენ. აგრარული რეფორმის შემდეგ გლეხები გადასახადებს მხოლოდ სახელმწიფოს აძლევდნენ. რუსეთის მფლობელობის დროს ხიმშიაშვილები მამულის ნაწილს თვითონ ამუშავებდნენ, ჰყავდათ შინამოსამსახურეებიც. მამულის მეორე ნაწილს იჯარით აძლევდნენ, რომლის ძირითადი ფორმა იყო მონახევროება. მიწის იჯარით გაცემა არ ჭირდა, რადგან აქაური გლეხები მცირე-მიწიანი იყვნენ.

ხიმშიაშვილების მეურნეობაში ფართოდ გამოიყენებოდა ორმინდვრიანი სისტემა, რამდენიმე წლით ასვენებდნენ სახნავ მიწას და მას სათიბად აქცევდნენ. საძოვრებს აძლევდნენ ქურთებს და ადგილობრივ გლეხებს. ქურთები თითოეულ მსხვილფეხა საქონელზე იხდიდნენ 20 კაპიკს, ხოლო წვრილფეხა საქონელზე – 3 კაპიკს. ადგილობრივი გლეხები ნატურით იხდიდნენ: თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე სამ გირვანქა კარაქსა და ექვს გირვანქა ყველს (გირვანქა უდრის 453, 59 გრამს). ქუთაისის სახაზინო პალატის ცნობით, ადგილობრივ ბაზარზე ერთი გირვანქა კარაქი ღირდა 40 კაპიკი, ხოლო ყველი – 20 კაპიკი (აცსა, ფ. ი-81, ან.1, ს.106, ფურც.33).

1913 წლის ცნობით, ხიმშიაშვილების საძოვრებზე ითვლებოდა 25 ათასი სული წვრილფეხა საქონელი და 3000 სული მსხვილფეხა. მათ საკუთრივ ჰყავდათ 2000 სული წვრილფეხა (თხა-ცხვარი) და 30 სული მსხვილფეხა საქონელი. გარდა მეცხოველეობისა, ხიმშიაშვილების მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგები იყო მარცვლეული კულტურები, ძირითადად სიმინდი, თამბაქო და ხე-ტყე. სამასაღე

მერქანს მრეწველები ყიდულობდნენ, ხოლო შეშასა და საოჯახო მოხმარების ხე-ტყის მასალას – ადგილობრივი მოსახლეობა. 1913 წელს ხიმშიაშვილების მამულის შემოსავალი ბათუმის ოკრუგში 5324 რუბლს უდრიდა. აქედან სათიბებსა და საძოვრებზე მოდიოდა 1700 რუბლი, სიმინდის მოსავალზე – 2030, თამბაქოზე – 1000, გლეხებზე ხე-ტყის მასალის მიყიდვით – 400 რუბლი და სხვა. სოფელ ხულოში ჰქონდათ სავაჭრო დუქნები, საწყობები და სხვა შენობა-ნაგებობანი. სავაჭრო დუქანში გამყიდველად დაქირავებული ჰყავდათ ეროვნებით ბერძენი ვაჭარი ე. ეფრემიდი, რომელსაც წლიურად 100 რუბლს უხდიდნენ (აცსა, ფ. ი-81, ან.1, ს.106, ფურც.33-34; ო. თურმანიძე, 2009:135-136).

კიდევ უფრო დიდი იყო შემოსავალი არტაანის ოკრუგის მიწებიდან. მართალია, ამის შესახებ კონკრეტული მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ 1901-1913 წლებში განერილი საღალაო გამოსაღებისა და საერობო მოსაკრებლის ნარჩენები ამ დასკვნის საფუძველს იძლევა. კერძოდ, ეს ნარჩენები 1913 წლისათვის 4027 რუბლს შეადგენდა, საიდანაც სოფელ ურის მამულზე მოდიოდა 871 რუბლი, ხოლო ალაგებ-ყარაბახის მიწებზე – 3157 რუბლი (აცსა, ფ.ი-81, ან.1, ს.106, ფურც.18; თურმანიძე ო., 2009:136-137).

ხიმშიაშვილები მეცხოველეობის პროდუქტებს ბათუმსა და სხვა სავაჭრო ცენტრებში ასაღებდნენ. ბათუმის მოსახლეობის საქანლის ხორციით მომარაგების თაობაზე წინასწარ აფორმებდნენ ხელშეკრულებას ქალაქის გამგეობასთან. 1901 წლის იანვრამდე ერთ ფუთ საქონლის ხორცში (ცოცხალი წონა) ბათუმის საქალაქო გამგეობა 2 რუბლსა და 80 კაპიკს უხდიდა. ქალაქის გამგეობამ ხიმშიაშვილებს 18000 რუბლი გადაუხადა. 1901 წლის სექტემბერში ყაია და ჯელალ ხიმშიაშვილებთან ბათუმის საქალაქო გამგეობამ ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვით ერთ ფუთ საქონლის ხორცში (ცოცხალი წონა) გადაუხდიდა 4 რუბლს. იმავე წლის 24 სექტემბრის ქალაქის სათათბირომ დაამტკიცა აღნიშნული ხელშეკრულება და ხიმშიაშვილებმა წინასწარ, ავანსად მიიღეს 5000 რუბლი (აცსა, ფ.ი-7, ან,1, ს.371, ფურც.7-9). ანალოგიური ხელშეკრულებები ყოველწლიურად ფორმდებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აგრარული კანონმდებლობა ხიმშიაშვილებს არ შეეხებია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მათ მიმართ უკიდურესად რადიკალური ზომები გატარდა: უსასყიდლოდ ჩამოართვეს ყველა სახის მიწა, საცხოვრებელი სახლებია სხვა შენობა-ნაგებობანი. კონკრეტულად: ხულოს მაზრაში ჩამოართვეს 6 საცხოვრებელი სახლი, 2 საზაფხულო აგარაკი (სარი-ჩაირში), 2 საცხენე და სხვა. ჯემალ ხიმშიაშვილის საცხოვრებელი სახლი, რომელიც 12 ოთახისაგან შედგებოდა, გადაეცა ხულოს საბაზრო აღმასკომს, ხოლო ზაბით ხიმშიაშვილის სახლი - აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სა-

ხალხო კომისარიატს, რომელშიც მაზრის საავადმყოფო განთავსდა (აცსა, ფ.რ-2, ან.1, ს.199, ფურც.481; ს.237, ფურც.18; ფ.რ-77, ან.1, ს.14, ფურც. 52, 58-59, 198).

რაც შეეხება ხიმშიაშვილების ადგილ-მამულებს, ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას გაუნაწილეს, მეორე ნაწილი ხულოს სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო ფონდს გადასცეს. ტყის მასივები კი სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. ხიმშიაშვილებს ძალადობით წაართვეს შინაური საქონელი (პირუტყვი, ავეჯი, სხვა უძრავ-მოძრავი ქონება). ოჯახებიდან სიმინდიც კი წაიღეს. საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები მათ იძულებდა სამშობლოს დატოვებას და უცხო ქვეყანაში გადასახლებას. ამისათვის ადგილობრივი გლეხების ჩამორჩენილი ფენებიც აამხედრეს. ხიმშიაშვილებს ფიზიკურ არსებობას სერიოზული საფრთხე შეექმნათ. ისინი იძულებული გახდნენ თურქეთში გადახვეწილიყვნენ, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი მიიღეს. აჭარაში ბედის ანაბარად დატოვებული ცოლ-შვილი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ისინიც თანდათანობით თურქეთში გადაიყვანეს, ვინც აჭარაში დარჩა, სრულწლოვანი ასაკის მიღწევისათანავე, სასტიკად აწამეს, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკურ მსხვერპლად აქციეს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სცსსა), ფ.13, ან.7, საქმე 2820;
2. სცსსა, ფ.231, ან.1, საქმეები 36,162
3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა) ფ. ი-81, ან.1, ს.106;
4. აცსა, ფ. ი-7, ან.1, ს.371;
5. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (ასმფ), სს.172-325;
6. თურმანიძე ო., საადგილმამულო ურთიერთობანი სახმრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში (XVI ს. – 1878 წ.). ბათუმი, 2001;
7. თურმანიძე ო. საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სახმრეთ- დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წწ.). ბათუმი, 2009

Otar Turmanidze

Sherif Khimshiashvili farm

Summary

Khimshiashvili's farm main field was livestock; they also received significant income from wood-trading. In this article is reviewed Ajarian Khimshaishvili origin history and is characterized their landownership and farm.

გენერალ-მაიორი ქრისტეფორე მამაცაშვილი და მისი უცნობი წერილები

ამ წერილს ჰქვია შთამბეჭდავი სახელი - „პირველი შეხვედრა აჭარა-ქობულეთელებთან“, რომელიც ავტორს 1879 წელს დაუწერია. იგი 1890 წლის 25 თებერვალს გამოქვეყნდა გაზეთ „თეატრში“ (გაზეთი 1885 წელს დაარსდა, მისი რედაქტორები იყვნენ ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია და ალექსანდრე ნებიერიძე. ქრ. მამაცაშვილის წერილი სწორედ ამ უკანასკნელის რედაქტორობის დროს დაიბეჭდა; ამის შემდეგ გაზეთმა მხოლოდ რამდენიმე თვე, 1891 წლამდე იარსება).

ეს წერილი როგორც პირველწყარო, დღემდე ჩვენი აზრით, არავის გამოუყენებია, ყოველ შემთხვევაში აჭარაზე მიძღვნილ ისტორიულ ლიტერატურაში ამ წერილზე მითითება არ შეგვხვედრია. იგი არც ხარიტონ ახვლედიანის ბიბლიოგრაფიაშია შეტანილი. სხვათა შორის, ამ წერილს არ იხსენებს აგრეთვე „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ ავტორი, შესანიშნავი მკვლევარი და მეცნიერი ალექსანდრე კალანდაძე გაზეთ „თეატრის“ მიმოხილვის დროს. ამიტომ ვუნოდეთ მას „უცნობი წერილი“, რომელსაც ქვემოთ მთლიანდ გთავაზობთ.

მანამდე გავეცანით წერილის ავტორის ბიოგრაფიას. სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ ავტორის ფოტოს, მაშინ როცა ხელთა გვაქვს მისი მამის და ბიძის ფოტოები .

ქრისტეფორე იოსების ძე მამაცაშვილი დაიბადა 1839 წლის 5 აპრილს სოფელ რუისში (ქარელის რაიონი) საშუალო მოხელის ოჯახში. მამა იოსები (1810-1874) თბილისის სასუსიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ გორის მაზრის კანცელარიაში, შემდეგ მეფისნაცვლის კანცელარიაში თარჯიმნად მუშაობდა. მონაწილეობდა 1832 წლის თავადაზნაურთა შეთქმულებაში, რის გამო ვიატკაში გადაასახლეს, სადაც გაეცნო. ა. გერცენს (1812-1870).

1836 წელს იოსები სამშობლოში დაბრუნდა, მონაწილეობდა ყირიმის ომში, 1869 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. საგლეხო რეფორმის გატარების დროს გლეხების ინტერესებს იცავდა, რის გამოც მეორეჯერ გაასახლეს. გარდაიცვალა 1874 წ. გორში, დაკრძალულია ს. რუისში.

იოსებს ცოლად ჰყავდა კონსტანტინე მელვინეთუხუცესის ქალი ნინო, რომლიდანაც შეეძინა 12 შვილი: 6 ქალი და 6 ვაჟი. იოსებ მამაცაშვილი ცნობილია, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე. იგი აქვეყნებდა ლექსებს, წერილებს, თარგმანებს, არის „დღიურების“ ავტორი, მის სახლში თავს იყ-

რიდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები. სწორედ აქ გადაწყდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება.

იოსების ძმა კონსტანტინეც (1818-1900) სამხედრო პირი იყო და მასზე მაღალი, გენერალ-ლეიტენანტის წოდება ჰქონდა (1869 წლიდან). იგი სწავლობდა და მეგობრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილთან. დაამთავრა პეტერბურგის კადეტთა კორპუსი. 1840 წელს იბრძოდა ჩეჩნეთში, სადაც გაიცნო მიხეილ ლერმონტოვი. მონაწილეობდა ყირიმის ომში, იყო კავკასიის გრენადერთა არტილერიის უფროსი, 1860 წ. მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება, 1877 წელს განჯის გუბერნატორი რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილეა. 1884 წელს ავადმყოფის გამო თავი დაანება სამხედრო სამსახურს და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში, მეგობრობდა დიმიტრი ყიფიანთან, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებთან, მიხეილ თუმანიშვილთან. საქმიანობდა სათავადაზნაურო ბანკში, მონაწილეობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და ქართული გიმნაზიის დაარსებაში. აქ იგი თავის ხარჯზე ასწავლიდა აჭარიდან ჩამოყვანილ რამდენიმე მოსწავლეს. კ. ქ. მამაცაშვილი იყო 1878 წლის 20 ნოემბერს მუსლიმანი ქართველებისათვის საგანგებოდ მოწყობილი ბანკეტის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე, გარდაიცვალა 1900 წელს, დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანტეონში.

ასეთ ოჯახში დაბადებულ იოსების მესამე ვაჟს, ქრისტეფორეს, ბუნებრივია იმთავითვე გაუღვივდა მწერლობისა და ლიტერატურისადმი ინტერესი. იგი ჯერ კიდევ 1867 წლიდან საინტერესო წერილებს აქვეყნებდა ქართულ პრესაში („დროება“, „ივერია“) ქველმოქმედებაზე, სახალხო განათლებაზე, ლიტერატურაზე, ცნობილ მოღვაწეებზე (დ. ბაქრაძე, ი. ჭავჭავაძე, ზ.ჭიჭინაძე), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე, სოფლის მეურნეობასა და სხვა საკითხებზე. იგი იყო ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი საქმის ერთგული, დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ერის მამას, როგორც მისი თანამოაზრე და თანამებრძოლი, რასაც იმდროინდელი პრესაც ადასტურებს. ქრ. მამაცაშვილს ეკუთვნის 1898 წელს გაზეთის ფურცლებიდან ილიას იუბილეს ჩატარების მოთხოვნა. მანვე 1907 წლის 14 სექტემბერს გამოაქვეყნა საპროტესტო წერილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო, რაშიც ხელისუფლებას ადანაშაულებდა.

ქრ. მამაცაშვილი თანამშრომლობდა პეტერბურგის გაზეთ „პეტერბურგსკიე ვედომოსტში“, 1902 წელს იგი აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილს, როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი ევროპაში მშვიდობიანობა. ერთი წლის შემდეგ კი ამავე გაზეთში ქვეყნდება მისი წერილი, რომელიც საქართველოში ეროვნული ფაქტორების გაძლიერებას და რუსულ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობას ეხება.

1881 წელს ქრ. მამაცაშვილის ავტორობით გამოქვეყნდა წიგნიც „დროა საქმეს შევედგეთ“, იგი განათლების და კულტურის საკითხებს ეხება.

ქრისტეფორე მამაცაშვილი პირადი ქველმოქმედებითაც გამოირჩეოდა. 1900 წელს მან სოფელ ზემო გომის სკოლის ასაგებად საკუთარი მიწის ნაკვეთი შესწირა, აგრეთვე სკოლისათვის გაიღო 50 მანეთი, რასაც მაშინ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იგი საგამომცემლო საქმითაც იყო გატაცებული. 1881 წელს მან გამოსცა ანტონ ფურცელაძის თხზულება, „ვაი, მართალია“?

საზოგადო მოღვაწეობას ქრ. მამაცაშვილი სიცოცხლის ბოლომდე არ ჩამოშორებია. 1909 წლის 1 იანვარს შედგენილ სიაში იგი ირიცხება, როგორც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილი წევრი.

ქრისტეფორე მამაცაშვილი გარდაიცვალა 1909 წლის 11 აპრილს თბილისში. იგი დაკრძალეს ვერაზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში. სამწუხაროდ, მისი საფლავი ამჟამად დაკარგულია.

ცალკე განხილვას იმსახურებს ქრისტეფორე მამაცაშვილის სამხედრო მოღვაწეობა. 1857 წლიდან იგი რუსეთის არმიის ოფიცერია. მონაწილეობდა 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. ირიცხებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის მაიკოპის სამაზრო სამხედრო ნაწილის უფროსად. როგორც თავად წერს, ომამდე იბრძოდა ქობულეთის მისადგომებთან, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ იგი დანიშნეს ქობულეთის რაზმის ბატალიონის უფროსად. სწორედ ამასთან დაკავშირებით წამოვიდა ყარსიდან თბილისში, შემდეგ ბათუმსა და ქობულეთში.

1883 წელს ქრ. მამაცაშვილი პოლკოვნიკია, მსახურობს 34-ე არტილერიის ბრიგადაში, შემდეგ მას გრენადერთა მე-2 მსროლელი არტილერიის დივიზიონის უფროსად ნიშნავენ. 1900 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება.

ქრ. მამაცაშვილი დაჯილდოებული იყო წმინდა სტანისლავის, წმინდა ვლადიმირის და წმინდა ანას ორდენებით.

ქრ. მამაცაშვილის წერილი „პირველი შეხვედრა აჭარა-ქობულეთელებთან“, ოსმალეთის ბატონობისაგან ასლადგათავისუფლებული მხარის საჭირობოროტო საკითხებს ეხება. იგი ერთგვარად ავსებს ა. ფრენკელის, გ. წერეთლის, ი. მეურნარგიას და სხვა მოღვაწეთა ჩანაწერებს.

ქრ. მამაცაშვილი თავის შთაბეჭდილებებს იწყებს აჭარის ბუნების აღწერით, რომელმაც გადააჭარბა მოლოდინს კაცისას, რომელსაც „დიდი ხნის განმავლობაში, ომის წინად გუმბრში და შემდეგ ყარსთან თითქმის არ ენახა არამც ერთი სული უბრალო ხეც კი“.

ბუნებრივია, მოგზაურს იზიდავდა „იქაური ხალხი, ძველიდგანვე მოწყვეტილი დანარჩენ საქართველოსაგან“. ქრ. მამაცაშვილი იგონებს ომის პერიპეტეებს ხუცუბანთან და ადგილობრივ ვაჭრებს, რომელნიც „ლაპარაკობდნენ

წმინდა ქართულის ენით“. ავტორი აღწერს ოსმალთაგან ქობულეთელთა გადაგვარების მცდელობას, რომლებმაც, შესაძლოა ჩვენს დროშიც ბევრი რამ გაგვახსენოს. მუსულმანი ქართველების თავის ქრისტიან მოძმეებთან ინტერესის და ერთმანეთზე დაშორების მიზნით ოსმალეთის ხელისუფალნი „ბლომად გზავნიდნენ სტამბოლში ქობულეთლების ბავშვებს და ჰზრდიდნენ სხვა და სხვა სასულიერო, საერო და სამხედრო სასწავლებლებში. აქ ბავშვები ეთვისებოდნენ ოსმალეთის (ისლამის-რ.ს) სარწმუნოებას, ენას, ზნეს და ჩვეულებას. თავიანთ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამათ აძლევდნენ თანამდებობას მოღვაწის, ათისთავების, ასისტანტების და სხვა... ეს გაოსმალებული მოხელეები ძალიან მოქმედებდნენ თავის ხალხზე და ავინყებდნენ თავის ვინაობას, უნერგავდნენ გულში სიძულვილს თავის მოძმეებთან, მაჰმადიანობას და ოსმალს უხდიდნენ თავის სამშოლო სჯულად და ხალხად“ - სწერს ქრისტეფორე. ეს ციტატა შემთხვევით არ მოვიტანე, იგი სადღეისო მაგალითადაც გამოდგება და იქნებ ბევრ ჩვენს თანამემამულეს აუხილოს თვალი.

ქრ. მამაცაშვილი გახარებულია, რომ ასეთი საშიში ქმედებების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა მტკიცედ დგას ეროვნული ინტერესის დაცვის სადარაჯოზე. იგი აღწერს ადგილობრივ ოფიცერთან ნიჟარაძესთან (დედი-ალა, რ.ს.) შეხვედრას, რომელთანაც თარჯიმანის გარეშე საუბრობდა. მასთან ურთიერთობით დარწმუნდა, რომ აჭარლებს თავისუფალი ცხოვრება სურდათ და მათ გულზე არც ოსმალ და არც რუსი დამპყრობელი ეხატებოდათ.

ადგილობრივ მცხოვრებლებთან „რუსი“ ოფიცრის მოსაღმებამ და ქართულმა საუბარმა ქობულეთელები აღტაცებაში მოიყვანა. გაირკვა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარი მამულიდან ოსმალეთში გადასახლებას აპირებდა: „ჩვენი ბევრები ოსმალეთში გადასახლდნენ, ხალხი უწინამძღოლოდ დატოვეს, ჩვენ არ ვიცით როგორ მოვიქცეთო და მთხოვეს ჩვენი აზრები მეთქვა იმათთვის“.

როგოც ცნობილია, ადგილობრივ მკვიდრთა აყრით დაინტერესებული იყო ორივე იმპერია. რუსეთს ნაყოფიერი და სააგარაკო ადგილების მუქთად ხელში ჩაგდება სურდა, ოსმალეთის ხელისუფლება კი მოუსავლიან და ხრიოკ ადგილებზე ახალი, შრომისმოყვარე და გამრჯე ხალხის ჩასახლებას ლამობდა. ამ პოლიტიკას ერთგვარად ხელს უწყობდნენ ადრე წასული ბევრები (თავდგირიძეები, ბეჟანიძეები და სხვა). მოსახლეობის დიდი რიცხვის გადასახლებით მათ სურდათ საზღვარგარეთ შეექმნათ ძლიერი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც გაილაშქრებდა რუსების წინააღმდეგ და მათ გააძევებდა დაკავებული ტერიტორიიდან. ორი დამპყრობელის მხრიდან ასეთი აბურდულ-დაბურდული მოქმედებების მიუხედავად, ქრ. მამაცაშვილი მაინც რჩება ქართველ მამულიშვილად. რუსეთის მაღალი სამხედრო მოხელე არ ერიდება საკუთარი კარი-

ერის დაკარგვას და მოსახლეობას აძლევს სწორ რჩევა-დარიგებას. დასაწყისში ის ოსმალეთს ეხება: „ოსმალნი შეიძლებენ კიდევაც მისცენ მცირეოდენი რამე ბეგებს, ნაცვლად სამშობლოს და მამულების დაკარგვისა, მაგრამ მათთან გადასახლებულ ხალხს კი ისინი ღვთის ანაბარობაზედ გაუშვებენ, როგორც უყვეს კიდევ გადასახლებულ ჩერქეზებს, ჩაჩნებსა და აფხაზებს“... შემდეგ იგი რუსების უსამართლობას ეხება და გლეხებს უხსნის: „აფხაზებს უნდოდათ ისევ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ რუსებმა აღარ მიიღეს და მრავალი მათგანი განყდა შიმშილისაგან მთელ დედამიწის ზურგზედ ცოტა არის ისეთი მშვენიერი ადგილები, როგორიც თქვენ გიჭირავთ.... რუსის მთავრობა იმ მამულებს, რომელსაც ხალხი სტოვებს უპატრონოდ, ურიგებს სახელმწიფო მოსამსახურე პირთა. ამ მხრივ ჩემთვის პირადად ძალიან სასარგებლო იქნება თქვენი გადასახლება და ქვეყნის დაცარიელება, რადგან მე მაჩუქებენ ათას დესეტიანამდე მიწას თქვენს ედემის მსგავს ქვეყანაში, მაგრამ მე, როგორც მამულის შვილი, გირჩევთ, რომ ნუ ჩაიდენთ მაგიდასთან დიდ შცდომას, რის გასწორებასაც ველარ შეიძლებთ“.

ვფიქრობთ დიდი დაკვირვება არაა საჭირო იმისათვის, დავრწმუნდეთ, რაოდენ დიდი რისკის ფასად ესაუბრება რუსეთის ოფიცერი ადგილობრივ მცხოვრებთ და რაოდენ დიდ მამულიშვილობას და ჭეშმარიტ ქართველობას ავლენდა მათთან საუბარში.

ქრ. მამაცაშვილს ახლო ურთიერთობა დაუმყარებია სამებელ სულეიმან დიასამიძესთან, რომელსაც სოფლის ყრილობისათვის გადაუცია ოფიცრის რჩევა-დარიგება და ამას ერთგვარი შედეგები მართლაც გამოუღია. სამწუხაროდ, იმ სოფლიდან, რომელთაც ყრილობაზე დეპუტატი არ ჰყავდათ, მოსახლეობა აიყარა და მისთვის არასასურველ და რთულ გზას გაუდგა. თუმცა როცა პასპორტების გამო შეფერხდნენ და გაიგეს, რომ ოლქის უფროსად გრიგოლ გურიელი დანიშნეს, მათ ნაწილი უკან გამობრუნდა.

საყურადღებოა, რომ ქობულეთელთათვის იგივე რჩევა მიუცია გრ. გურიელსაც. ს. დიასამიძე დაეჭვებულა - პირი ხომ არ გქონდათ შეკრულიო, მაგრამ შემდეგ დარწმუნდა, რომ ისინი ერთმანეთს კარგად არც იცნობდნენ და ეს რჩევა-დარიგება ყოველი ქართველი მამულიშვილის გულიდან ამოსული იყო.

მალე ქრ. მამაცაშვილს აცნობეს, რომ მისი ბატარეა გორში გადადიოდა. სულეიმან დიასამიძეს მისთვის უთქვამს ქართული წიგნი მაქვს, მოგიტან, თანაც შენს მისამართს გამოგართმევო, მაგრამ ტელეგრამით გამოძახების გამო ეს აღარ მოესწრო, „ველარ ვნახე ვერც წიგნი, ვერც სულეიმანი“-ო, სინანულით წერს ქრ. მამაცაშვილი და აკეთებს სრულიად ლოგიკურ დასკვნას: „თუ საზოგადოდ საოსმალლო საქართველო ამ დროს გადასახლდა თავის ქვეყნიდან - მიზეზი ამისი იყო უპატრონობა: ერთი ორი რიგიანი ჩამგონებელი და ისინი არასოდეს

არ დატოვებდნენ თავის ქვეყანას, სადაც იმოდენა სისხლი ჰქონდათ ჩაღვრილი იმათ მამა-პაპას.“

მეც ამ სიტყვებით დავასრულებ ღირსეული მამულიშვილის წერილზე საუბარს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ბაბუნაშვილი ზ., ნოზაძე თ. მამულიშვილთა სავანე. თბილისი, 1994, გვ. 245-147
2. ბერძენიშვილი მ. მასალები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II თბილისი, 1983, გვ. 82-85 .
3. Гогитидзе М. Военная элита Кавказаю 1 Тбилиси, 2007 г. стр. 177.
4. დევიძე მ. წერილი რედაქციის მიმართ. გაზ. „ივერია“ 1900 წ. 17 სექტემბერი, № 234, გვ. 4
5. მეტრეველი რ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. თბილისი, 1982 წ. გვ. 282
6. ახალი ამბავი. გაზ. „ივერია“, 1897, 31 მაისი, № 105, გვ. 1, 2. მამაცაშვილი ქრ. თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეს გამო.
7. გაზ. « ივერია » , 1903, 9 იანვარი, № 6, გვ. 1 .
8. გაზ. « ივერია », 1881, № 4, გვ. 129.135. რეცენზია ახალი წიგნები.
9. გაზ. ცნობის ფურცელი, 1902, 7 დეკემბერი, № 2006, გვ. 3;
10. გაზ. „თეატრი“ , № 9 , 1890, 25 თებერვალი, გვ. 162.
11. ცნობის ფურცელი, 1848, 30 თებერვალი, № 460, გვ. 2,3.
12. „ცნობის ფურცელი“ , 1901, 19 მარტი, № 1414, გვ. 4.
13. Газ. „Петербургские ведомости „ , 1902 г № 329;

პირველი შეხვედრა აჭარა-ქობულეთელბთან

წარსული ომის შემდეგ, მე დამნიშნეს ბატარეის უფროსად ქობულეთის ოტრიადში. ამისათვის უნდა წავსულიყავი ყარსიდან თბილისზე გურიასა და ქობულეთში და გამეველო მთელი საქართველო, თუმცა მე ვიცოდი, რომ იქ ლამაზი და მდიდარი ბუნება არის, მაგრამ იმან, რაც აქ ჩემი თვალთა ვნახე, სულ გადააჭარბა ჩემს მოლოდინს; წარმოიდგინეთ ტყეები, სავსე მრავალგვარი ხეხილით, უზარმაზარი ლეღვებით, ყველა დიდ ხეზედ შემოხვეული ვაზებით, მრავალი როდოდენდრონები და ხეების უშველებელ სიმაღლეზედ ასული მცენარეებით და თქვენ მიჰხვდებით, რომ ყველა ამას უნდა მოვეყვანე აღტაცებაში, მით უმეტესად, რომ დიდი ხსნის განმავლობაში, ომის წინად გუმბრში და შემდეგ ყარსთანაც მე არ მენახა თითქმის არც ერთი სულ უბრალო ხეც-კი.

რასაკვირველია, ბუნებაზედ კიდევ უმეტესად მე მიზიდავდა იქაური ხალხი; ძველთაგანვე მოწყვეტილი დანარჩენ საქართველოსაგან და გამაჰმადიანებული. სურვილი მქონდა ამ ხალხის გაცნობისა და ამისრულდა, როცა გათავდა ომიანობა.

ზავი რომ ჩამოვარდა, ქობულეთის ოტრიადის ორი ბატარეა არტილერიისა დაარჩინეს წინა პოზიციაზედ ხუცუბანში, დანარჩენი ჯარები კი უკან დასწინეს ოზურგეთსა და იმის მიდამოებისაკენ, რამდენსამე ხანს ჩვენსა და ოსმალოს ბანაკებში დაიარებოდნენ აფიცრები და სალდათები, წინად მტრად ნამყოფი ჯარებისა, მაგრამ მალე გაჩნდნენ ვაჭრებიც-ქობულეთელები, სხვა და სხვა ევროპიული სასმელებით, თამბაქოთი და აბრეშუმეულით. ეს ვაჭრები ლაპარაკობდნენ წმინდა ქართულის ენით; ამათა ჰქონდათ დავთრები, საცა ქართულათა სწერდნენ ყველა სავაჭრო ნივთებს, მხოლოდ ხმარობდნენ არაბულ ანბანს, ამ გარემოებამ გამაკვირვა და, რასაკვირველია, მინდოდა შემეტყო ამისი მიზეზი: სხვა და სხვა პირთა ნაამბობიდან მე შევიტყვე შემდეგი: ყირიმის ომის დროს ოსმალეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ ქობულეთის მცხოვრებელნი და გურულები ერთი და იგივე ხალხია და რუსთ ხელმწიფის მბრძანებლობის ქვეშ ამ სურვილის მოსაპოვრად, ოსმალები ბლომად გზავნიდნენ სტამბოლში ქობულეთელების ბავშვებს და ჰზრდიდნენ სხვა და სხვა სასულიერო, საერო და სამხედრო სასწავლებლებში. აქ ბავშვები ითვისებდნენ ოსმალეთის სარწმუნოებას, ენას, ზნეს და ჩვეულებას. თავიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იმათ აძლევდნენ თანამდებობას მოღების, ათის-თავობას, ასის-თავობას და სხვა. ქობულეთს ჰქონდა სამხედრო განწყობილება. ეს გაოსმალებული მოხელეები და-

ლიან მოქმედებდნენ თავის ხალხზე და ავიწყებდნენ თავის ვინაობას. უნერგავდნენ გულში სიძულვილს თავის მოძმეებთან, მაჰმადიანობას და ოსმალს უხდიდნენ თავის სამშობლო სჯულად და ხალხად.

თუმცა ოსმალთაზე თავსა სდებდნენ, მაგრამ მაინც ქობულეთელებს ახსოვდათ კიდეც, რომ ისინი ქართველები არიან შთამომავლობით; ზოგიერთ დასახლებაში კიდეც იციან ქართული წერა, მაგრამ იმნაირი-კი, რომ მხოლოდ კარგს მცოდნე სხვა და სხვა დროს ქართული ნაწერისას შეუძლიათ წაიკითხოს იმათი ნაწერი; ერთხელ მე ვიყავი ოტრიადის უფროსად, რადგანაც ჩემი უფროსი ოზურგეთში იყო წასული, ამ დროს მოვიდა ჩემთან ერთი ქობულეთელთაგანი ოფიცერი, მოენითურთ და მოიტანა წერილი, ქართულს ენაზე დაწერილი, გამოგზავნილი ქალაქ ქობულეთის ოსმალს გარნიზონის უფროსისაგან, რაწამს შევხედე ამ ოფიცერს, მაშინვე შევატყვე, რომ ის ქობულეთის თავადთაგანი უნდა ყოფილიყო; მართლაც მე არ შეეცდი, ის იყო ქობულელი ნიჟარაძე“ (დედეალა ნიჟარაძე - 1837-1905. რ.ს.). ეს აფიცერი შემოვიდა ჩემთან, მომანოდა წერილი და უნდოდა დაეწყო ჩემთან ლაპარაკი მოენის შემწეობით. როდესაც მე დავუწყე ქართულათ ლაპარაკი, იმას ძალიან გაუკვირდა. მე ვსთხოვე აეხსნა ჩემთვის შინაარსი წერილისა, რადგანაც მე იმაში ერთი სტრიქონიც ვერ წავიკითხე, ისე ცუდად იყო დაწერილი. საუბარმა ამასთან, აგრეთვე სხვებთანაც დამარწმუნა, რომ ქობულეთის მეზობლები ძალიან ცუდი გულით იყვნენ რუსებზე და არ გვეუბნებოდნენ ამის მიზეზს, მხოლოდ მოკლედ ამბობდნენ, ჩვენ თავის დღეში ვერ დავუახლოვდებით რუსებსო. უბრალო ხალხიც ამასვე ამბობდა, მხოლოდ ამატებდა, რომ ჩვენი ზნენი და ჩვეულებანი და რუსებისა ძალიან შორი-შორს არისო: რუსი სახლში შევა, ერთს კი იტყვის, „ზდრასტი ზნაკომო“ და მაშინვე გასწევს პირდაპირ ქალების სადგურში. ჩვენში ეს დიდი სირცხვილია, რადგანაც სახლის პატრონის და-ძმასაც არა აქვთ ნება რომ ჰარამხანაში შევიდეს. ბევრს კი უფრო ის მოყავდა მიზეზად, რომ წინანდელი ომების დროს ოსმალეთის ქართველნი თანაუგრძნობდნენ რუსებს და ეგონათ, რომ რუსეთი შეუერთდება იმათ ქვეყანას თავის სამფლობელოს, მაგრამ რუსები არ ასრულებდნენ თავის აღქმას. ოსმალნი ამის გულისათვის ემტერებოდნენ ამათ და ომის შემდეგ ამათზედ ჰყრიდნენ ჯავრსა რუსების ერთგულებისათვის.

მალე ჩვენცა და გარეშემო მცხოვრებლებითაც გავიგეთ, რომ მორიგების ტრაქტატის ძალით მთელი ბათუმის სანჯაყი გადადის რუსების ხელში იმ პირობით, რომ მცხოვრებელთ, ვისაცა ჰსურს საოსმალში გადასახლება, ამისი უფლება აქვს სამის წლის განმავლობაში. მორიგების შემდეგ მე შემხვდნენ კარგა ბლომათ ქობულელები, რომლენიც ყოფილიყვნენ გენერალ ოგლობჟიოს-

თან“ სათხოვნელად, რომ სიმინდი ესესხებინათ, რადგან ომიანობის გამო ქობულელებს სახნავეები ცოტა ჰქონდათ.

მე ქართულად მივეც სალამი, გაიგონეს თუ არა ქართული ენა, შედგნენ. ერთმა მოხუცთაგანმა, აფიცრის პაგონებით და ორდენებით სავსემ, მკითხა, ვინა ხარო? მე ვუპასუხე, რომ ქართველი ვარ მეთქი, შემდეგ ლაპარაკის გაბმისა, ვკითხე ბერი-კაცსა: რჩებით თუ ოსმალეთში აპირებთ გადასახლებას? იმაზედ ბევრმა ერთბაშად მიპასუხეს, რომ ჩვენი ბეგები ოსმალეთში გადასახლდნენ, ხალხი უწინამძღოდ გაუშვეს, ჩვენ არ ვიცით, როგორ მოვიქცეთო და მსთხოვეს, ჩემი აზრები მეთქვა იმათთვის. მე ავუხსენი, რომ თქვენ ხელს არ მოგცემთ თქვენი ბეგების მიბაძვა; ოსმალნი შეიძლებენ კიდევაც მისცენ მცირეოდენი რამე ბეგებს, ნაცვლად სამშობლოს დაკარგვისა, მაგრამ მათთან გადასახლებულს ხალხს კი ისინი ღვთის ანაბარობაზედ გაუშვებენ, როგორც უყვეს კიდევაც გადასახლებულ ჩერქეზებს და აფხაზებს, რადგანაც ოსმალთ არა აქვთ იმდენი მამული, რომ დაურიგონ გადასახლებულთ; მოვავგონე, რომ თქვენ თვითონ თქვენის თვალთ ჰნახეთ, რა საცოდავობა გამოიარეს აფხაზთა გადასახლების შემდეგ, რომ აფხაზებს უნდოდათ ისევ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ რუსებმა აღარ მიიღეს და მრავალი მათგანი გასწყდა შიმშილისაგან მეთქი. ავუხსენი, რომ მთელ დედამიწის ზურგზედ ცოტა არის ისეთი მშვენიერი ადგილები, როგორც თქვენ გიჭირავთ და ამისათვის არ უნდა დასტოვოთ, მით უმეტეს რომ მოგელით სიმშვილისაგან სიკვდილი; თუ ვინცობაა გადასახლდებით, მაშინ თქვენცა და თქვენი შვილებიც დასწყევლით იმათ, ვინც გირჩიათ თქვენი სახლ-კარის და მამულის თავის დანებება, თქვენ ისეთივე ქართველები ხართ, როგორც ჩვენ, მართლმადიდებელნი ქართველნი და სარწმუნოებათ ამ უნდა დაგვაშოროს ჩვენ ერთმანეთთან, პირ-იქით; ჩვენ უნდა ვისარგებლოთ შემთხვევით და შევერთდეთ ისევ ერთ ერად რუსთხელმწიფის ბრძანებლობის ქვეშ. ამასთანავე დავუმატე, რომ რუსის მთავრობა იმ მამულებს, რომელსაც ხალხი სტოვებს უპატრონოდ, ურიგებს სახელმწიფო მოსამსახურე პირებსა. ამ მხრივ ჩემთვის პირადად ძალიან სასარგებლო იქნება თქვენი გადასახლება და ქვეყნის დაცარიელება, რადგან მე მაჩუქებენ ათას დესეტინამდე მიწას თქვენი ედემის მზგავს ქვეყანაში, მაგრამ მე, როგორც მამულის შვილი, გირჩევთ, რომ ნუ ჩაიდენთ მაგისტანა დიდ შეცდომებს, რის გასწორებასაც ველარ შეძლებთ მეთქი. ქობულელებმა მაღლობა მითხრეს რჩევისათვის, გამოიმეშვიდობნენ და დამპირდნენ, ვიფიქრებთო.

ამავე დროს ჩემთან ხშირად ამოდოდა სოფელ სამებას მცხოვრებელი სულიერი დიასამიძე. ამისაგან ვყიდულობდი სხვა და სხვა ხორაგს. შემდეგ ამასაც ისეთივე ლაპარაკი დაეწყო, როგორც ზემოდ მოყვანილ ქობულელებს. მე მოვი-

პოვე იმის ნდობა. ერთხელ ის მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ სამებაში დანიშნულია ყრილობა მოსალაპარაკებლად, გადასახლდნეს ხალხი, თუ არა საოსმალოში და მე ვილაპარაკე იმას, რაც თქვენსგან მაქვს ჩაგონებულიო. რამდენიმე დღის შემდეგ სულეიმან დიასამიძე მოვიდა ჩემთან და მიაბო ყრილობის შესახებ, რომ ყრილობა დაეთანხმა იმისგან გამოთქმულ აზრს, რომ ათმა თუ თხუთმეტმა სოფელმა დანიშნეს ადგილი და დრო ამ საგნის შესახებ მოსალაპარაკებლად, რისთვისაც ორი კვირის შემდეგ უნდა შეიყარნენ იმ სოფლების ამორჩეული კაცები; სოფელ სამებას აერჩია თავის კაცად სულეიმანი, რომელიც დამპირდა, რომ საერთო ყრილობაზედ ვურჩევ, ხალხი არ გადასახლდესო. ერთი-ორი დღის უკან ამ მოლაპარაკებების შემდეგ, მოვიდა ჩემთან სულეიმანი გახარებული, რომ ყველა დეპუტატები დასთანხმებოდნენ იმას და მიაბო, რომ ამათ აირჩიეს თავიანთ შორის ხუთი კაცი და ამათში თვითონ სულეიმანიც; ესენი უნდა მისულიყვნენ ოზურგეთში თავად გრიგოლ გურიელთან და შეეტყოთ იმის აზრიც, დიდი ხანი არ გავიდა, სულეიმანი დაბრუნდა და მითხრა, რომ უეჭველად შენ და თავად გრიგოლ გურიელს პირი გქონდათ ერთმანეთისათვის მიცემული, რომ ერთსა და იმავეს ეუბნებით ქობულელებსო. მე ვუპასუხე სულეიმანს, რომ, სამწუხაროდ, არ მქონდა შემთხვევა გამეცნო თავადი გურიელი, მინახავს მხოლოდ ერთხელ ოზურგეთში, სადაც წარმადგინეს კიდეც იმასთან, მაგრამ ორიოდ სიტყვის მეტი არ გვითქვამს ერთმანეთისთვის და, თუ სიტყვა-სიტყვით, აქ საკვირველი არა არის რა, რადგანაც ყოველი ქართველი პატრიოტი ამასვე ურჩევდათ ქობულელებს.

მაღე რამდენიმე სოფელი, რომელთაც წინადავე უნდოდათ გადასახლება და ამისათვის არც დეპუტატები ჰყავდათ გაგზავნილი ზემოხსენებულ ყრილობაზედ, აიბარგნენ, დასხეს თავიანთი ცოლ-შვილი ურმებზე და გასწიეს ოსმალეთისაკენ, მაგრამ გზაზედ დაეყენებინათ და ებრძანებინათ უსათუოდ ქალაქ ქობულეთში უნდა შეიაროთ და გამოართვათ პასპორტებიო. მისულიყვნენ ქობულეთში და გაეგოთ, რომ ოლქის უფროსად დაუნიშნავთ თავადი გრიგოლ გურიელი. გადასახლების მაყურებელთ აღარც აელოთ პასპორტები და დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლში. რილასთვის გადავსახლდეთ ოსმალეთში, როდესაც უფროსად გვეყოლება თავ. გრიგოლ გურიელი? ეს ამბავი მიაბო იმავე სულეიმანმა, გრიგოლ გურიელს დიდი ნდობა ჰქონია ქობულეთში.

მე მაცნობეს, რომ მოკლე ხანში ჩემი ხელქვეითი ბატარეა გადაყვანილ იქნა ქალ. გორში, სადაც უნდა ყოფილიყო იმის შტაბ-კვარტირაჲო და მთხოვა, რომ ერთი დიდი ქართული წიგნი მაქვს, მოგიტან და იმაზედ შენი ადრესი დამიწერეთო. მაგრამ ველარ მოესწრო ამ წიგნის მოტანა, რადგანაც ბატარეა ტელეგრამით დაიბარეს ქალაქ გორში. მეც გამოვეთხოვე ქობულეთს და წამოსვლის დროს ვერა ვნახე წიგნი, ვერც სულეიმანი.

თუ საზოგადოდ საოსმალო ქართველობა ამ დროს გადასახლდა თავის ქვეყნიდან-მიზეზი ამისი იყო უპატრონობა: ერთი ორი რიგიანი ჩამგონებელი და ისინი არასოდეს არ დასტოვებდნენ თავის ქვეყანას, სადაც იმოღეწა სისხლი ჰქონდათ ჩაღვრილი იმათ მამა-პაპასა.

ქრ. მამაცაშვილი

გაზ. „თეატრი“, № 9, 1890 წ. 25 თებერვალი, გვ. 1-2.

Ramaz Surmanidze

General-Maj. Christopher Mamatsashvili and his unknown letters

Summary

In 1879 Ch. Mamatsashvili wrote „First meeting with Ajara-Kobuletian”. It was published On February 25, 1890 in newspaper „Theatre”. In this article is analyzed mentioned letter of Christopher Mamatsashvili and emphasizes negative consequences of Muhajiroba.

საქართველო-სომხეთის ომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო

ისტორიულად, საქართველოს უმთავრესი მტერი სამხრეთიდან ჰყავდა, ამიტომ ცვლილებებს ძირითადად სამხრეთის საზღვრები განიცდიდა. საქართველო ხშირად განიცდიდა თავდასხმებს, მაგრამ, ასე თუ ისე ყოველთვის ახერხებდა თავისი ტერიტორია ბუნებრივ საზღვრებში შეენარჩუნებინა: „ეროვნული ტერიტორია, ფაქტობრივად ერთი ხალხის შემოქმედებაა და ამიტომ ისეთივე ხელშეუხებელი და წმინდათანმინდაა, როგორც ეროვნული ენა, ეროვნული კულტურის ყოველი გამოვლინება“ (მუსხელიშვილი დ., არველაძე ბ., ისტორია ობიექტურობას მოითხოვს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წლის 13 მაისი).

1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღადგინა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაშინვე მთელი სიმწვავეთ დადგა საზღვრების დადგენის საკითხი. საქართველო იმიჯნებოდა არამარტო რუსეთისაგან, რომლის შემადგენლობაშიც იგი მანადე შედიოდა, არამედ ოსმალეთისა და სომხეთ-აზერბაიჯანისაგანაც. საზღვრების დადგენისას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა დილემის წინაშე აღმოჩნდა: I - ეხელმძღვანელა რეალური მოსახლეობის პრინციპით, როგორც ამას მოითხოვდა სომხეთის მთავრობა, თუ II - ეხელმძღვანელა ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სტრატეგიული თავდაცვითი საკითხების გათვალისწინებით.

სომეხთა პრეტენზიები ქართულ მიწებზე, მათი მისაკუთრების მხურვალე სურვილი განსაკუთრებით გაძლიერდა დამოუკიდებელი საქართველოს დროს. სომხეთის დაშნაკური მთავრობა გამიჯვნის მთავარ პრინციპად აღიარებდა არეალურ მოსახლეობას და მოითხოვდა სომხებით დასახლებული ტერიტორიების გადაცემას. 1917 წლის ივნისში, ამიერკავკასიის მენშევიკთა VI ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე, რომელშიც ნათქვამია: „ტერიტორიული თვითმმართველობის საზღვრები დგინდება ამა თუ იმ ეროვნების რეალური განსახლების პრინციპით; ამასთან, მხედველობაში მიიღება სამეურნეო და ყოფითი პირობები. ეროვნული საზღვრის ცვლილების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი იმ ადგილებში, რომლებიც საზღვრის განსაზღვრის დროს ითვლება სადავოდ“ (გაზ. „Норна“ 1917 წლის 21 ივნისი). აქედან გამომდინარე, საქართველოს სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) სომეხებს დაპირდნენ იმ

ოლქების გადაცემას, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა იყო სომეხი ეროვნების. ანუ, საუბარია ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების გადაცემაზე. ამ რეზოლუციით სადავო ადგილების გამიჯვნის დროს არავითარი ისტორიული, სტრატეგიული, ეკონომიკური და სხვა მოსაზრებანი მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული. თავისთავად ცხადია ეს გახლდათ ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) დიდი პოლიტიკური შეცდომა და როგორც გ. კვინიტაძე ამის თაობაზე წერს, „ეს ალბათ იყო შედეგი ხალხთა თვითგამორკვევის ცუდად გაგებული და არასწორად გამოყენებული პრინციპისა“ (კვინიტაძე გ., მოგონებები, ტ. I, 1998 :71).

სწორედ ამ დროს, 1918 წელს სტამბოლში დაიბეჭდა რუკა. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ეს გახლდათ: - „სომხეთის ვითომც ისტორიული ფანტასტიკური რუკა, რომელიც შავი ზღვითგან კასპიის ზღვამდე გადაჭიმულა და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით მდებარე შავ ზღვაზე ადგილთან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს და სელევიკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილთაგან, ქ. არდევილის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით, ამ სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და თბილისიც ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვინრო ზოლიდა აქვს მიკუთვნებული“ (სუიცსა, ფ. 471 ან. 1, საქ. 98: 96-99).

ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ, როდის, ვისი სურვილით და ხელშეწყობით გაჩნდა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში სომეხთა კომპაქტური დასახლება. ეს იყო რუსეთის იმპერიის შორსგამიზნული და კარგად მოფიქრებული ანტიქართული პოლიტიკური გეგმის შედეგი: - შექმნილიყო საქართველოში ეთნიკური სიჭრელე. სწორედ ამიტომ მოხდა ქართულ მიწებზე სომეხთა უცხოეთიდან ხელოვნური გადმოსახლება.

XIX ს. პირველ ნახევარში ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში მასობრივად სახლდებოდნენ უცხოეთში მაცხოვრებელი სომხები, რამაც რადიკალურად შეცვალა ამ ადმინისტრაციულ ერთეულთა მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა. სომხების ხვედრითი წონა საქართველოს მთელ მოსახლეობაში 1801 წ. 4,71 პროცენტიდან 1832 წ. 9,88 პროცენტამდე გაიზარდა (ანთაძე კ., 1973:110). უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში, კერძოდ თურქეთსა და ირანში ძალად გადასახლებული ქართველი ხალხი არავის ახსოვდა. მაშინ როცა მამაპაპეულ მიწა-წყალზე დასახლება ხალხის უპირველეს სურვილსა და უფლებას წარმოადგენდა. მათი საქართველოში დაბრუნება არ შედიოდა რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ მიზნებში. ამიტომ, ქართველთა სასიცოცხლო ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა. მას გადასახლების გზა თავის სამშობლოში-საქართველოში, შეკრული ჰქონდა. საქართველოში თურქეთიდან სომეხი მოსახლეობის

სტიქიური მიგრაციის პროცესი მთელი XIX საუკუნე მიმდინარეობდა და XX საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდებოდა.

საქართველოს და სომხეთს შორის დაიწყო დიპლომატიური დავა საზღვრების შესახებ, რომელიც მცირე ხნით შეჩერდა ვინაიდან პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთმა დაიკავა კავკასიის დიდი ნაწილი. საზღვრების საკითხის გამორკვევა არც სასურველი იყო და არც შესაძლებელი. 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში დაიდო ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და ოსმალეთის იმპერიას შორის. ამ ხელშეკრულებით ოსმალეთმა მიიღო მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ანუ სამუსლიმანო საქართველო, მთელი მესხეთი, აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, შემდეგში სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 13, გვ. 11-13).

ბათუმის საზავო ხელშეკრულება საბოლოოდ არ იქნა რატიფიცირებული, რადგან საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 6 ივნისს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერლინში გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბათუმის ზავი ხელმოწერილი იყო ოსმალური ხიშტების ძალდატანებით და მოითხოვეს ხელშეკრულების გადასინჯვა. გერმანიის მთავრობამ გაიზიარა ქართული მისიის წინადადება და აღუთქვა დახმარება კონფერენციის მოსაწვევად. ოსმალეთი დაეთანხმა გერმანიას კონფერენციის მოწვევაზე, აქედან გამომდინარე ხელშეკრულების გადასინჯვაზეც. მაგრამ გერმანიის და მისი მოკავშირეების დამარცხების გამო არც ბათუმის ხელშეკრულება დამტკიცდა და არც კონფერენცია ჩატარდა (ნოზაძე ვ., 1989:37)

1918 წლის 30 ოქტომბერს, ეგეოსის ზღვაში, ნავსადგურ მუდროსში, ინგლისის კრეისერ „აგამემნონზე“ ოსმალეთმა ანტანტის ქვეყნების წარმომადგენლებთან დადო დროებითი საზავო ხელშეკრულება. ამ ზავის პირობებით ოსმალეთის მიერ ომის განმავლობაში ოკუპირებული ტერიტორიები ანტანტის სახელმწიფოების ხელში გადადიოდა. ჯერ კიდევ ზავის დადებამდე გერმანიის დამარცხების გამო ოსმალეთმა დაიწყო ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანა. მუდროსის ზავის მე-11 მუხლი ითვალისწინებდა ოსმალეთის მიერ ამიერკავკასიიდან ჯარების სრულგაყვანას, ანუ ოსმალეთს უნდა გაეყვანა თავისი ჯარები ამიერკავკასიის იმ ადგილებიდანაც, რომლებიც მის მიერ ჯერ კიდევ არ იყო გათავისუფლებული. ანუ მუდროსის ზავით მას უნდა დაეტოვებინა მთელი მესხეთი და ბორჩალოს მაზრა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯარების გაყვანა ოსმალეთმა ჯერ კიდევ მუდროსის ზავამდე დაიწყო. 18 ოქტომბრისათვის მათ უკვე გათავისუფლებული ჰქონდათ აწყური და აბასთუმანი. დაიწყეს ჯარების გაყვანა ბორჩალოს მაზრიდანაც. შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით (მუდროსის ზავამდე 12 დღეა დარჩენილი) და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საო-

ცარი უნიათობით კარგად ისარგებლა სომხეთმა და 18 ოქტომბერს დაიკავა კობერი, კორინჯი და წათერი.

საქართველოს მთავრობამ სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ნოტიო მიმართა: „საქართველოს მთავრობას, რომელიც მუდამ მზად არის მშვიდობიანად, ურთიერთშორის შეთანხმებით გადასჭრას საკითხი საზღვრების შესახებ მეგობრულ სომხეთის რესპუბლიკასთან, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ ვიდრე არ არსებობს ასეთი შეთანხმება, სომხეთის ჯარების შემოსვლა თბილისის გუბერნიის საზღვრებში ჩაითვლება სომხეთის მიერ საქართველოს მიმართ გადადგმულ მტრულ ნაბიჯად“ (სცსსა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 63, გვ. 9). ამ დღეებში გაზეთებში გაჩნდა ცნობა, რომ სომხეთის ეროვნულმა საბჭომ გადაწყვიტა ლტოლვილი სომხები ახალციხის და ახალქალაქის პროვინციებში დაესახლებინა. „ეს უცნაური პრეტენზიები სომხის პოლიტიკური წრეებისა ერთხელ კიდევ გვიჩვენებდა, რომ ჩვენს მეზობლებს საბოლოოდ მიუჩნევიათ საქართველო სომეხთა სასტუმრო სახლად“ (გაზეთი „საქართველო“, 1918 წლის 22 დეკემბრის თვე).

1918 წლის 26 ოქტომბერს მოწვეული იქნა პარლამენტის საგანგებო სხდომა, სადაც საქართველოს მთავრობამ იმედი გამოთქვა, რომ ეს კონფლიქტი მშვიდობიანდ მოგვარდებოდა, თუმცა ამასთანავე განაცხადა, რომ არავის არ მისცემს ნებას რესპუბლიკის საზღვრებში იარაღით შემოიჭრას და „ჩვენს თავისუფლებას საფრთხე მოუშადა“ (სცსსა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 43, გვ. 1542). ამავე დროს, საქართველოს მთავრობამ წამოაყენა სამშვიდობო კონფერენციის ჩატარების იდეა სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთიულთა რესპუბლიკის მონაწილეობით.

1918 წლის 10 ნოემბერს საქართველოს მთავრობის ინიციატივით მოწვეული იქნა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, მთიულთა რესპუბლიკის წარმომადგენლები. კონფერენციას არ ესწრებოდნენ სომხები, რის გამოც კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა და გადაიდო 20 ნოემბრისათვის (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 3, გვ. 31).

14 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ატყობინებს ს. მდივანს (საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს სომხეთში) კონფერენციის ჩატარების ახალ თარიღს და თხოვს სომხეთის მთავრობას წარმოაგზავნოს თავისი წარმომადგენლები. ამავე დროს, ს. მდივანს ავალებს აგრძნობინოს სომხეთის მთავრობას, რომ თუ კონფერენციაზე სომხეთი თავის წარმომადგენლებს არ გამოაგზავნის კონფერენცია ჩატარდება მათ გარეშე (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 31, გვ. 9). როგორც ჩანს, სომხეთის მთავრობამ კარგად აუღო ალლო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების უსუსურობას, ამიტომ არც 20 ნოემბრისათვის გადადებულ კონფერენციაზე და არც 30 ნოემბრისათვის მოწვეულ კონფერენციაზე ისინი არ გამოცხადებულან. ამავე დროს, ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი ს. მდივანი მოლაპარაკებას აწარმოებ-

და სომხეთის მთავრობასთან შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. ამ მოლაპარაკებებიდან ჩანს, რომ იარაღით ხელში შემოჭრილ სომხეთს, რომელსაც მხოლოდ მშვიდობიანი კონფერენციებით ემუქრებიან, უფრო მეტი პრეტენზიები აქვს და სრულიად არ ეშინია ამ მუქარის შედეგად მიყენებული „ზარალის“. ამიტომ, კატეგორიულად ითხოვს საქართველოს მთავრობისაგან მთელი ახალქალაქის მაზრას, გორისა და ბორჩალოს მაზრის ნაწილის დათმობას. ანუ სომხეთის მოთხოვნა ეყრდნობა 1917 წლის ივნისში, ამიერკავკასიის მენშევიკთა VI ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციას ეროვნულ საკითხებთან დაკავშირებით. მათ კარგად გამოიყენეს ქართველი სოციალ-დემოკრატების შეცდომა, რომელთაც მთელი იმედეები „დიდი რუსეთისაკენ“ ჰქონდათ მიმართული და პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ეროვნულს: „ცალკე ადამიანის თუ საზოგადოების აზრისა და ლოდიკის გარდა არსებობს ლოდიკა საგნობრივი და ამის შეგნება ჰქონდათ დაკარგული ჩვენს „სოციალისტურ პარტიებს“ (გაბაშვილი რ., ტ. 3, 1992:132).

1918 წლის 29 ნოემბერს საქართველოს წარმომადგენელმა სომხეთში ს. მდივანმა, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. ტიგრანიანს გადასცა საქართველოს მთავრობის ნოტა: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დავალებით, პატივი მაქვს მოგახსენოთ ბატონო მინისტრო, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის აზრით სასაზღვრო ხაზმა სომხეთსა და საქართველოს შორის უნდა გაიაროს თბილისის გუბერნიის ძველ საზღვარზე ე.ი. სამხრეთის მხრიდან ხაზზე, რომელიც ჰყოფს ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებს ყოფილი ალექსანდროპოლის მაზრისაგან, ყოფილი ერევნის გუბერნიისაგან, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან ხაზზე, რომელიც ბორჩალოს მაზრას ჰყოფს ყოფილი ყაზახის მაზრისაგან, ყოფილ ელიზავეტაპოლის გუბერნიისაგან. გთხოვთ გვაცნობოთ, აქვს თუ არა რაიმე საწინააღმდეგო სომხეთის მთავრობას საზღვრის ასეთი მიმართულებისადმი“ (Из истории армяно-грузинских отношений 1918:68). 1918 წლის 1 დეკემბერს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ტიგრანიანმა საქართველოს მთავრობას გამოუგზავნა საპასუხო ნოტა: „სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით პატივი მაქვს მოგახსენოთ პასუხი თქვენი 1918 წლის 29 ნოემბრის N52 ნოტაზე. საზღვრის მიმართულების საკითხში სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს შორის, სომხეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომელსაც ყოველთვის იზიარებდნენ სომხეთისა და საქართველოს დემოკრატები და არაერთხელ იყო სანქცირებული 1917 წლის განმავლობაში და მიმდინარე წელს... სომხეთის და საქართველოს წარმომადგენელთა ამ შეთანხმებებს სასაზღვრო ხაზზე საფუძვლად დაედო, როგორც ცნობილია ეთნოგრაფიული პრინციპი, რეალური ეროვნულ-ტერიტორიული

განსახლებისა... ამ სქემის მიხედვით ახალქალაქის მაზრა მთლიანად და ბორჩალოს მაზრის დიდი ნაწილი, სადაც სომხური მოსახლეობა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს, წარმოადგენენ სომხეთის განუყოფელ ნაწილს. ამასთან ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი და თბილისის მაზრის სამხრეთი ნაწილი თბილისამდე, მიუხედავად იმისა რომ ამ რაიონებში რაოდენობრივად ქართველ მოსახლეობას სჭარბობს სომხური მოსახლეობა, რჩება საქართველოს ფარგლებში, სომხების ეროვნულ-კულტურული თვითგამორკვევის გარანტიით. თქვენს მიერ წამოყენებული ახალი სასაზღვრო ხაზი არსებითად და მნიშვნელოვნად აყენებს ზიანს სომხეთის რესპუბლიკას... სომხეთის მთავრობას არ მიაჩნია მისაღებად თქვენს მიერ შემოთავაზებული საზღვრის ახალი მიმართულება“ (Из истории армяно-грузинских отношений 1918:70).

სომხეთის მთავრობის ამ ნოტის შემდეგ საქართველოს მთავრობას მაინც უნდა დაენახა სომხეთის მიზნები. სომხეთი ამკარად ემზადებოდა ომისათვის.

1918 წლის 3 დეკემბერს, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ტიგრანინი უგზავნის ნოტას ჩვენს წარმომადგენელს სომხეთში, სადაც ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორის დანიშვნა, ახალქალაქის მაზრაში საქართველოს რესპუბლიკის ჯარების შეყვანა მიჩნეულია სომხეთის ტერიტორიული უფლებების დარღვევად“ (Из истории армяно-грузинских отношений 1918:78). ამის პასუხად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი საქართველოს წარმომადგენელს სომხეთში ს. მდივანს უგზავნის სომხეთის მთავრობისადმი გადასაცემ დეპეშას, რომელიც თავის მართლებას ჰგავს და არა თავხედი მტრისადმი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი დიპლომატის პასუხს: „ახალქალაქში ჩვენი ჯარები შევიდნენ 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ჩვენი მთავრობის ასეთი ნაბიჯი გამოწვეულია ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის მიზნით, რომლებიც დაუსრულებელ ძალადობას განიცდიან, როგორც მაზრაში ჯერ კიდევ დარჩენილი ოსმალთა ჯარის ნაწილებისაგან, ასევე უპასუხისმგებლო პირებისა და შეიარაღებული ბანდებისაგან. საქართველოს მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია ბოლო მოუღოს ასეთ აუტანელ მდგომარეობას, ამასთან სთვლის, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ახალქალაქის მაზრის დაკავება არც ისტორიულად, არც პოლიტიკურად, არც მორალურად არ წარმოადგენს სადავოს. საქართველოს მთავრობა იმედს იტოვებს, რომ ეს მდგომარეობა ხელს არ შეუშლის საზღვრების საკითხზე მშვიდობიან მოლაპარაკებას“ (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 8, გვ. 3). თავისთავად ცხადია, ასეთი მოკრძალებული „დიპლომატიური“ დეპეშის შემდეგ გასაოცარი ის იქნებოდა, რომ სომხები ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრაში არ შეჭრილიყვნენ.

1918 წლის 8 დეკემბერს სომხეთის მთავრობის დადგენილებით სომხეთის ჯარი იწყებს მოქმედებას ლორისა და ბორჩალოს მაზრის დასაკავებლად.

9 დეკემბერს სანაინის მიდამოებში გამოჩნდა მე-5 მსროლელი ლეგიონის ნაწილები ტერ-ნიკოლოსოვის მეთაურობით, ხოლო ახალქალაქის მაზრაში სოფელ გორელოვკის მიდამოებში გადმოვიდა სომხეთის კავალერია. საქართველოს მთავრობამ ეს კონფლიქტი, დროებით, ლოკალურ მოვლენად მიიჩნია. მაშინაც კი, როცა აღარავითარი ეჭვი აღარ არსებოდა, რომ ჩვენს წინააღმდეგ სომხეთის რეგულარული ჯარი მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი 13 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე აკეთებს განცხადებას, სადაც ნათლად ჩანს დემოკრატიული საქართველოს მესვეურთა პოლიტიკური სიბეცე და სახელმწიფოებრივი უსუსურობა: „ჩვენ ჯერ საბუთები არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ რუსეთის მთავრობას კავშირი ჰქონდეს იმათთან, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას აწარმოებს. მე მეტს ვიტყვი: ჩვენი მთავრობა ღრმად არის დარწმუნებული, რომ თავიდან ავიციდნენ ყოველივე უთანხმოებას... მთავრობა დარწმუნებულია, რომ ბოლოსდაბოლოს ეს საკითხები მშვიდობიანად გადაიჭრება და მით განმტკიცდება როგორც ჩვენი, ისე სომხეთის დამოუკიდებლობა“ (გაზეთი „საქართველო“, 1919 წლის 10 იანვარი).

ამავე დროს, საქართველოს მთავრობას ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არ ჰქონდა არსებულ საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაზე. მაშინ როცა სომხეთის მმართველ წრეებს საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ომში დიდი იმედი ჰქონდათ არამარტო ანტანტის ქვეყნების, არამედ საერთოდ დასავლეთის მხარდაჭერის. ამის სერიოზული საფუძველიც არსებობდა. კერძოდ, როგორც პოლკოვნიკი ჟ. ბ. სტოკი (იგი მსახურობდა ინგლისის არმიაში, და მოგვიანებით განსაკუთრებული როლი შეასრულა ბათუმის ბედის გადაწყვეტაში, 1920 წლის ივლისში მან ანტანტის სახელმწიფოთა სახელით ბათუმი საქართველოს გადასცა) წერდა: „ანტანტის სახელმწიფოები... იმ დროს უფრო მნიშვნელოვანი სუბიექტებით იყვნენ დაკავებულნი. ამას გარდა ეტყობა მცდარი შთაბეჭდილება ჰქონდათ; თვლიდნენ, რომ ამიერკავკასიის მხარეში ქრისტიანობის მონოპოლია მხოლოდ სომხეთს ეკუთვნოდა. სრულიად სამართლიანად ისინი სიმპათიით იყვნენ განწყობილნი ამ ქვეყნის მიმართ. განსაკუთრებით სომხებმა ყურადღება მას მერე მიიპყრეს, რაც ხოცვა-ჟლეტა მოუწყვეს თურქებმა. დასავლეთში სულ ერთ თავად გეგმებს აწყობდნენ, როგორ ეხსნათ სომხეთი უბედურებისაგან. საქართველოსადმი ანტანტის სახელმწიფოებს არავითარი სიმპათია არ ჰქონდათ“ (Армяно-грузинский вооруженный конфликт, გვ. 34). აქვე გავიხსენოთ, რომ საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია მანამდე (1918 წელსაც კი) გერმანიისაკენ იყო მიმართული. აქვე დავუმატებთ, რომ სომხეთის

დაშნაკური მთავრობის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წამოწყებული ომი გარკვეულწილად განაპირობა რუსეთმაც. ამ დროისათვის რუსეთი ორ ბანაკად იყო გაყოფილი ე.წ. „თეთრ“ და „წითელ“ რუსეთად, მაგრამ ორივე „ფერის“ რუსეთს ერთი და იგივე იმპერიული ზრახვები გააჩნდათ საქართველოს მიმართ. სომხეთის სახით კი, ორივე რუსეთს საიმედო დასაყრდენი ჰყავდათ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

მიუხედავად ურთულესი მდგომარეობისა, საქართველოს მთავრობამ მობილიზაცია მხოლოდ 17 დეკემბერს გამოაცხადა. მაშინ, როცა სომხებმა სადახლო, აშალასერალი და შულავერი დაიკავეს, ხოლო მათი მონინავე რაზმი უკვე მდინარე ხრამზე გამოჩნდა (მაზნიაშვილი გ., 1990:124).

17 დეკემბერს სომხეთის წინააღმდეგ მოქმედი ლაშქრის სარდლად დაინიშნა გიორგი მაზნიაშვილი. იმავე დღეს მთავრობის დავალებით საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი თბილისში მყოფ უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს აცნობს სომხეთის ჯარების საქართველოზე თავდასხმის ფაქტს და მთავრობის პროტესტს ამის თაობაზე (გაზეთი „საქართველო“, 1918 წლის ქრისტეშობისთვის 17). 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოისმინა მთავრობის მოხსენება საქართველოსა და სომხეთს შორის მომხდარი კონფლიქტისა და საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, რომლის შედეგადაც საქართველომ განწყვიტა დიპლომატიური კავშირი სომხეთთან და დაიწყო საომარი მოქმედებები სომხეთის წინააღმდეგ.

სომხების წინააღმდეგ წარმოებულ საომარ მოქმედებებში ქართულმა მხარემ საგრძნობ უპირატესობას მიაღწია. მონინააღმდეგემ სამხედრო თვალსაზრისით დიდი ზარალი განიცადა. სწორედ ამ დროს გამოვლინდა სომხური დიპლომატიის ინტუიცია პოლიტიკური სიტუაციის შეფასებაში: საქართველოსა და სომხეთს შორის ომის მშვიდობიანი გზით მოგვარების ინიციატორებად გამოვიდნენ კავკასიაში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის მისიის წარმომადგენლები. მათთან მოლაპარაკების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 21 დეკემბერს მიიღო შემდეგი დადგენილება: „1. საქართველოს მთავრობა დიდი კმაყოფილებით იღებს მოკავშირეთა ინიციატივას საქართველოსა და სომხეთს შორის ძმათამკვლელი ომის დამთავრების შესახებ; 2. საქართველოს მთავრობა იღებს დეპეშის ტექსტს შემდეგი შენიშვნების გათვალისწინებით: ა) საქართველოს ჯარების მხრიდან საომარი მოქმედებების შეწყვეტის ბრძანება გაცემული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ; ბ) როგორც კი შეწყდება საომარი მოქმედებები ორივე მხრიდან, სომხეთის ჯარმა უნდა გაათავისუფლოს ბორჩალოს მაზრა და დაიკავონ ის პოზიციები, რომელიც მათ ეკავათ საომარი მოქ-

მედებების დაწყებამდე (ხაზგასმა ჩვენია – მ.მირიანაშვილი, მ.აფრიდონიძე). ამავე დროს, საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს მთელი მოსახლეობის ძირითადი და ქონებრივი უსაფრთხოება. შერეულმა კომისიამ უნდა განსაზღვროს მხარეებიდან რომელი იყო თავდამსხმელი, რათა მან აუნაზღაუროს მეორე მხარეს მთელი დანაკარგი“ (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 2, გვ. 7). 23 დეკემბერს ბათუმიდან თბილისში ჩავიდნენ ინგლისის მისიის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი რეიკროფტი და საფრანგეთის მისიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი შარდინი. მათ თან ახლდა სომხეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი ჯამალიანი. 25 დეკემბერს თბილისში გაიმართა თათბირი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. ჯამალიანის პროტესტის მიუხედავად გენერალმა რეიკროფტმა, პოლკოვნიკმა შარდინმა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ მიიღეს შემდეგი დადგენილება: შერეული კომისია, რომელშიც შევლენ ინგლისის, საფრანგეთის, საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები, დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროს ფრონტზე, რათა თვალყური ადევნონ შეთანხმების პირობების შესრულებას. კომისიამ უნდა განსაზღვროს გარნიზონების რიცხვი, რომელიც უნდა დატოვონ ქართველებმა ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში და ახალქალაქში, ხოლო სომხებმა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში. გარნიზონები იქნება მცირერიცხოვანი. საქართველოს ჯარები დარჩებიან იმ ხაზზე, რომლებიც ამჟამად უჭირავთ. სომხებმა უნდა დაიხიონ ოსმალური ხაზი-საკენ. დისიხ-ჯელალ-ოღლიზე. ინგლისური პიკეტები ჩადგებიან რკინიგზაზე ქართველ და სომეხ ჯარებს შუა. ამ სადავო ნაწილში ადმინისტრაცია იქნება შერეული. ახალქალაქის მაზრაში ადმინისტრაცია იქნება ქართული, ხოლო მას მეთვალყურეობას გაუნევს მოკავშირეების კომისია, რომელშიც შევლენ ადგილობრივი სომეხი და მუსულმანური მოსახლეობის წარმომადგენლები. საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები უახლოეს მომავალში გაგზავნილი იქნებიან ევროპაში, სადაც საზღვრების საკითხი გადაწყვეტილი იქნება დიდი სახელმწიფოების მიერ“ (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 31, გვ. 145). 1918 წლის 30 დეკემბერს სომხეთის მთავრობამ მიიღო დადგენილება და 31 დეკემბერს 24 საათზე საქართველო-სომხეთს შორის საომარი მოქმედებები შეწყდა.

ამ ზავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველთა შორის. ქართული ჯარის წარმატებულმა მოქმედებამ იმედი ჩასახა, რომ საქართველო ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტდა თავისი ისტორიული ტერიტორიების ბედს: „მაგრამ რას მივალწიეთ ამ უეჭველად მოგებულ ომით? წვრილმანებზე თუ არ შევჩერდებით, უნდა ვაღიაროთ, რომ დავთმეთ ის, რაც ჩვენს განუყოფელ ტერიტორიად მიგვაჩნია, სადაო გავხადეთ, როცა იარაღით ვაიძულეთ მონინაალმდევე უარი

ეთქვა თავის მოთხოვნაზე. საკუთარი ტერიტორიის დათმობა ან სადავოდ ქცევა უომრად შეიძლებოდა; დიპლომატიური გზით. რისთვისღა ვიღებდით იარაღს, რისთვის ვღვრიდით სისხლს? თუკი იარაღს მოვკიდეთ ხელი, დაღვრილი სისხლი ღირსეულად უნდა დავაფასოთ... გვეტყვიან ვერაფერი შევძელით, ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ ისეთი ვითარება იყო, რომ ამ პირობებზე უნდა დავთანხმებულყავითო. საქმეც ისაა, რომ ვერაფერი შეძლეს. მუდამ ასე იქნება, როცა დიპლომატიას საფუძვლად დაედება არა ხალხის ინტერესები, არა რეალური ძალა, არა ჯარი, მისი ძალა და წარმატება, არამედ რალაც ბუნდოვანი, მყიფე მოსაზრებები, რომელიც ვითომც და ინტერნაციონალისაკენ, ხალხის უფლებების, ადამიანის დაცვისაკენ, სოციალიზმისა და მარქსის პრინციპების დაცვისაკენ მოგვიწოდებს” (კვინიტაძე გ., ტ. I, 1998:93-94).

1919 წლის 3 იანვარს საქართველოს მთავრობა პარლამენტის წინაშე წარსდგა მოხსენებით „ომისა და დროებითი ზავის შესახებ“. მთავრობის სახელით ვრცელი მოხსენება გააკეთა ე. გეგეჭკორმა. ზავის პირობებმა ზოგიერთ პარტიულ ფრაქციაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მიუხედავად ყველაფრისა, ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ „მთავრობა დარწმუნებულია, რომ ამ ფაქტით ვაძლიერებთ ჩვენ დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ წყობილებას“ (გაზეთი „საქართველო“, 1919 წლის 7 იანვარი).

რამდენად დემოკრატი და დამოუკიდებელი აზრის მქონე იყო ნ. ჟორდანიამ, ეს ზავის შედეგებიდანაც ჩანს და იმითაც, რომ სომხები დღემდე ვერ თმობენ თავიანთ უტოპიურ ინტერესებს საქართველოში. მათ სურდათ სომხეთისათვის შეერთებინათ არამარტო ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრა, არამედ ერუშეთი, ფოცხოვის უბანი, არტაანი და შავშეთ-ქობულეთ-აჭარა. ამ სურვილს, სომხები ასაბუთებდნენ იმით, რომ ამ მხარეებში ბევრი სომეხი ცხოვრობდა და მეორეც, მათ სჭირდებოდათ ზღვისაკენ გასასვლელი. აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნები მოგვიანებით წამოაყენეს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზეც; სადაც, სხვათაშორის, მათ ყოველგვარ დახმარებას უწევდა ინგლისი.

7 იანვარს დაიწყო სომხეთის ჯარების გაყვანა. ამავე დროს თბილისში მუშაობა დაიწყო სამშვიდობო კონფერენციამ, რომელიც 17 იანვრამდე გაგრძელდა. სამშვიდობო კონფერენციით იურიდიულად გაფორმდა ომის დამთავრება: მოკავშირეთა სარდლობის ინიციატივით 1919 წლის 28 თებერვლიდან 3 მარტამდე მიმდინარეობდა მეორე კონფერენციის სხდომები, სადაც საქართველო-სომხეთის ურთიერთობის დანარჩენი საკითხებიც იქნა მოგვარებული ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის დონეზე. თბილისში კვლავ გაიხსნა სომხეთის დიპლომატიური მისია ძველი უფლებებით (გაზეთი „საქართველო“, 1919 წლის 5 მარტი).

1919 წლის 14 აპრილს კავკასიაში ინგლისის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალ-მაიორი უ.ი. ტომსონი უგზავნის ტელეგრამას საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს და საქართველოში სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს, სადაც იგი მათ აცნობს თავის გადაწყვეტილებებს, რაც დროებით, მისი აზრით, პარიზის სამშვიდობო კონფერენციამდე მოაგვარებდა სადავო რაიონებში საზღვრების საკითხს. ეს გადაწყვეტილებებია: „1. ახალქალაქის რაიონის განმგებელი უნდა ყოფილიყო საქართველო; 2. არტაანის რაიონის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, ქალაქ არტაანის ჩათვლით, საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა საქართველოს; 3. ბორჩალოს რაიონის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა წყალგამყოფის ჩრდილოეთით, სოფელ და სადგურ ალავერდის ჩათვლით, საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა საქართველოს; 4. ბორჩალოს მაზრის ის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა წყალგამყოფის სამხრეთით, სადგურ სანაინის ჩათვლით, საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა სომხეთს; 5. ყარსის რაიონი და ყაგიზმანი საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა სომხეთს; 6. ნახჭევანის ოლქი, რომლის საზღვრები განისაზღვრება ჩრდილო და სამხრეთ წყალგამყოფით ჯუღფის რკინიგზის სადგურამდე საგანმგებლოდ უნდა გადასცემოდა სომხეთს; 7. ოლთისის რაიონი და მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე არტაანის ნაწილი გამგებლობაში უნდა გადასცემოდა ბათუმში მყოფ ბრიტანეთის გუბერნატორს...; 8. ამ რაიონების ამა თუ იმ მხარის განმგებლობაში გადაცემა უნდა მომხდარიყო 1 მაისიდან; 9. აუცილებელია გავიგოთ, რომ ყველა ეს გადაწყვეტილება დროებითია და ნაკარნახევია მხოლოდ კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად... საქმე ეხება მხოლოდ სამოქალაქო მმართველობას და ლაპარაკიც კი ზედმეტია ამ რაიონების სამხედრო ოკუპაციაზე...“ (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 82, გვ. 52). ეს პირობები არ მიიღო საქართველოს მთავრობამ, რის საპასუხოდ გენერალ-მაიორ ი. ტომსონი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს კვლავ უგზავნის 15 აპრილს ტელეგრამას: „თქვენო უმაღლესობავ, თქვენს მიერ ჩემი გადაწყვეტილებების მიუღებლობის გამო, რომელიც ითვალისწინებდა ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონის დაახალქალაქის მაზრის დროებით განაწილებას სომხეთსა და საქართველოს შორის და თქვენი გადაჭარბებული მოთხოვნის გამო, რომელიც შეეხებოდა ფოცხოვის ოლქის სამხრეთ საზღვარს, რომლის განმგებლობაში გადაცემა პარიზის საზავო კონფერენციამდე განსაზღვრული მქონდა საქართველოსთვის, გადავწყვიტე 1919 წლის იანვარში, თბილისში, ჩატარებული ადგილობრივი კონფერენციის გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ იქნეს აღდგენილი. ამიტომ თქვენს მიერ მკაცრად უნდა იყოს დაცული ინსტრუქციები ამ გადაწყვეტილებებ-

ბის გასატარებლად: 1. ბორჩალოს მაზრის ნეიტრალური ზონა პარიზის სადავო კონფერენციამდე იქნება ბრიტანეთის ადმინისტრაციის მმართველობაში. არავითარი ჩარევა არც სომხეთის, არც საქართველოს მხრივ, არ დაიშვება. 2. ახალქალაქის მაზრაში ქართველთა გარნიზონი უნდა შემცირდეს საქართველოსა და სომხეთს შორის მშვიდობიანი შეთანხმების დროს დადგენილ რაოდენობამდე... ე.ი. 225 ქვეითი ჯარისკაცი და ტყვიამფრქვეველთა ერთი რაზმი, ორი ტყვია მფრქვევით. 3. არტაანის რაიონის ფოცხოვის ოლქი იქნება ბრიტანეთის მმართველობაში, ამიტომ ქართულმა ჯარმა უნდა დაიხიოს დაუყოვნებლივ საქართველოსკენ. 4. საქართველოს ჯარების გადაადგილება უნდა დამთავრდეს 1919 წლის 20 აპრილის 1 საათამდე“ (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 82, გვ. 54).

რა ინტერესები აქვს ინგლისს საქართველოში? რატომ ერევა იგი ასე უხეშად მის შინაურ საქმეებში? როდესაც 1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ინგლისელები თბილისში შემოვიდნენ, გენერალ-მაიორმა ტომსნმა განაცხადა, რომ ინგლისის ჯარი მოდის წესრიგის დასამყარებლად კასპიისა და შავ ზღვას შორის მდებარე რუსეთის ტერიტორიაზე (ნოზაძე ვ., 1989:47). ამ განცხადებამ საქართველოს მთავრობის უკმაყოფილება გამოიწვია და მთავრობამ გენერალს პროტესტით მიმართა. ამის შემდეგ მათ განაცხადეს, რომ ინგლისელები სიმპატიით უყურებენ საქართველოს დამოუკიდებლობას და მის შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან. მუდროსის დროებითი ზავის მიხედვით ანტანტის სახელმწიფოთა ჯარებს უნდა დაეკავებინათ ყველა ის მხარე, რომელიც ოკუპირებული ჰქონდათ ოსმალებს. 1918 წლის 22 დეკემბერს ინგლისელთა ჯარი შევიდა ბათუმში და დაიწყო მთელი ოლქის ოკუპაცია. ბათუმის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა კუკ-კოლისი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972 წ., გვ. 616). როდესაც ოსმალეთი საბოლოოდ დამარცხდა, საქართველოს მთავრობა შეუთანხმდა ოსმალეთის მთავრობას, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები დაეცალა ერთი თვის განმავლობაში. 1918 წლის 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე. დაცლისთანავე იქ შევიდნენ საქართველოს ჯარები და ამ მაზრების გუბერნატორად დანიშნული იყო მაყაშვილი, მაგრამ როგორც კი ოსმალებმა გაათავისუფლეს ახალქალაქის მაზრა, მაშინვე დაარსდა იქ კომისარიატი. გამოცხადებული იყო ყარსში „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობა“, რომელიც მიზნად ისახავდა, რომ აჭარა, არტაანის მხარე, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრა გაერთიანებულიყო ყარსის ოლქთან და შექმნილიყო ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც გააერთიანებდა მაჰმადიანურ მოსახლეობას. ამ მოძრაობას სათავეში ედგა სერვერ-ათაბეგი ჯაყელი, ქობლიანელი პრინცი. ინგლისელები მას დახმარებას დაჰპირდნენ, მაგრამ როცა აღმოჩნდა რომ ეს „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობა“ უმწეო იყო, რომ სერვერ ბეგ ათაბაგი

ოსმალურ პოლიტიკას აწარმოებდა, ინგლისელებმა მათ ზურგი შეაქციეს. თებერვალში ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გ. მაზნიაშვილი, ხოლო 15 თებერვალს გ. მაზნიაშვილის მაგივრად, გენერალ-გუბერნატორად და მაშასადამე ფრონტის სარდლადაც დაინიშნა გ. კვინიტაძე. ქართულმა ჯარებმა დაიკავეს ახალციხე და ახალქალაქი, ხოლო 20 აპრილს მათ დაიკავეს არტაანიც. არტაანის დაკავება ფორმალურად არღვევდა ინგლისური ოკუპაციის ხელისუფლებას, თუმცა იქ ჯერ ინგლისური ჯარი არ იდგა, ამიტომ გენერალ ტომსონის შემდეგ დაინიშნულმა გენერალმა კორიმ კატეგორიულად მოითხოვა არტაანიდან ქართული ჯარის გაყვანა. მოლაპარაკებათა შემდეგ ქართული ჯარები გამოყვანილი იქნა. არტაანში დატოვებული იქნა 50 კაცისაგან შემდგარი მცირე ქართული რაზმი. 1919 წლის 15 მაისს გენერალ-მაიორი კორი წერილს უგზავნის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელშიც ჩამოთვლილია მათ შორის მიღწეული მოლაპარაკებების პირობები: „1. საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია და შეიძლება იყო ლიოს ჯარი ფოცხოვის ხეობაში (ნინა მოლაპარაკებების მიხედვით საქართველოს ამის უფლება არ ჰქონდა). 2. საქართველოს ჯარები დაუყოვნებლივ უნდა გავიდნენ არტაანის ოლქის დანარჩენი ნაწილიდან, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც რჩება ქალაქ არტაანში. 3. ეს ნაწილი რჩება ქალაქ არტაანში შემდეგი პირობების დაცვით: ა) არავითარი საჯარისო ნაწილები არ გამოვლენ ქალაქ არტაანიდან; ბ) თუ გენერალი კუკ-კოლისი არტაანში ყოფნის შემდეგ გადანყვეტს, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაშინ მას უფლება აქვს უბრძანოს ამ ნაწილს, დატოვოს ქალაქი; გ) თუ გენერალი კუკ-კოლისი უბრძანებს ამ ნაწილს არტაანიდან გასვლას, მან ეს ბრძანება უნდა შეასრულოს, ყოველგვარი განსჯის გარეშე“ (სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 82, გვ. 58). 1919 წლის 31 მაისს კი გენერალმა კორიმ საქართველოს მთავრობას მოსთხოვა ეს მცირე ქართული ნაწილიც გაეყვანა არტაანიდან და ამისთვის მოიმზევა, რომ იქ ინგლისურ რაზმს გავგზავნითო და მისი მოსვლისთანავე ქართული არმიის ნაწილებმა უნდა დატოვოს ქალაქიო. ამასობაში არტაანში გამოჩნდა სომხური ჯარის ოფიცერი და აშკარა გახდა, რომ ინგლისელებს სურდათ არტაანის მხარე სომხებისათვის გადაეცათ; მაგრამ ქალაქ არტაანში საქართველოს სამხედრო წარმომადგენელი და ქართული მცირე რაზმი მაინც დატოვებული იქნა, ხოლო შემდეგში შემოყვანილი იქნა სომხური რაზმი და ინგლისური ჯარის ნაწილიც (ნოზაძე ვ., 1989:52). რა შედეგი მოგვცა ახალციხის ლაშქრობამ, რომელიც 3-4 თვეს გრძელდებოდა და ძალზედ ძვირად დაგვიჯდა? არტაანის ოლქი მტკვრის სამხრეთით სომხებს გადასცეს, რომლებსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ ამ მხარესთან. გ. კვინიტაძე თავის მოგონებებში გულისტკივილით წერს: „ჩვენ ქართველებმა დავიპყარით ეს ადგი-

ლები, ჩვენი სისხლი დავღვარეთ და უცებ ეს მხარე იმათაც კი აღარ გადავეცით, ვისაც ვებრძოდით, არამედ მესამე პირს. ჩვენმა დიპლომატიამ კვლავ ვერ გამოიყენა ჩვენი წარმატება. იქნებ თქვან, რომ დიპლომატიამ ყველაფერი იღონა, მაგრამ იძულებული გახდა გამარჯვებული ინგლისელების სურვილს დამორჩილებოდა. მაგრამ დიპლომატიის სიმარჯვე სწორედ საკუთარი სურვილის მიღწევაში გამოიხატება, სწორედ ამით გამოვლინდა ჩვენი დიპლომატიის სისუსტე, სომხეთის დიპლომატიასთან შედარებით, რომელმაც თავისას მიაღწია, თუმცა ამისთვის არ გააჩნდათ არც იურიდიული, არც მორალური და არც ყველასაგან აღიარებული ძალისმიერი, ბრძოლით მოპოვებული უფლება, მაშინ როდესაც ყველა ეს უფლება უდავოდ ჩვენ გვეკუთვნოდა“ (სუიცსა, ფ. 471, ან. 1, საქ. 98, გვ. 100). ამ დანაკლისის მიუხედავად ქართულმა ჯარმა დიდ წარმატებას მიაღწია, გაანადგურა ე.წ. „სამხრეთ-კავკასიის მთავრობა“ და ღირსეულად დაიცვა თავისი მიწა-წყალი.

1919 წლის აგვისტოს დამდეგს ინგლისელებმა დატოვეს მათ მიერ დაკავებული ზონა არტაანის მხარეში. მათი დადგენილების თანახმად ეს მხარე სომხეთს უნდა გადასცემოდა, მაგრამ ქართული რაზმის მეთაურმა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გაატარა სათანადო ზომები და არტაანში სომხები არ შეუშვა. თანაც გამოაცხადა, რომ არტაანის ჩრდილოეთი, სადაც აქამდე ინგლისელები იდგენ საქართველოს უერთდებო. ამ გზით არტაანის ჩრდილო ნაწილი ფაქტიურად საქართველოს მიემატა და 1920 წლის ნოემბერში, როდესაც ოსმალეთ-სომხეთის ომი მიმდინარეობდა, სომხები იძულებული გახდნენ ოსმალების მიერ ყარსის დაკავების გამო, გზის გადაჭრის შედეგად, არტაანის ოლქის სამხრეთი ნაწილი მიეტოვებინათ. ქართველებმა დაიკავეს სომხეთის მიერ მიტოვებული არტაანის სამხრეთი ნაწილი და ამგვარად მთელი არტაანის მხარე საქართველოს ხელში აღმოჩნდა (ნოზაძე ვ., 1989:73). 1919 წლის აგვისტოდან დაიწყო ბორჩალოს მაზრიდან და მესხეთიდან ინგლისის ჯარების გასვლა. დარჩა ჯარი მხოლოდ ბათუმში. ინგლისელების წასვლა ამიერკავკასიიდან ნიშნავდა ამ ქვეყნის თავისებურ მიტოვებას, როდესაც მას უკვე უახლოვდებოდა ჩრდილოეთიდან რუსეთი და სამხრეთიდან კი ახალი ოსმალური ჯარები ირაზმებოდნენ. ჯერ განუმტკიცებელ საქართველოს რესპუბლიკას დამხმარე ესაჭიროებოდა. 1920 წლის ივლისში ინგლისმა ბათუმიც დატოვა. თბილისი შეშფოთებით შეხვდა ცნობას ბრიტანეთის ჯარების გაყვანის შესახებ. საქართველოს მთავრობის წევრები მიუთითებდნენ ინგლისის ჯარების მთავარსარდლობას ამიერკავკასიაში შექმნილ საერთო პირობებსა და საქართველოს საზღვრებზე არსებულ სახიფათო მდგომარეობაზე. ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ, რუსეთის მხრიდან აგრესიის საშიშროებას, მას შემდეგ, რაც 1920 წლის 27 აპრილს რუსეთმა აზერბაიჯანი დაიკავა, ეს საშიშროება კიდევ უფრო იზრდებოდა, მაგ-

რამ ბრიტანეთის ინტერესები მოითხოვდა რუსეთის წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში ჩარევისაგან უარის თქმას. რუსეთი მოუთმენლად ელოდა ინგლისელების გამგზავრებას. საქართველო მარტოდმარტო დარჩა. 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მთელს კავკასიაში მარტო საქართველო დარჩა დამოუკიდებელი. საქართველოს საფრთხე ყველა მხრიდან მოედო. 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა სომხეთის მხრიდან დაიწყეს საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებები. მათ სწორედ ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში მოაწყეს „მშრომელი ხალხის“ აჯანყების ინსპირირება. ასე ტრაგიკულად დაასრულა დამოუკიდებელმა საქართველომ თავისი არსებობა. ამ მცირე მანძილზე საქართველოს მთავრობამ ვერ შეძლო საქართველო-სომხეთის სასაზღვრო საკითხების გადაწყვეტა, საზღვრების საკითხი კვლავ ღიად რჩებოდა. ამ გარემოებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ. მათ კარგად არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური არსებობის საძირკველს ტერიტორია წარმოადგენდა და ხშირად პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ეროვნულს. სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა კომპრომისული იყო ეროვნულ საკითხში და ხშირად საკითხებს „დემოკრატიისა და ერთა სოლიდარობის“ ლოზუნგით წყვეტდნენ. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველო-სომხეთის ომის შედეგები, როცა სადავოდ გავხადეთ, ის, რაც უდავოდ ჩვენ გვეკუთვნოდა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ანთაძე კ., საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, თბილისი, 1973 .
2. გაბაშვილი რ., მოგონებები, დაბრუნება, ტ. 3, თბილისი, 1992 წ;
3. კვინიტაძე გ., მოგონებები, ტ. I, თბილისი, 1998 წ;
4. მაზნიაშვილი გ., მოგონებები, ბათუმი, 1990 წ., გვ. 124;
5. მუსხელიშვილი დ., არველაძე ბ., ისტორია ობიექტურობას მოითხოვს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წლის 13 მაისი;
6. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი, 1989 წ;
7. გაზ. „Борна“ 1917 წლის 21 ივნისი;
8. გაზეთი „საქართველო“, 1918 წლის 22 ღვინობისთვე;
9. გაზეთი „საქართველო“, 1919 წლის 10 იანვარი;

10. გაზეთი „საქართველო“, 1918 წლის ქრისტეშობისთვის 17;
11. გაზეთი „საქართველო“, 1919 წლის 7 იანვარი;
12. გაზეთი „საქართველო“, 1919 წლის 5 მარტი;
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972 წ.
14. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (სუიცსა), ფ. 471 ან. 1, საქ. 98;
15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფ. 1864, ან. 1, საქ. 13,
16. სცსსა, ფ. 1836, ან. 1, საქ. 43, საქ. 63;
17. სცსსა, ფ. 1864, ან. 1, საქ. 2, საქ. 3, საქ. 8, საქ. 31, საქ. 82;
18. Армяно-грузинский вооруженный конфликт, გვ. 34;
19. Из истории армяно-грузинских отношений 1918 г., გვ. 68;

Nartia Mirianashvili
Malkhaz Afridonidze

Georgia-Armenia war and South-West Georgia

Summary

The problem, which has been studied by us extremely important, but existence of the communist regime, in fact, was banned because of the infamous doctrine of domination “Friendship of Nations”. Essay clearly states that this fundamental problem the government of the first independent republic try to solve with poor and erroneous approach, rather than national, but through the interests of the party. Our national territory gradually cut and the vital problem still frequently urgent.

**Историографическое наследие Еремии Челеби Кемурчяна
как первоисточник истории этнических
меньшинств Оттоманской империи**

- В образовательном аспекте изменения в религиозном поведении имели качественный характер. В советское время масштабы религиозного поведения совпадали по вертикали от самого низкого уровня образования до самого верхнего. В постсоветское время заметна обратная тенденция: чем выше уровень образования, тем шире ареалы распространения религиозного поведения. Это явление заметно по всем параметрам характеристик религиозного поведения. В советское время самый высокий показатель религиозного поведения имели люди с неполным средним и со средним образованием. Самый низкий – с высшим и отчасти со средним специальным образованием. В начале 21 в. основные носители веры - люди с высшим и с средним специальным образованием. В посещении церкви и других святых мест опять же самыми активными в настоящее время являются люди с высшим образованием.

**საარქივო დოკუმენტები, როგორც მნიშვნელოვანი პირველწყარო
სადღესასწაულო - ჩვეულებრივი კულტურის შესწავლისას**

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საარქივო პირველწყაროების მნიშვნელობა სომეხ-თა სადღესასწაულო-სანესჩვეულებო დღესასწაულების შესწავლის საქმეში. ავტორი გამოყოფს საარქივო დოკუმენტების შემდეგ ტიპებს: სახელმწიფო არქივის დოკუმენტები, გამოუქვეყნებელი ეთნოგრაფიული წყაროები, გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული გამოკვლევები, პრესა, საველე ეთნოგრაფიული მასალები და ეთნოსოციოლოგიური მონაცემები. შესაბამისად ცალ-ცალკე განიხილავს თითოეული ტიპის მნიშვნელობას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში.

**ნ. მარი „მოგზაურობა თურქეთის ლაზეთში“
(დაკვირვებები და შთახედილებები)**

ნ. მარმა მოხსენება „მოგზაურობა თურქეთის ლაზეთში“ წაიკითხა 1910 წლის 21 მარტს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ისტორია-ფილოლოგიის განყოფილების სხდომაზე.

ნ. მარის მოგზაურობის მიზანი ჭანურ-ლაზური ენის შესწავლა იყო. მოხსენების შესავალ ნაწილში მეცნიერი აღნიშნავს, რომ თურქებს ყოველთვის ეშინოდათ და აპროტესტებდნენ ქართველი მკვლევარების მოგზაურობას ისტორიულ შავშეთ-იმერხეში თუ ტაო-კლარჯეთში ნ. მარი წერს: „მე ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენი მოგზაურობა ეჭვის ქვეშ დადგებოდა, რომ ჩვენს გარშემო მოენყობოდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მეთვალყურეობა („Известия” Академии Наук с. Петербург 1910 стр 550).

თურქები ეჭვს გამოთქვამდნენ მეცნიერის მიმართ, რომ თითქოსდა ის ჩამოსული იყო სამხედრო-ტოპოგრაფიული რუქების შედგენა გადაღების მიზნით და რომ ის არის გადაცმული სამხედრო მსტოვარი. მას გამომწვევად ეკითხებოდნენ მოგზაურობის მიზნების შესახებ. საქართველოდან ჩამოსულ მეცნიერებს ებრაელებს და გიაურებს უწოდებდნენ. მთელი დღის განმავლობაში (იყო რამაზანი) მეცნიერის ოთახში ყოველგვარი მოპატიჟების გარეშე შემოდიოდნენ მასპინძლები და თვითნებობდნენ, ჩხრეკდნენ მეცნიერის ნივთებს, წვებოდნენ მის ლოგინზე. მკვლევარი მათ ასეთ უდიერ საქციელს არ აპროტესტებდა და მათგან მოითხოვდა მხოლოდ და მხოლოდ ლაზურ ენაზე საუბარს.

ნ. მარი საკუთარ თავს რუს მეცნიერად თვლიდა. მკვლევარი მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ ჭანური ენა გავრცელებული იყო ბათუმის ოლქში, (აღნიშნული პერიოდის რუსეთის საზღვრებში) ბათუმიდან დასავლეთით, სამი საათით მგზავრობის მანძილზე არსებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მეგრელები თუ ჭანები წარმოადგენდნენ ავტოქთონურ მოსახლეობას.

მკვლევარს თურქეთში გამგზავრების წინ თურქეთის ოფიციალური დაწესებულებების მხრიდან დიდი წინააღმდეგობები შეხვდა. რუსებისთვის კარანტინი იყო გამოცხადებული. ნიკო მარს გამგზავრებაში დაეხმარა ბათუმში მცხოვრები „ვიღაც ქართველი“ (ასე მოიხსენიებს) რომელმაც ოცი წელი იცხოვრა თურქეთში. არადა მეცნიერი მას ხშირად შეხვედრია 1898 წელს ათონზე მოგზაურობის დროს და კონსტანტინეპოლში. „ვიღაც ქართველმა“ ნიკო მარს გააცნო ლაზური ენის კარგი მცოდნე არხაველი ფევზი ბეი. ლაზი არხავიდან საუბრობდა თურქულ ენაზე, თაკილობდა და ერიდებოდა მშობლიურ ჭანურ ენაზე საუ-

ბარს. ნიკო მარის მოთხოვნას ფეფვი ბეისადმი, რომ გადაეცა მისთვის ინფორმაცია ლაზურის შესახებ, არხაველი თურქულ ენაზე პასუხობდა: **migrelsa bilursun bir dir** (მეგრულზე იცი?)

ათენის მიღმა ლაზური ენა მხოლოდ ორ სოფელშია იყო გავრცელებული. რიზეში ცხოვრობდნენ ლაზები, რომლებიც ლაზურზე საუბრობდნენ, მაგრამ ისინი აქ მოსულეები იყვნენ. ლაზურზე საუბარი ქვეყნის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა მხოლოდ იაილებამდე (ზაფხულის სადგომები ათინადან ხუთი საათის მგზავრობის პუნქტამდე) ათინაში არც ისე სუფთად საუბრობდნენ ლაზურ ენაზე. არხავეში შეინიშნებოდა სუფთა ლაზური საუბარი. ბათუმიდან გამგზავრებაში ნიკო მარს დაეხმარა მისი გიმნაზიელი მეგობარი ნ. ელიავა, ბათუმის საბაჟოს მოხელე.

ნიკო მარი ბათუმიდან 31 აგვისტოს 4 სთ 15 წთ გაემგზავრა სომხური გემი „ტრპეზუნტი.“ რომლის კაპიტანი იყო თურქი. მგზავრებს შორის იმყოფებოდა რამდენიმე ბერძენი და მდიდარი ხემშილები, რომლებიც რუსულ ენაზე მეტყველებდნენ და განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ლაზების სიძუნწეს. გემის კაპიტანის სომეხი თანაშემწე ინფორმირებული იყო ნ. მარის ანის არქეოლოგიური გათხრების შესახებ.

თავადი ნ. ერისთავი აცნობებდა ნიკო მარს, რომ ჭოროხის დასავლეთით ერთ ვერსზე მდებარეობს პეტრას ნანგრევები. მეცნიერმა გზაში გაიცნო ბათუმელი მუსულმანი თევფიქ ბეი. ბათუმის ოლქიდან ცხენებით გადაყვანას ემსახურებოდნენ მუხაჯირები. ნიკო მარი ახასიათებს ბათუმელ ზია ბეი აბაშიძეს, რომ იგი შესანიშნავად ფლობდა თურქულ ენას, კარგად იცნობდა რუს კლასიკოსებს და ოცნებობდა რუსეთზე. მას აკრძალული ჰქონდა შესვლა ბათუმის ოლქში, სადაც დარჩნენ მისი დები, ასევე მას არ დართეს ცხოვრების უფლება რუსეთის შიდა გუბერნიაში. ნიკო მარი დაუმეგობრდა კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტის სტუდენტი ახმედ ხამდის. სტუდენტმა მეცნიერი მიიპატიჟა საკუთარ სახლში და მოუბოდიშა, რომ მისი სახლი ძველებურ ლაზურ სტილზეა მოწყობილი და არა ევროპულად. სტუდენტი მეცნიერს პატრიოტული პათოსით ესაუბრება განახლებულ თურქეთზე. მეცნიერის შეკითხვას, თუ როგორ შეძლო მან სტამბულში ათი წლის განმავლობაში ასე კარგად შეენახა მშობლიური ენის ცოდნა, სტუდენტი პასუხობს, რომ სტამბოლში ლაზები ბევრია და ძირითადად ლაზურზე საუბრობენ. ნიკო მარი კაფეტერიაში სტუმრობდა არკაბელ ლაზს, რომელიც მეცნიერს არწმუნებდა, რომ მას ურჩევნია თავისუფლად ილაპარაკოს თურქულ და ქართულ ენაზე, ვიდრე ლაზურზე. არკაბელი ლაზი ქართულ ენას ეძახდა ჩურუქსულს.

ამრიგად ზემოდ მოტანილი მცირე მონაკვეთი ნიკო მარის მოგზაურობიდან თურქეთის ლაზეთში ნათლად წარმოაჩენს მეცნიერის დიდ ინტერესს ლაზური ენის შესასწავლად.

გამოყენებული წყარო:

1. „Известия” Академии Наук с. Петербург 1910 стр. 550.

Merab Megrelishvili

N. Mari „Travelling in Turkey Lazeti” (Impressions)

Summary

On March 21, 1920, in Petersburg science academy history-philology department meeting, Niko Mari read his report „Travelling in Turkey Lazeti”. The main purpose of his travelling was learning of Chanur-Lazian language. In introductory part, scientist indicates that, Turkish have always afraid of Georgian researchers journey in historic Shavshet-Klarjeti or Tao-klarjeti. In this work is presented authors impressions and regardings concerning with this travelling.

**ვარძიის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტრის
ბაპარცვა 1866 წელს და ნაპარცვი ნივთ-სამკაულის
გადამრჩენი აჭარელი**

1857 წელს, თითქმის სამსაუკუნოვანი გაუქმების შემდეგ, განახლებული და ნაკურთხი იქნა (1861 წ.) ვარძიის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი. მონასტერი ფაქტობრივად აღადგინა ბერძენმა გიორგი პაპანდოპულომ, რითაც შეჩერდა ვარძიის ნგრევა და ძარცვა. მიუხედავად კურთხევისა, აქ სამონასტრო ცხოვრებისათვის აუცილებელი ბევრი რამ ჯერ კიდევ მოსანესრიგებელი იყო - მონასტერს თითქმის აღარ ჰქონდა არანაირი ქონება, მათ შორის ნივთ-სამკაულიც. ყველაფრის მოწესრიგება სწრაფად დაიწყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვარძიის მონასტერი და მთლიანად ახალციხის მაზრა საეკლესიო-ადმინისტრაციული მმართველობით, იერარქიულად იმერეთის ეპარქიას დაექვემდებარა (1863-1868 წ.). იმერეთის ეპარქიის მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) ყოველნაირად ცდილობდა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებისა და კერძო პირთა დახმარებით მონასტრისათვის ძველი დიდება დაებრუნებინა. გვერდში მდგომნიც საკმაოდ ჰყავდა, მაგალითად, მნიშვნელოვანი იყო 1865 წელს ცნობილი პოეტისა და გენერალ-ადიუტანტ გრიგოლ ორბელიანის შეწირულობა, როდესაც მან მონასტერს ერთი ძვირფასი ბარძიმი და სრული სამღვდელო შესამოსელი გაუგზავნა (ქ.ც.ა. ფ. 21, ს. 9598, ფ. 1-2). მართალია, მონასტერში აღდგენილ იქნა ბერ-მონაზვნური ცხოვრება (კურთხევისას მასში მხოლოდ ერთი მღვდელმონაზონი და ორი მორჩილი განანესეს), მაგრამ მათი აქ ყოფნა მონასტრის მდებარეობის გამო ჯერ კიდევ საშიშად ითვლებოდა, რასაც ადასტურებს მონასტერზე რამდენიმე თავდასხმა გაძარცვის მიზნით და ასევე, 1866 წლის 7 მარტს მონასტრის ფაქტობრივი წინამძღვრის, გელათის მონასტრის მღვდელ-მონაზონის, სოფრონის (თალაკვაძე-1835-1918წ.წ.) წერილი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისადმი. პატაკის სტილში დაწერილ ამ წერილში მღვდელ-მონაზონი სოფრონი წერს, რომ მას სასიამოვნოდ მიაჩნია აქ მსახურება, მაგრამ სამსახურში შექმნია დაბრკოლებები, კერძოდ, არა ჰყავს მორჩილი, რამდენადაც „მორჩილი პავლე დვალიშვილი იქნა გარდმოყვანილ მონამეთის მონასტერში, მორჩილი სვიმონა აბრამიშვილი უქონლობისა გამო საზრდოისა არღარა სდგება მუნ, არამედ მიდის სამშობლოში, და მორჩილს ნიკიფორე ნიჟარაძეს ვითარცა სიყმანვილეშიდ მყოფს და გამოუცდელს, სამძიმოდ უჩნს დაშთენა მუნ, ხოლო მე, მარტოდ ყოფნა დიდად დამიმძიმდება და უსაგებლოც იქნება, ვითარც თვით თვისით საგულის ხმა არს,

გარდა ამისა, რომ სიახლოისა გამო იმა მონასტრისა საზღვრისადმი და შეზღუდვისა გამო მისის ქურთებისა არს მუნ დიდი შიში“. მღვდელ-მონაზონი სოფრონი მღვდელმთავარს სთხოვს გაგზავნოს მასთან ერთი მღვდელ-მონაზონი და საეკლესიო ტიბიკონისა და გალობის კარგად მცოდნე რამდენიმე მორჩილი, რომელთაც აქ უნდა ექნეთ ცხოვრების საშუალება. თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ მღვდელ-მონაზონი მოკრძალებით ითხოვდა გათავისუფლებას, რამდენადაც, მისი აქ ცხოვრება საშიში და უსარგებლო იქნებოდა (ქ.ც.ა. ფ. 21, ს. 9797, ფ. 1). გაბრიელ ეპისკოპოსმა პატაკზე დადებული რეზოლუციით პავლე დვალისვილს მონამეთიდან ვარძიის მონასტერში წასვლა უბრძანა და აღუთქვა, რომ ერთ წელიწადში ბერ-დიაკვნად აკურთხებდა, ხოლო მორჩილ სვიმონ აბრამისვილს ადგილზე დარჩენა უბრძანა იმ პირობით, რომ ერთ წელიწადში ხელფასი ექნებოდა. როგორ ასრულდა რეზოლუციის ეს ბოლო ნაწილი, ჩვენთვის უცნობია, ხოლო მორჩილმა პავლე დვალისვილმა, უკვე მონაზვნად აღკვეცილმა და პაფნუტად სახელდებულმა წასვლაზე თანხმობა განაცხადა (იქვე, ფ. 2). ასეთი არასახარბიელო მდგომარეობა იყო ვარძიის მონასტერში გაძარცვამდე 6 თვით ადრე. გაძარცვისას კი აქ ხუთკაციანი კრებული მსახურებდა.

1866 წლის სექტემბერში მოხდა ვარძიის მონასტრის ორჯერ გაძარცვა 2 და 24 სექტემბერს, ორივეჯერ ღამით. 24 სექტემბრის გაძარცვაზე შედარებით მეტი დოკუმენტებია გადარჩენილი, რაც მოვლენების შედარებით დეტალურ აღდგენას აადვილებს. ორივე შემთხვევა იმერეთის ეპისკოპოსს ახალციხის მთავარხუცესმა დეკანოზმა გიორგი გამრეკელმა შეატყობინა.

1866 წლის 22 სექტემბერს დეკანოზი გიორგი გამრეკელი გაბრიელ ეპისკოპოსს წერდა, რომ 2 სექტემბერს, ღამით უცნობმა მძარცველებმა ვარძიის მონასტერთან მდებარე პეტრე-პავლეს ეკლესიიდან (ეს იყო ვარძიის კომპლექსში შემავალი 15 ეკლესიიდან ერთ-ერთი) მოიპარეს 80 მანეთის ღირებულების ნივთები. აღნიშნულ ძარცვაზე მღვდელ-მონაზონ სოფრონის მოხსენებით ხერთვისის უბნის უფროსს უკვე დაუწყია ძიება (ქ.ც.ა. ფ. 21, ს. 9826, ფ. 1).

გ.გამრეკელის ამ მოხსენების საფუძველზე აღნიშნული ფაქტი გაბრიელ ეპისკოპოსმა მოახსენა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას და ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორს ალ. ოლოგინს (იქვე, ფ. 2-4). აღნიშნული პირებისადმი გაბრიელ ეპისკოპოსს ქურდობის ფაქტი მოხსენებულიც არ ჰქონდა, რომ ახალი ქურდობის შესახებ ისევ მიიღო შეტყობინება დეკანოზ გამრეკელისაგან - 24-25 სექტემბრის ღამეს 40-ზე მეტი მძარცველი თათარი შეიჭრა ვარძიის მონასტერში და გაძარცვეს ყველაფერი. ეს ფაქტიც გაბრიელ ეპისკოპოსმა ისევ სინოდის კანტორას, ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორს და კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას მოახსენა. ამ უკანასკნელისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში გაბრიელ ეპისკოპოსი ეჭვს გა-

მოთქვამდა, რომ გამოძიება დანაშაულის გახსნას შეძლებდა, რამდენადაც, მძარცველები უეჭველად უცხოელებად თურქეთის ქვეშევრდომ აჭარლებად მი-
აჩნდა, მათ დამხმარეებად კი ქურთებს თვლიდა, რომლებიც ყოველ ზამთარში
მონასტრის ირგვლივ მომთაბარეობდნენ და რომელთა ფანატიზმისათვის მიუ-
ღებელი იყო ქრისტიანობის ამ ძველი სინძინდის განახლება და აყვავება. გაბრი-
ელ ეპისკოპოსს განსაკუთრებით აშინებდა ის ფაქტი, რომ ამის შემდეგ ძნელი
საპოვნელი იქნებოდა ვარძიის მონასტერში დამრჩენი ბერების პოვნა, არადა აქ
უკვე აღდგენილი იყო სრული ლიტურგიული მსახურება და კვირა დღეობით
ღვთისმსახურებაზე მრევლის სიარული, 15 აგვისტოს კი ვარძიაში ათასობით
ადამიანი იყო მოსული. მღვდელმთავარი იქვე ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს,
რომლებიც აქ სიმშვიდის დამყარებისათვის იყო აუცილებელი (ქ.ც.ა. ფ . 21, ს.
9998, ფ. 1-2).

ამ გაძარცვას გამოსმაურება მოჰყვა იმდროინდელ პრესაში. კერძოდ, გა-
ზეთ „დროების“ კორესპონდენტი 26 ოქტომბრის ნერილში წერს: „23 სექტემ-
ბერს ღამის მეათე საათზედ, 20 თუ კიდევ მეტი გაიარაღებული კაცი მიადგნენ
ვარძიის მონასტრის შესავალს და მოითხოვეს კარების გაღება. ზოგიერთი
იმათგანი ქართულს ლაპარაკობდნენ და აქედამ სჩანს, რომ ისინი აჭარლები იყ-
ვნენ. გიორგი ბერძენი და ბერი ამ დროს მონასტერში არ ყოფილან. იქ იყო მხო-
ლოთ ოთხი კაცი, მორჩილები და დიაკვნები, რომელთაგან ერთი დაუძღურებუ-
ლი ავათმყოფი ლოგინში იწვა, როდესაც დიაკონმა ჰკითხა მოსულებს იმათი ვი-
ნაობა, ავაზაკებმა მიუგეს, რომ ჩვენ ამადა ამ სოფლის ქართველები ვართ. დი-
აკვნები მაშინვე მიხვდნენ, თუ რა გვარ კაცებთან ჰქონდათ საქმე და დაბრუნ-
დნენ უკან სადგომისკენ თოფის გამოსატანად, მაგრამ ამ დროს ავაზაკებმა ქვა
დაურთეს კარებს და შემოტეხეს. მაშინ დიაკვნები დაიმაღლნენ მიუგნებელს ად-
გილში, ავაზაკებმა ჩაიგდეს ხელში სანყალი ავათმყოფი მორჩილი, გადმოათრი-
ეს ლოგინიდან, დაუწყეს ცემა და თხოულობდნენ, რომ იმას ეჩვენებინა სად
არის მონასტრის ქონება. მერმე ისინი შეცვივდნენ ეკლესიაში, დაიარეს ყველა
სადგომი ოთახები, რაც რამ შიგ იპოვეს სულ ყოველისფერი გაზიდეს, უკანასკნე-
ლი დიაკვნების ტანსაცმელი და ქვეშაგები არ დაუტოვებიათ, ასე, რომ სანყალი
დიაკვნები სულ შიშველი დარჩნენ. შესამოსელი, ბარძიმ -ფეშხუმი და სხვა ეკ-
კლესიის სამკაული გაიტანეს, ცოტა ფულიც იყო ამ მონასტერში, ზოგი საეკლე-
სიო, ზოგი ბერების და დიაკვნების. ეს სულ ავაზაკებს ხელში ჩაუვარდათ. ერთი
სიტყვით, რაც რამ იყო ამ ღარიბს მონასტერში, სულ ყოველისფერი წაიღეს, რო-
გორც ამბობენ, იმ ღამეს იმათ გაიტანეს ასის თუმნის საღირალის მეტი.“ კო-
რესპონდენტის რწმენით, მონასტრის მძარცველები საზღვარს გარეთ მცხოვ-
რებლები არიან, ხოლო მათი დამკვალიანებლები-ადგილობრივები, თუ არა ად-
გილობრივი, უცხოეთიდან მოსული ვერც მოსვლას გაბედავდა და ვერც გზა-

კვალს გაიგნებდა, რამდენადაც, მონასტერში შემავალი ერთადერთი გზა, რომელსაც „სალალატო“-ს ეძახიან, მხოლოდ ადგილობრივებისთვისაა ადვილად გასავლელი. საზღვარი კი მონასტრიდან მხოლოდ 10 ვერსით იყო დაშორებული. ვარაუდს, რომ მძარცველების ხელისშემწყობი ადგილობრივი იყო, ისიც აძლიერებდა, რომ მონასტერი იმ დროს გაძარცვეს, როცა იქ არ იყო გიორგი ბერძენი, მონასტრის განმაახლებელი. მისი ყოფნის შემთხვევაში მონასტერს ასე ადვილად ვერ გაძარცვავდნენ. ადგილობრივი მოსახლეობა გაძარცვას მონასტერთან ახლო მომთაბარე ქურთებს აბრალებდა, თუმცა ქურთები თავად ამას უარყოფდნენ („დროება“ 1866 N 36, 4 ნომბერი, გვ. 2-3).

„დროების“ მომდევნო ნომერში მონასტრის გაძარცვაზე არა, მაგრამ ისტორიულ მესხეთზე მოთავსებულია რედაქციის ძალზე საინტერესო სტატია, ხოლო იმავე წლის № 39-ში, რომელიც 25 ნომბრითაა დათარიღებული, იოანე გვარამაძის კორესპონდენციაა მესხეთის წარსულზე და ივლიტეს ეკლესიის გაძარცვაზე - 1866 წლის 19 ივლისს სოფ. ივლიტეს ძველი ეკლესია გაუძარცვავთ მაჰმადიანებს. წაუღიათ კრეტსაბმელი, ტრაპეზის სამკაული, ცხრა ხელი სამღვდელო შესამოსელი, სანანილე და სხვა ნივთები, სულ 700 მანეთად ღირებული ნივთები. ხატები დაუტოვებიათ შიშის თუ სიჩქარის გამო. სულ მალე ამ ძარცვას ვარძიის მონასტრის გაქურდვაც მოჰყვა, რის შემდეგაც ძიება უფრო სწრაფად წავიდა. ნაქურდალი ნივთების პოვნა შესაძლებელი გამხდარა აჭარის მუდირის შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის დახმარებით. გარდა ნივთების დაბრუნებისა, „შერიფ-ბეგმა საზღვარს გარეთ დაიჭირა ერთი ქურდთაგანი, რომელიც რუსის ქვეშევრდომია, ხერთვისის ახლოს თოვლეთის სოფლიდან, მამისაგან გავარდნილი“. ჩვენი აზრით, რუსის ქვეშევრდომობა მიანიშნებს იმაზე, რომ ქურდი აჭარელი არ იყო, რამდენადაც აჭარა რუსეთის შემადგენლობაში ჯერ კიდევ არ შედიოდა. იოანე გვარამაძე მოკლედ გვაცნობს შერიფ-ბეგის პიროვნებას, რომ ის ქართველი თავადია, გვარად ხიმშიაშვილი, არის გვარის თავკაცი და დიდი ავტორიტეტის მქონე და აღნიშნავს, რომ როგორც გაგვიგონია, ის ამ საუკუნის დასაწყისში ახალციხის ფაშალიკის მმართველის სელიმ ფაშას შვილიშვილი უნდა იყოსო. ასევე ღწერს 6 ნომბერს როგორ პატივით მიიღეს ის ახალციხელებმა: „გუშინ დაღამებისას ახალციხელებმა რაკი შეიტყვეს შერიფ-ბეგის მოახლოება სხვისლის სოფელთან მიეგებნენ დიდი სიმრავლით ზურნითა და ნალართა, ზოგნი იმათგანნი ცხენოსანნი იყვნენ, ზოგნი ქვეითნი, შერიფ ბეგი ისეთი ავლადიდებით შემოიყვანეს ახალციხეში, რომ მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. როგორც ღვთისმშობლის ძალმა მტრობა არ შეანია თავის გამცარცველთ, აგრეთვე ღვთის წყალობით ყოველნი ნივთეულობანი თავის დროზე აღმოჩნდებიან“ („დროება“ 1866წ. №39, 25 ნომბერი, გვ. 2). საბედნიეროდ, იოანე გვარამაძის ვარაუდი გამართლდა, დაკარგული ნივთების დიდი ნაწილი ნაპოვნი იქნა.

ამას ადასტურებს 1870 წლის 25 მაისით დათარიღებული ოფიციალური მოხსენება საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიისა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოპარული ნივთების ნაწილი დაბრუნებული იქნა 1867 წელს, ამასთანავე, დაჭერილი იქნა ერთი ყაჩაღი, ხოლო ცოტა ხნის წინ ბათუმიდან ისევ იქნა გამოგზავნილი დანარჩენი დაკარგული ნივთები და დაპატიმრებული იქნა ყაჩაღთა თვრამეტკაციანი ჯგუფი ბანდის უფროსის აჯი ყარა ოღლის მეთაურობით (ს.ც.ს.ა. ფ. 489, ან.1. ს. 24 617, ფ.2). შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ღვაწლი დაკარგული ნივთების დაბრუნებაში უფრო დეტალურადაა აღწერილი ახალციხის მაზრის მთავარხუცესის, დეკანოზ გიორგი გამრეკელის 1866 წლის 10 ნოემბრის წერილში გაბრიელ ეპისკოპოსისადმი. წერილში, გაზეთის ცნობისაგან განსხვავებით, შერიფ-ბეგის ახალციხეში მოსვლა 8 ნოემბრითაა დათარიღებული. თანაც მისი გვარი შეცდომით აბაშიძეაა მოხსენიებული (რომ არა კონსულტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონ რამაზ სურმანიძესთან, ალბათ დიდხანს მოგვიწევდა აჭარის არარსებული მუდირის, შერიფ-ბეგ აბაშიძის პიროვნების ძებნა. უღრმესი მადლობა ბატონ რამაზს მაღალკვალიფიციური კონსულტაციისათვის). გ. გამრეკელის ცნობით, დაბრუნებული იქნა მონასტრის შემდეგი ნივთები: სახარება ვერცხლის ყდით, სახარება ბარხატის ყდით, საკურთხევის შესამოსელი, ვერცხლის ბარძიმის ფეხი, ვერცხლის საზიარებელი კოვზი, სპილენძის დამტვრეული შანდალი, სხვადასხვა სამღვდლო შესამოსელი და სხვა. აღნიშნული ნივთები მიიტანეს ახალციხის საბაჟოზე და გაუკეთეს აღწერა. ნივთებთან ერთად შერიფ-ბეგმა მიიყვანა ბორკილებდადებული ერთი თოვლეთელი მძარცველი. მისივე თქმით, მძარცველები სულ 19 იყვნენ, რომელთაგანაც რამდენიმე საზღვარგარეთ დაიჭირეს და იმედს გამოთქვამს, რომ სხვა ნივთებსაც დაუბრუნებდნენ მონასტერს. დეკანოზი გ. გამრეკელი გაბრიელ ეპისკოპოსს თხოვს, ხელისუფლებას მოხსენდეს და ჯეროვნად დაფასდეს ის დიდი ამაგი, რომელიც შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა, ახალციხის მაზრის უფროსმა დომბროვსკიმ, მისმა თანაშემწემ ხანაგოვმა და პოლკოვნიკმა ალიბეგ ათაბაგმა გასწიეს დაკარგული ნივთების პოვნაში (ქ,ც.ა. ფ. №21, ს. 9985, ფ.1). ჩვენთვის უცნობია, იმჟამად ხელისუფლებამ როგორ გაითვალისწინა გ. გამრეკელის ხსენებული თხოვნა, მაგრამ ფაქტია, რომ 1878 წელს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, როგორც სამშობლოს ერთგული მსახური, რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორი გახდა. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის დახმარებით წარმატებით გახსნილმა ვარძიის მონასტრის გაძარცვის ფაქტმა ათწლეულობით განაპირობა მონასტრის მშვიდობიანი ცხოვრება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. დოლიძე ლ., გენერალსიმუსი, მარშლები, ადმირლები, ჩვენი თანამემამულენი, თბ. 2000წ.
2. მელითაური კ., ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები. თბ. 1961
3. ვარძიის მონასტერი XIX-XXI საუკუნეებში. „საპატრიარქოს უწყებანი“, №31-33
4. გაზ. „დროება“, 1866 წ. №36, 37, 39.
5. ქ.ც.ა. ფონდი № 21, ს. 8830, 9373 , 9590, 9598, 9797,9826, 9985, 9998, 10155.
6. ს.ც.ი.ა. ფ. №489, ს.24617.

Merab Kezevadze

Robbery of Vardzia Saint Mary Assumption monastery in 1866 and Ajarians saviors of stolen jewellery

Summary

In 1857 has been renewed sanctified (1861) Vardzia Saint Mary Assumption monastery. In October, 1866 the Vardzia monastery was twice robbed. In article is reviewed Sherif Khimshiashvili contribution of returning stolen jewellery.

**ოსმალური დოკუმენტები ბათუმთან დამაკავშირებელი
სახელმწიფო გზების მშენებლობის შესახებ
XIX საუკუნის 60–70–იან წლებში**

I. გზა ბათუმიდან კაპანდიბამდე

მე-19 საუკუნის 70–იან წლებამდე ბათუმი არაერთ მოგზაურს, მკვლევარსა და სახელმწიფო მოხელეს (ანდრიან დიუპრე, მალმუზი გ., პალგრევი ჯ., ჯიუდიჩი...) მოუნახულებია და ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ბათუმი წარმოადგენდა სოფლის ტიპის დასახლებას, თუმცა აღიარებენ მის მოხერხებულ, ღრმა და ქარებისაგან დაცულ ნავმისადგომს, რომელსაც მომავალში გაზრდა-განვითარებას უნინასწარმეტყველებენ. ასე მოხდა კიდეც: ქალაქმა მდ. ყოროლისწყლის შესართავიდან სამხრეთით-ნავმისადგომ ყურესაკენ გადაინაცვლა და 60–იანი წლებიდან ე.წ. „ახალი ბათუმის“—აზიზიეს დასახლების განაშენიანება დაიწყო: აშენდა აზიზიეს მეჩეთი, წმ. ნიკოლოზის ეკლესია; ცოტა ადრე, შუქურა, საკარანტინო შენობა...(დიასამიძე, 2013:74–80; დიასამიძე ბ., 2013:50–54).

ტრაპიზონში ინგლისის კონსული 1867–1872 წწ. ვილიამ ჯიფორდ პალგრევი, რომელიც კარგად იცნობდა ბათუმსა და მის წარსულს, წერდა: „სულ ცოტა ხნის წინ ბათუმი ლაზისტანის სანაპიროს ჩვეულებრივ დასახლებაზე ცოტა დიდი იყო, სადაც უპირატესად ცხოვრობდნენ მეთევზეები და კონტრაბანდისტები“ (პალგრევი, 2012:63), მაგრამ მისივე შეფასებით, ბათუმის ბუნებრივი პირობების გონივრული გამოყენებით, „ბათუმი შეიძლება გადაიქცეს სპარსეთის და კავკასიის მნიშვნელოვან ნავსადგურად და შავი ზღვის პორტებს შორის, ოდესის შემდეგ, დაიკავოს მეორე ადგილი“ (გვ. 84). განსაკუთრებულ ბუნებრივ პირობებში კი გულისხმობს „მისი ნავსადგურის უპირატესობას და განახლებას გზებისა, რომლებიც ამ პუნქტიდან მხარის შიგნით შედიან“ (გვ. 72).

ბათუმის განვითარებისათვის გზების მნიშვნელობას, საგანგებოდ უსვამს ხაზს 1874 წელს აჭარაში მგზავრობის შედეგების შემაჯამებელ ნაშრომში „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, ცნობილი სამხედრო სპეციალისტი გიორგი ყაზბეგიც. იგი ბათუმთან დამაკავშირებელ გზების მოგვარებით ორი დიდი პრობლემის გადაჭრას ვარაუდობს: ეკონომიკურსა და კულტურულს, იგი წერს: „ბათუმსა და ანატოლიის ცენტრალურ პუნქტებს შორის სწორი და უზრუნველყოფილი გზების გაყვანის აუცილებლობა თვალსაჩინოა. უამისოდ შავი ზღვის

საუკეთესო პორტი ბათუმი თურქეთისათვის მკვდარ კაპიტალად დარჩება, ხოლო თურქეთის საქართველოს და სომხეთის ცენტრალური პუნქტები „ჩაიხრჩობიან თავიანთ ქონში“... ასევე „ლივანის, შავშეთისა და ართვინის სიმდიდრე, ბათუმის გზის გარეშე, ვაჭრობისათვის მკვდარ კაპიტალად იქცევა და ევროპის გავლენა, რომელმაც აზიის მრავალი კუთხე გაანათლა, დარჩება თურქეთის საქართველოზე შემოკლებულ ქვის კედლებს მიღმა“ (ყაზბეგი, 1995:104–108).

ყველაფერ ამის და იმის გათვალისწინებითაც, რომ სულ უფრო იზრდებოდა მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი...). ინტერესი ბათუმის მიმართ, თურქეთის სახელმწიფომ 60–იანი წლების მეორე ნახევრიდან გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ბათუმი–ყარსის, აჭარისწყლის ხეობის გავლით ბათუმი–ახალციხის და ბათუმი–ჩურჩუქ–სუ–ოზურგეთის მიმართულელებით გზების გასაყვანად. თურქეთის გააქტიურება, როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, შემთხვევითი არ იყო. „ლივანაზე გავლით დიდი გზატკეცილის გაყვანის საკითხი ფოთი–თბილისის რკინიგზის მშენებლობის დაწყებასთან ერთად გადაწყდა. როგორც ჩანს, ამ შემთხვევითი დამთხვევის უკან იმალება იმ იდეის ქეშმარიტი და ცოცხალი კავშირი, რომელმაც გამოიწვია ორივე ამ გზის გამოჩენა“–წერს გ. ყაზბეგი (გვ. 104).

მართლაც, ბათუმსა და ყარსს შორის გზის გაყვანის შესახებ თურქეთის მთავრობამ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1848 წლის 22 ოქტომბერს მიიღო (ილდიზთაში, 2012:235), მაგრამ პრაქტიკული განხორციელება მხოლოდ ოც წელზე მეტი ხნის შემდეგ გადაწყვიტა ტრაპიზონის ვილაეთის მთავარი მეჯლისის მიმართვის საფუძველზე (ილდიზთაში, 2012:241). ჩემი გამოსვლის თემაც ამ მიმართვისა და მიღებული პასუხების განხილვა–ანალიზი იქნება, რადგან ისინი შეიცავენ მრავალმხრივ ინფორმაციას იმდროის ბათუმისა და მისი შემოგარენის მოსახლეობის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

ოსმალური დოკუმენტი „შეთანხმების მიხედვით ბათუმსა და კაპანდებს შორის გასაყვანი გზის ლივანედან ჰაჯიფაშას ხიდამდე და იქედან არტანუჯის, არტაანის, ოლთისის, არზრუმისა და ყარსის მიმართულებით გაგრძელების შესახებ“ დათარიღებულია 1869 წლის 31 მარტით და დამონმებულია ტრაპიზონის ვილაეთის მთავარი მეჯლისის წევრების ბეჭდებით. მიმართვის ტექსტს საფუძვლიანი გააზრების მიზნით, მოვიტანთ სრულად: „ვაჭრები, ხელოსნები და ღვთისმეტყველები იტყობინებიან, რომ მოსახლეობის მიერ ყარსის არტაანის, ჩილდირის და არზრუმის მხარეებიდან ლივანეში ჩამოტანილი ყველანაირი სურსათ–სანოვაგე და სხვა ნივთები, მდინარე ქოროხის გავლით ნავებით ბათუმის პორტში გადააქვთ. თუმცა ხშირად უამინდობის გამო მდინარეზე, ზღვის ახ-

ლო რაიონებში კვირაობით უნევთ ლოდინი, რაც მგზავრებისა და ვაჭრების ზარალსა და გაღარიბებას იწვევს. ამ მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელი იქნება ყველაზე მოსახერხებელ მარშრუტზე ბათუმიდან კაპანდიბამდე მთავარი გზის გაყვანით. საგზაო მშენებლობის დაწყებამდე ამ მონაკვეთის დათვალიერებისა და შესწავლის მიზნით აუცილებელია ინჟინრის გამოგზავნა. აღნიშნული საკითხი ჩვენი მეჯლისის მიერ იქნა განხილული და აღინიშნა, რომ უგზობამ მოსახლეობას და ვაჭრებს გართულებები შეუქმნა. იმის გამო, რომ რეგიონი დაუსახლებელი და მთიანია, ყაჩაღების და ავაზაკების თავდასხმებიც ხშირია. ხსენებულ კაპანდიბსა და ბათუმს შორის გასაკეთებელი გზა, სამი საათის სავალია. არც ერთ მხარეს ქვიანი და ტყიანი ადგილი, ციხე ან შენობები არ არის. კაპანდიბი აქ მომსვლელი და წამსვლელი ნაგების დგომისა და მოძრაობისთვის უსაფრთხო და მოსახერხებელი პუნქტია. აქ საკმარისი რაოდენობის ურმების მომზადების შემთხვევაში ის მგზავრები და ტვირთი, რომლებიც უამინდობის გამო ვერ გაბედავენ ზღვაში გასვლას, ბათუმამდე და ბათუმიდან კაპანდიბში ორ საათში შეძლებენ ამ მანძილის დაფარვას. ამავე დროს ვაჭრებისთვის ეს ნიშნავს 5 საათის დაკარგულ დროს და მნიშვნელოვანი მანძილის მოგებას. ამისთვის მდინარე ჭოროხის ორივე მხარეს მრავალრიცხოვანი დუქნის, ქარვასლის და მსგავსი შენობების აშენება დროის მოკლე მონაკვეთში ამ მხარის აყვავების საფუძველი გახდება. ცხადია, რომ მიღებული მოგებისგან მთელი ბათუმი ისარგებლებს, რის გამოც მოსახლეობისგან მიღებული დახმარება, იქნება ეს ნაღდი ფულის გაღებით თუ მშენებლობაში პირადი მონაწილეობით, საჭიროზე მეტი იქნება. ამ გზის შესწავლასა და შემოწმებასთან ერთად მშენებლობის დაწყების საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულია, მაგრამ მომავალში განსახორციელებელი მსგავსი საქმიანობისა და მშენებლობისთვის ერთი ინჟინერის იქ მუდმივად ყოფნა აუცილებელია. ჩვენი უმდაბლესი თხოვნაა, ლაზისტანის სანჯაყში ერთი ინჟინერის გამოგზავნა“ (ილდიზთაში, 2012:241)..

როგორც მიმართვის ტექსტის სათაურიდან ჩანს, ბათუმ-ყარსის გზის გაყვანა ბათუმ-კაპანდიბს შორის გზის მშენებლობით უნდა დაწყებულიყო. აქამდე ბათუმიდან აჭარისწყლის ხეობის მიმართულებით გზა ახალშენ-ხეყრუ-ერგეზე გავლით მიდიოდა, ამიტომ ყარსის, არტაანის, ჩილდირის და არზრუმის მხარეებიდან ლივანეში (ართვინში) ჩამოტანილი ყოველგვარი საქონელი ბათუმამდე ჭოროხით ნაგების საშუალებით ჩამოჰქონდათ. ამას ადასტურებს გ. ყაზბეგიც, როცა წერს, რომ „ართვინის ვაჭრობის გამოცოცხლების ერთადერთი საშუალება სამდინარო გზაა... თუ ართვინიდან ბათუმამდე ნაგებით 5-6 საათში ჩადიან, უკან დაბრუნებას 4-5 დღე სჭირდება. ბათუმში დატვირთული ნაგები დინების საპირისპირო საჭაპანო ღვედებით მოაქვთ... მეორე წელია, რაც ინგლისელი

ვაჭრების კომპანიამ დაიწყო ყარსისა და შავშეთის პურის შესყიდვა და ბათუმში ტვირთის ქოროხის გზით გაგზავნა“ (ყაზბეგი, 1995:114–115).

როგორც ზემოთ მოტანილი დოკუმენტიდან ჩანს, უამინდობისას ნავები ზღვაში ვერ შედიოდნენ, რის გამო ლოდინი უწევდათ, რაც დიდ დროდ და ხარჯად უჯდებოდათ, ამიტომ მოსახერხებელი იყო კაპანდიბიდან (კაპანდიბი ადგილია, დასახლება ახლანდელი დაბა ხელვაჩაურის შემდეგ მახოს ხიდამდე) ბათუმში საურმე გზით საქონლის ჩატანა, რასაც სულ 2–3 საათი დასჭირდებოდა. წერილში, როგორც ვნახეთ, დასაბუთებულია კაპანდიბის შესაჩერებელ პუნქტად ვარგისიანობა, გზის გაყვანით აქ მცხოვრები მოსახლეობის სარგებელი: ყაჩაღებისა და ავაზაკებისაგან დაეცვა, სამუშაოს გაჩენა, ქოროხის ორივე მხარეს დუქნების, ქარვასლების და სხვადასხვა შენობების აგება და ამით ახალი შემოსავლის გაჩენა ბათუმისთვისაც. წერილი მთავრდება სპეციალური ინჟინრის გამოგზავნის თხოვნით, რომელიც უხელმძღვანელებდა ამ საჭირო და აუცილებელ საქმეს...

გამოგზავნილი პასუხით, რომელიც თარიღდება 1286 წლის რაბიულაჰირით (1870 წლის აპრილი) ვგებულობთ, რომ მთავრობამ მოინონა პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება გამოგზავნოს ტრაპიზონის გზებისთვის ადრე გამოყენებული და კვალიფიკაცია ამაღლებული ინჟინერი სერემონი და სამუშაოთა მწარმოებლები ლირო და ამორი (ილდიზთაში, 2012:241).

1870 წლის 4 აგვისტოს დოკუმენტით ცხადი ხდება, რომ გზის მონაკვეთების შესწავლა დამთავრებული და საქმის გაგრძელებისათვის საჭირო მოხელეები დანიშნული არიან. გარკვეულია, რომ სწორ მონაკვეთებზე გზა 7–7 წყრთის (3,5 მ), ხოლო ფერდობებზე და კლდოვან ადგილებზე 6–6 წყრთის (3,0 მ) სიგანის იქნება (წყრთა=50–52 ბ.დ.).

მართალია, ამ გზის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ დოკუმენტები არ გვაქვს, მაგრამ 1873 წლის ზაფხულში ბათუმიდან ერგემდე რომ გზა ძირითადად დამთავრებულია და კაპანდიბამდე გზა გაყვანილია, ამას ადასტურებს ცნობილი მკვლევარი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც ამ გზით იმოგზაურა აჭარისწყლის ხეობაში 1873 წელს. იგი წერს: „აჭარისწყლისა და ქოროხის შესართავამდე სამხრეთ–აღმოსავლეთით ვიარეთ სოფლებზე კახაბერსა და ელგეზე (ერგე) გავლით... გზა, რომლითაც ჩვენ მივდიოდით, საუკეთესოა ლაზისტანის საფაშოში. ალაგ–ალაგ იგი დამუშავებული იყო, ზოგან კიდევ ამუშავებდნენ“ (ბაქრაძე, 1987:35).

ზემოთ მოტანილი დოკუმენტით ცხადად ჩანს, რომ ამ გზის გაყვანამდე კახაბრის დაბლობი–კაპანტიბიდან ბათუმამდე ძირითადად აუთვისებელი იყო.

„რეგიონი დაუსახლებელი და მთიანია... გზის არც ერთ მხარეს ქვიანი ან ტყიანი ადგილი, ციხე ან შენობები არ არის“, ვკითხულობთ მეჯლისის მიმართვაში.

ამრიგად, ბათუმის მოხერხებული პორტით მსოფლიოს დიდ სახელმწიფოთა დაინტერესებამ და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმამ (შავ ზღვაზე გააქტიურება, ბათუმის პორტის რუსეთის მიერ აქტიურად გამოყენება, თბილისი-ფოთის რკინიგზის მშენებლობა...) თურქეთის სახელმწიფო აიძულა მეტი ყურადღება დაეთმო ბათუმისათვის, მისი ბუნებრივი პირობების უკეთ გამოყენებისათვის, რაც გულისხმობდა მასთან დამაკავშირებელი გზების გაყვანასა თუ არსებულის გაუმჯობესებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმიდან ყარსისა და აჭარისწყლის ხეობის მიმართულებით საურმე გზის მშენებლობის დაწყებას, რომლის პირველი პუნქტი კაპანტიბი იყო.

ბათუმი-კაპანტიბის გზის მშენებლობით დაიწყო გზათა მშენებლობის იმ გეგმის განხორციელება, რომელიც გულისხმობდა ბათუმ-ყარსსა და ბათუმ-ახალციხეს შორის მოხერხებული გზების გაყვანას, რომელიც უზრუნველყოფდა სამხრეთ საქართველოს მდიდარი რაიონებიდან სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციისა თუ ნედლეულის ბათუმის პორტით საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვას. ამით სარგებელს ნახავდა ქ. ბათუმი და საქართველოს აქამდე ჩაკეტილი სამხრეთის რაიონებიც.

მართალია, ამჯერად წარმოვადგინეთ მხოლოდ ბათუმ-კაპანტიბს შორის გზის მშენებლობის ამსახველი მოხსენება, მაგრამ მომავალისთვის გათვალისწინებული გვაქვს ბათუმ-ყარსსა და ბათუმ-ახალციხეს შორის გზების მშენებლობის ამსახველი დოკუმენტების მოძიება, მათი ანალიზი და ფართო მკითხველისათვის მიწოდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, ბათუმი, 1987
2. დიასამიძე ბ. ახალი ოსმალური დოკუმენტები ბათუმის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მშენებლობის შესახებ.-კრ. „ჩვენი სულიერების ბალავარი“ V, თბ., 2013
3. დიასამიძე ბ. ოსმალური წყაროები „ახალი ბათუმის“ განაშენიანების შესახებ.-კრ. ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა, ტ. III, ბათუმი, 2013

4. ილდიზთაში მ. საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბოლი, 2012
5. პალგრევი ვ. აჭარა ლაზეთი, თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა რამაზ სურმანიძემ, ბათუმი, 2012
6. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995

Bichiko Diasamidze

**Ottoman Documents on Construction of the Roads connecting to Batumi
in 60-70-s of XIX Century
The Road from Batumi to Kapandibi**

Summary

The author studies the ottoman document – an appeal of the main Majlis of Trabzon Vilayet to the Central Power – translated into Georgian. The appeal argues the necessity of building of a cart road (3-3, 5 m width) from Batumi to Kapandibi and its extension toward Ajaristskali Gorge and Karsi in the future. On one hand the road would help to sell merchandise of the south districts of “Ottoman Georgia” and to develop Batumi and its Port on the other one.

**ქუთაისში აჭარალ მცველთა (ჩაფართა) საქალაქო
რაზმის ისტორიიდან**

1905 წლის დასაწყისში, გაძლიერებული რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოში მეფის რუსეთის ხელისუფლებამ 21 თებერვლიდან სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა, მაგრამ ამ ღონისძიებამ ვერ უშველა ცარიზმს. ქუთაისის გუბერნიასა და თვით ქალაქ ქუთაისში გაძლიერდა ცარიზმის საწინააღმდეგო გამოსვლები, ცარიზმმა მთელ იმპერიაში უკან დაიხია, რასაც მოჰყვა 17 ოქტომბრის მანიფესტი. მოსახლეობას გარკვეული უფლებები უწყალობეს. მეფისნაცვლის წარდგინებით ქუთაისის გუბერნატორად დაინიშნა ვ. სტაროსელსკი.

სტაროსელსკი თანაუგრძნობდა რევოლუციონერებს და ხელსაც უწყობდა. პოლიციის მოხელეებს ეს არ გამოპარვიათ. პეტერბურგში იმპერატორთან იგზავნებოდა "დანოსები" მის საქმიანობაზე. მას შემდეგ, რაც მოსკოვსა და რუსეთის დიდ ქალაქებში რევოლუციური გამოსვლები ჩახშობილ იქნა, მეფის ხელისუფლება შეტევაზე გადავიდა და დაივიწყა 17 ოქტომბრის მანიფესტი.

ქალაქ ქუთაისში ადგილობრივ მოსახლეობასა და ჯარისკაცებს შორის ნორმალური ურთიერთობა სუფევდა, ჯარისკაცები თანაუგრძნობდნენ ქალაქში გამართულ მიტინგებსა და დემონსტრაციებს, ზოგჯერ მონაწილეობდნენ კიდეც მღელვარე შეკრებებში. რევოლუციურად განწყობილ მოქალაქეებს აშკარად მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ ხოპერის პოლკის კაზაკებთან, ეს ურთიერთობა კიდეც უფრო დაიძაბა, რადგან მთავრობამ კაზაკები პოლიციური ფუნქციებისათვის გამოიყენა (მჭედლიძე 1993:236).

ხელისუფლებას ეს ნაბიჯი გადაათქმევინა პოლიციის რიგითი შემადგენლობის გაფიცვამ, რომლის მიზეზადაც მათ დაბალი ხელფასი გამოაცხადეს და მისი მომატება მოითხოვეს. ქალაქის თვითმართველობას უმწვავესი ფინანსური მდგომარეობის გამო ამ თხოვნის დაკმაყოფილების არავითარი საშუალება არ გააჩნდა.

ხელფასების საწინააღმდეგო მოძრაობის აღმავლობის პირობებში ამას მძიმე შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. 20 ნოემბერს გამართულ განსაკუთრებულ თათბირზე ქალაქის თავი დ. ლორთქიფანიძე ამბობდა: "როგორც ყველასათვის ცნობილია ქუთაისის ქალაქის პოლიცია აქამდეც არაფრის მოქმედი იყო, ახლა კი ფაქტობრივად აღარ არსებობს და ყოველგვარი დაცვის გარეშე, დარჩენილი მოსახლეობა საშინლად ტერორიზებულია (ქ.ც.ა.ფონდი 108,საქ.3339, ფურც.5-6).

ეს განცხადება მოწმობს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობა მოვლენების კიდევ უფრო ნეგატიურ განვითარებას მოელოდა. იმავე თათბირზე ქალაქის თავმა ხმოსნებს სთხოვა, ერჩიათ გამგეობისათვის, რა გზით გამოსულიყო ამ მძიმე ვითარებიდან, გამგეობამ 21 ნოემბრის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, მოსახლეობას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შედგენილიყო "საქალაქო დაცვა".

მეფის ხელისუფლებამ ქალაქში გააძლიერა კაზაკთა პატრულირება, ისინი სხვა დროსაც არ გამოირჩეოდნენ თავშეკავებული ქცევითა და ადგილობრივი მოსახლეობისადმი პატივისცემით. ახლა კი, როცა ეროვნული და სოციალური ჩაგვრით გამონეული ემოციური აღგზნებადობა არნახულად გაიზარდა, კაზაკები კიდევ უფრო გამომწვევად და უხამსად იქცეოდნენ. ამის გამო გახშირდა მოქალაქეებსა და მათ შორის შეიარაღებული შეტაკებანი, რასაც ზოგჯერ მსხვერპლიც ახლდა. (მჭედლიძე:258).

როგორც ჩანს, კაზაკთა პატრულირების გაძლიერება და მოქალაქეთა შევიწროება მათ მიერ ხორციელდებოდა გუბერნატორ სტაროსელსკის გვერდის ავლით. ეს უკანასკნელი კი მეფისნაცვალს დაუფარავად მოახსენებდა ყოველივეს. სტაროსელსკი თავის მოხსენებებში ითხოვდა კაზაკთა პოლკის ქალაქიდან გაყვანას. მართალია მან კაზაკთა პოლკი ქალაქიდან ვერ გაიყვანა, მაგრამ ისინი იძულებული გახადეს ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაეყვანათ, თუმცა იყო მათი ცალკეული გამოხდომები ქალაქში (ვაჭრიძე პ., გაბუნია გ., 1967:64).

1906 წლის 8 იანვარს მეფისნაცვალმა ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. გაიცა სტაროსელსკის დაპიტიმრების ბრძანებაც, მაგრამ მან მოახერხა დაეტოვებინა საქართველო, ხოლო შემდეგ საზღვარგარეთ გაიქცა. ქუთაისის დასაწყნარებლად გამოგზავნილი იქნა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი, რომელსაც მისცეს უკიდურესი ზომების გამოყენების უფლებაც კი.

რევოლუციური გამოსვლების გააქტიურებისას ქუთაისის პოლიციელთა აქტიურობამ იკლო, ისინი უჩიოდნენ დაბალ ხელფასს და სამსახურში არ გამოდიოდნენ. ასეთ ვითარებაში, ქალაქის სათათბირომ ქალაქში წესრიგის და სიმშვიდის დასაცავად დაიქირავა აჭარელ მცველ (ჩაფართა) რაზმი 41 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის ერთი იყო უფროსი. ისინი პირნათლად ასრულებდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობას, აცილებდნენ ხაზინას, ფოსტას, იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს ქალაქში და ებრძოდნენ ავაზაკებსა და ბანდიტებს. მოსახლეობა მიეჩვია მათ და პოლიციელებზე მეტად მათ ენდობოდა. ქალაქის თვითმართველობამ მათთან გააფორმა ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ყოველი ახალი წლის დამდეგს თვითმართველობა მათ ხელფასებს ქალაქის შემოსავლებიდან გადაუხდიდა. ქალაქის თვითმართველობაც და ხელისუფლებაც კმაყოფილი იყო მათი მუშაობით.

წესრიგის განმტკიცების მიზნით ქალაქის გამგეობასა და ხმოსნებს გუბერნატორი სლავოჩინსკი თხოვდა ყოველწლიურად, ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცებისას გაეთვალისწინებინათ აჭარელი ჩაფრებისათვის თანხა, რათა მათთვის გაეგრძელებინათ ხელშეკრულება. მისი აზრით ისინი უფრო საიმედონი იყვნენ, ვიდრე "გოროდოვოები", რომლებიც ვერ ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. თანაც 41 აჭარელი ჩაფრის შენახვა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე შტატიანი "გოროდოვოებისა" (ქ.ც.ა.ფ.108,ს.3732, ფ.211).

1909 წლის 7 დეკემბერს გუბერნატორი თხოვდა ქალაქის თავს და გამგეობას განეხილათ მისი წინადადება აჭარელი მცველების (ჩაფრების) 41 კაციანი რაზმისათვის გაეგრძელებინათ ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნებოდა აემოქმედებინა მთავრობის მიერ მიღებული 1906 წლის 31 იანვრის განკარგულება, რომლის თანახმადაც ორივე სქესის ყოველ 400 სულ მოსახლეზე უნდა ყოფილიყო გოროდოვოს ერთი შტატი. იმაჟამად ქუთაისში ცხოვრობდა ორივე სქესის 48 ათასი მცხოვრებელი, ეს საშუალებას მისცემდა გუბერნატორს ქალაქში შტატით 120 გოროდოვოი ჰყოლოდა, რაც ქალაქს ძალიან ძვირი დაუჯდებოდა, რადგან თითოეულ მათგანს წელიწადში უნდა მიეღო სერიოზული ანაზღაურება (უფროს გოროდოვოს 275 მანეთი, ხოლო უმცროსს კი 215 მანეთი. ამის გარდა, წელიწადში დამატებით 25 მანეთი აღჭურვილობისა და ტანსაცმლისათვის (ქ.ც.ა.ფ.108, ს.3738,ფ.1).

ქალაქის თვითმართველობამ დააკმაყოფილა გუბერნატორის თხოვნა. ქალაქში დასამყარებელი იყო წესრიგი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მათი შენახვის ხარჯები ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და უფრო იაფი იყო.

მეფის ხელისუფლებამ ქუთაისში გაზარდა პოლიციელთა რაოდენობაცა და ხელფასიც (300 მანეთამდე), თუმცა ამან ვერ უშველა საქმეს. ქუთაისის ხმოსნებს სხდომებზე ხშირად აღუნიშნავთ პოლიციელთა უმოქმედობა, განსაკუთრებით ღამით. პოლიციელები თვლიდნენ, რომ ხელფასი ზრდის მიუხედავად მაინც დაბალი იყო და არ სურდათ ავაზაკის ტყვეისათვის შეეშვირათ მკერდი, თანაც გოროდოვოებად არმიაში განწვევისაგან გათავისუფლებული, ფიზიკურად შეუძლო პირები შედიოდნენ. მათ კი მოქალაქეთა დაცვა არ შეეძლოთ.

1914 წლიდან აჭარელთა მცველ რაზმს (ჩაფრებს) არ გაუგრძელეს ხელშეკრულება, შტატიანი გოროდოვოების რიცხვი კი გაზარდეს. ეს მეფის ხელისუფლებასაც აწყობდა (რადგან მათ გაზარდეს ქალაქში გოროდოვოს შტატი) და თვითმართველობასაც (რადგან 1913 წლის განკარგულებით პოლიციელთა შესანახი თანხის ნახევარს ხაზინა იხდიდა).

სახელმწიფო წესრიგის განმტკიცებასა და საზოგადოებრივი სიმშვიდის დაცვას, მთავრობის ფინანსების გარეშე ემსახურებოდა კავკასიის მეფისნაცვალის 1913 წლის 24 დეკემბრის განკარგულება, რომელიც მოითხოვდა კერძო

მფლობელებისაგან მეეზოვეების დაქირავებას. დამქირავებელს მათთვის უნდა გადაეხადა 300 მანეთი წლიურად. მეფისნაცვალის სავალდებულო დადგენილება ითვალისწინებდა აგრეთვე ყოველი ეზოს შესასვლელის განათებას მთელი ღამის განმავლობაში. ყოველ მეპატრონეს უნდა გამოეკიდა ქუჩის ფარანი ქუჩის სახელწოდებისა და ნომრის ჩვენებით (მჭედლიძე, გვ.135).

მთავრობის ეს დადგენილება ქალაქის სათათბიროში განსახილველად წარადგინა გუბერნატორმა (ქ.ც.ა.108, ს.4297, ფ.72). იგი ამტკიცებდა, რომ ქუთაისს არ ჰქონდა ამის საშუალება. სათათბირო ითხოვდა გუბერნატორს უკან წაეღო მთავრობას ეს წინადადება, თუ არადა საჭიროდ თვლიდნენ შეედგინათ დეპუტაცია და მეფისნაცვალთან გაეგზავნათ შესაბამისი თხოვნით.

ქუთაისში აჭარელ მცველთა (ჩაფართა) რაზმის არსებობაზე ქალაქის თვითმართველობამ უარი განაცხადა, რადგან შეუძლებელი ხდებოდა მათი შენახვის ხარჯების გაღება გოროდოვოის ხარჯებთან ერთად. პოლიციელთა შენახვის ხარჯების ნახევარს კი ხაზინა იხდიდა, რაც დიდი შეღავათი იყო ქალაქის ბიუჯეტისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ვაჭრიძე პ., გაბუნია გ., ქუთაისი, თბ. 1967წ.
2. მჭედლიძე გ., "ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები" ქუთ.1993წ.
3. ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, შემდგენელი და რედაქტორი გ. მჭედლიძე, ქუთ.2013წ.
4. ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 108; საქმე 3339, 3732, 3738, 4297, 4198, 3894.

Vladimer Tsverava

For the history of civil detachment of Adjarian security cuard (Chapars) in Kutaisi

Summary

In 1905 tsarizm announced the military authoritu against the aggrarated revolutionary moment in west Georgia since the 21at of februaru, but in vain. In the province of Kutaisi and also in town Kutaisi, it started and made a protest against the

authority. Tsarizm back step provisionalu and V. Staroselskiwo supported the revolucioneres was appointed as a gavernor of Kutaisi.

In Kutaisi, there were normal situationes between the armu and population. Some of the soldiers partipated in the domenstrations. Cossachkin regiment located in Kutaisi, also patricipated in the dissolution of demonstrations and meetings. That's why there were clashes between the population and Cossackian, some of them ended with bloody too.

In Kuttaiss, police rufused to do their duties, they exclaimed that their salaries were lov and they were litle. Self-government of the town discussed this question and brought the detached forces (chaprebi) from Adjara. The government spent a little money on them. They did their duties, delivered post, and guarded the town trom disorderliness and trouble. In 1914 the town refused to accept their services, as the authority raised the number of police and exchequer was instructed to save them it was a big privilege for self-government of Kutaisi.

**რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის ამსახველი
ბრიტანული მასალები აჭარის არქივში**

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ქეშმარიტად მნიშვნელოვანი ეტაპი გახლდათ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი, პერიოდი როდესაც საქართველომ დაიბრუნა მრავალნატანჯი კუთხე - აჭარა და სამუდამოდ საკუთარ წიაღში დაიუნჯა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას წლების მანძილზე ეწირებოდნენ საქართველოს ღირსეული შვილები; არაერთხელ აჯანყებულან აჭარის მკვიდრნი ოსმალური უღლის გადასაგდებად და თავისუფლების მოსაპოვებლად. საქართველოს ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის რწმენა, რომ აჭარა ოდესმე მაინც დაუბრუნდებოდა დედასაქართველოს, მტკიცე ლიბოდ დაეფუძნა მამულიშვილთა მგზნებარე ბრძოლას.

მიუხედავად იმისა რომ უშუალოდ სწორედ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის შედეგი გახლდათ ძირძველი ქართული კუთხის შემოერთება საქართველოსთვის (უფრო ფართოდ თუ შევხედავთ - რუსეთის იმპერიისთვის) არ უნდა დავივიწყო ამ ომში ქართველთა ლომის წილი, ჩვენი დიდი მოღვაწეების იდეოლოგიური მხარდაჭერა და ბოლოს გეორგიევსკის ტრაქტატით აღებული ვალდებულება რუსეთის იმპერიის მხრიდან.


ამ მნიშვნელოვანი პერიოდის ამსახველი დოკუმენტები ნაკლებად იყო დაცული აჭარის არქივში, რაც ლოგიკური იყო კიდევ, მაგრამ ბოლო პერიოდში ეს დანაკლისი ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრილ იქნა. პირველი ნაბიჯი იყო უშუალოდ ქართული არქივებიდან (თბილისი, ქუთაისი) შემოტანილი კოლექციები, ომის შესახებ არსებული დოკუმენტების ასლები, რომლებმაც ადგილი დაიმკვიდრეს საცავებში ი-81 და ი-82 ფონდების სახით. შემდგომი ნაბიჯი, დამეთანხმებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ პერიოდის შესწავლის კუთხით; აჭარის არქივში შემოტანილ იქნა ბრიტანეთის არქივებში საქართველოს შესახებ დაცული დოკუმენტების ასლები, რომლებიც დამუშავდა საარქივო წესით და ამჟამად დაცულია ჩვენს საცავებში კოლექციის სახით (ფონდი ი- 83). ამ კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომსაც შეეხება.

ფონდი ი-83-ის პირველი ანაწერის პირველი ტომის პირველი საქმე 279 გვერდიდან მოყოლებული მთლიანად რუსეთ-თურქეთის ომის პერიპეტიებს ეხება (1). დოკუმენტები წარმოადგენენ ბრიტანელი დიპლომატებისა და სამხედრო პირების წერილებს, მოხსენებთ ბარათებსა და პატაკებს, რომლებსაც ძირითადად საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრს უგზავ-

ნიდნენ. ამიტომაც აქვს ესოდენ დიდი მნიშვნელობა ზემოთხსენებულ დოკუმენტებს. ამ საქმეში სულ 356 გვერდია. ამ საქმეშია მასალები ბერლინის კონგრესისი ოქმებზეც.

მიმონერა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე იწყება გენერალ-ლეიტენანტ დიკსონის 2 წერილით ლეიარდისადმი (3). როგორც ვიცით ცნობილი არქეოლოგი ჯონ ჰენრი ლეიარდი უილიამ გლადსტონის მთავრობაში მუშაობდა პირველ კონსულად საიდუმლო მრჩევლის რანგში, ხოლო ლორდმა ბიკინსფილდმა ის 1977 წელს კონსტანტინოპოლში კონსულად დანიშნა. ამიტომაც მიმართავდნენ მას დიპლომატები და სამხედროები ომის პერიოდში. ეს წერილი 1977 წლის 12 სექტემბრით თარიღდება. დიკსონი გახლდათ სამხედრო ატაშე. მათი მიმონერა მოიცავს მთელ ათ გვერდს და მთლიანად ეხება რუსეთ-თურქეთის ომსა და მასთან დაკავშირებულ თემებს. შემდეგ იწყება კაპიტან ტროტერისა და დიკსონის მიმონერა. კაპიტანი ტროტერი ასევე მოხსენებებს უგზავნის ლეიარდს. 1877 წლის 16 დეკემბრის წერილში რომელიც ტროტერმა დიკსონს გაუგზავნა, დან-

ვრილებითაა აღწერილი აჭარა-ლაზისტანის სიტუაცია; მოხსენებაშივეა ბათუმის ყურის, ბათუმისა და სარი სუს ბატარეების მდებარეობის ამსახველი რუკები. სამას მეექვსე გვერდზე მოცემულია საქართველო-თურქეთის საომარი პოზიციების ამსახველი რუკაც (4). ეს მიმონერა გრძელდება სამასმეცხრე გვერდამდე. შემდეგ დოკუმენტშია წარმოდგენილი სან-სტეპანოს ზავის ამსახველი მასალები. 316-ე გვერდიდან იწყება ფრიად მნიშვნელოვანი მიმონერა ვიცე კონსულ ბილიოტსა და მარკიზ სოლსბერის შორის. პირველი წერილი 1978 წლის 13 აპრილითაა დათარიღებული და მას ტრაპიზონიდან ვიცე კონსული ბილიოტი უგზავნის



პრემიერ მინისტრ მარკიზ სოლსბერის (5). ძალიან მნიშვნელოვან საკითხს ეხებიან ბილიოტი, სოლსბერი და შემდეგ ლეიარდი. საუბარი ეხება ომის პერიოდში და შემდეგ ლაზების ბედს; მასალებში ლაზების გასახლებისა და აჯანყების ძალიან საინტერესო ფაქტები და ისტორიებია მოთხრობილი, რომელსაც სამწუხაროდ ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი. ამ საკითხს ადრე ჩვენს მიერ რამდენიმე სტატია მიეძღვნა.

დოკუმენტში წარმოდგენილია ბრიტანეთის მთავრობის მემორანდუმი. იგი კონფიდენციალური იყო და ეტყობა შიდა მოხმარების ინსტრუქციას დანიშნუ-

ლება ჰქონდა. აქვეა რუსეთ-ბრიტანეთის შეთანხმება, რომელსაც სოლსბერი და შუვალოვი აწერენ ხელს. დოკუმენტებში არის აგრეთვე ბერლინის კონგრესის ოქმი.

351-ე გვერდიდან იწყება პლანკეტის წერილი სოლსბერისადმი, რომლითაც ცხადი ხდება რუსული ჯარის შემოსვლა ბათუმში. ბათუმის დაკავება მოხდა 1978 წლის 6 სექტემბერს. ძვ. სტილით 25 აგვისტო).

No. 227.

Mr. Plunkett to the Marquis of Salisbury.—(Received September 12.)

(No. 766.)

My Lord,

St. Petersburg, September 8, 1878.

I HAD the honour to forward to your Lordship, at 3:15 P.M. this day, the following telegram *en clair* :—

“ A telegram from the Grand Duke Michael to the Emperor, published officially this morning, announces that the Russian troops entered Batoum at 11 A.M. on Friday the 6th instant. The Russian authorities immediately took possession of the town, all the Turkish civil *employés* having departed. Fifteen tabors of Turkish troops still remain, but will be sent off as soon as possible. All quiet everywhere in the district. Dervish Pasha, with deputation of Mussulmans and of Christians, met the Russian General at entrance of Batoum.”

Translation from the “ Journal de St. Pétersbourg ” of the official despatch above alluded to is herewith inclosed.

I have, &c.
(Signed) F. R. PLUNKETT.

იგივე დოკუმენტი ფრანგულადაცაა მოყვანილი (6). ომისშემდგომი პერიპეტეების ამსახველ წერილებში კვლავ ლაზეთის საკითხთან დაკავშირებული მიმოწერაა ბილიოტსა და პრემიერმინისტრს შორის (1878 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით). დოკუმენტი მთავრდება ფოთის ვიცე კონსულის თომას გარდნერის სოლსბერისადმი გაგზავნილი ორი წერილით, რომლებშიც ძირითადად სამხედრო შენაერთების გადაადგილებაზეა საუბარი (7).

British Archives on the Caucasus
Georgia

ADJARA
and the
RUSSIAN EMPIRE
1878-1917

რუსეთ-თურქეთის ომთანაა დაკავშირებული ამავე ტომის მეორე საქმე (8), რომელშიც წარმოდგენილია ვიცეკონსულ ბილიოტის მოხსენებითი ბარათები სოლსბერისადმი. წერილი, რომელიც 1978 წლის 13 სექტემბერსაა შედგენილი ტრაპიზონში, ეხება რუსეთის ჯარის მდგომარეობას და ლაზების მღელვარებას მოსალოდნელი გადასახლების გამო. ამავე საკითხს ეხება კონსულ ჩუდილიოლის წერილი სოლსბერისადმი.

ზემოთხსენებული ფონდის პირველი ანაწერის მეორე ნაწილში (A კატეგორია)

ასევე მდიდრადაა მასალები ომის შესახებ. მნიშვნელოვანია რიკეტის (ბრიტანეთის კონსული თბილისში) დეპეშები (1877 წლის 10 მარტიდან 12 დეკემბრამდე) საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი (სულ შვიდი დეპეშა (9); ასევე, ფოთის კონსულ გარდნერის (გაგზავნილი 1978 წლის 15,17 აპრილსა და 2 სექტემბერს) (10) და თბილისში ბრიტანეთის კონსულის ჩუდი ლიოლის დეპეშები საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი (1878 წლის 29 აპრილიდან 11 აგვისტოს ჩავლით, სულ 8 დეპეშა) (11). საინტერესოა ამავე ანაწერის 591,592 და 593 საქმეები, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფიდენციალური გამომცემლობა, "დამატებითი კორესპოდენცია თურქეთის საკითხებთან დაკავშირებით 1878 წლის ივნისი", (სამ ნაწილად).

განსაკუთრებით საინტერესოა აგრეთვე ალფრედ ბილიოტის, ჩუდი ლიოლის, და თომას გარდნერის 1878 წლით დათარიღებული მოხსენებითი ბარათები პრემიერმინისტრისა და საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, რომლების დაცულია ი-83 ფონდის პირველი ანაწერის მესამე ტომში (B კატეგორია) (13). ომსა და ომისშემდგომ ვითარებას ეხება ალფრედ ბილიოტის მიერ 1879 წელს შედგენილი მოხსენებითი ბარათებიც.

ამრიგად, აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავში დაცული ბრიტანული კოლექცია (ფონდი ი-83), 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირველწყაროს. მასში ვხვდებით აქამდე უცნობ ფაქტებს და ნიუანსებს, რომლებიც აუცილებლად გამოადგება ზემოთხსენებული პერიოდით დაინტერესებული ისტორიკოსებსა და საზოგადოების ფარო ნაწილს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. DICKSON C., lieutenant-general, military attache. (fondi i-83.tomi 1; aRwera 1. tomi1,saqme1,furceli 280)
2. The Rt Hon **Sir Austen Henry Layard** GCB (/ˈɔːstɪn ˈhɛnrɪ ˈleɪərd/; 5 March 1817 – 5 July 1894) was an English traveller, archaeologist, cuneiformist, art historian, draughtsman, collector, author, politician and diplomat.
3. საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივი ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი1,საქმე1,ფურცელი 279;
4. ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი1,საქმე1,ფურცელი 306

5. ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი1,საქმე1,ფურცელი 351
6. ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი1,საქმე1,ფურცელი 356
7. ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი1,საქმე2,ფურცელი 1
8. ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი2,საქმე570-576
9. ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი2,საქმე577,578,587
10. ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი2,საქმე579-586
11. ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი2,საქმე 591,592,593
12. ფონდი ი-83.ტომი 1; აღწერა 1. ტომი3,საქმე1-18

Fridon Kardava

1877-1878 years Russia-Turkey war reflecting British materials in Ajara Archives

In Ajara Archives Administration are kept British Collection (Fund I-83), in which are very interesting documents connected with 1877-1878 years Russia-Turkey war. In this collection we can find previously unknown facts and nuances, which are very important for many researcher who are interested with these issues.

АДЖАРИЯ В РОССИЙСКОЙ ГЕОПОЛИТИКЕ: ПРОШЛОЕ И НАСТОЯЩЕЕ

Аджария, состоящая из приморской и горной частей, в разные периоды своей истории входила в состав различных грузинских царств. В XVI веке в результате захватнических устремлений Персидского государства и Османской империи канули в прошлое целостность и независимость Грузии, и до третьей четверти XIX века Аджария, разделенная на два санджака (Батумский и Аджарский), попала под турецкое владычество. На протяжении веков Османская империя проводила политику насильственной исламизации христианского населения Аджарии. Именно в этот период в регионе, исповедующем христианство со времен Андрея Первозванного, получает распространение ислам.

Интерес Российского государства к этим территориям совпал с периодом расцвета и военного могущества Османской империи. Попытки наладить российско-грузинские или российско-аджарские //грузинские связи встречали яростное сопротивление не только Порты, но и Персии. Под угрозой начала военных действий Османская империя и Персия вынудили Ивана IV вывести русские отряды из Кахети. Несмотря на многочисленные попытки Российской империи закрепиться в регионе в последующие три столетия османы жестко контролировали аджарские// грузинские земли.

На протяжении всего периода господства Османской империи не утихали народные волнения. Борьба за независимость грузинского (аджарцы) народа была направлена на восстановление Самцхе-Саатабаго. Освободиться от турок аджарцам удалось лишь в XIX веке, в ходе русско-турецкой войны. Тогда Д. Святополк-Мирский писал царскому наместнику в Тбилиси о важности взятия и присоединения к России города-порта Батуми. Взятие Батуми стало возможным, в том числе, благодаря пророссийской позиции местных аджарских беков (1). Один из влиятельнейших из них - Шериф-бек Химшиашвили – придерживался российской ориентации и ратовал за воссоединение Аджарии и Грузии. И хотя решающие сражения развернулись на Балканах, в победе России на Кавказско-Малоазиатском фронте значительную роль сыграл грузинский народ.

Вслед за народами Балканского полуострова население Грузии, включая аджарцев, воспринимало русско-турецкую войну 1877 – 1878 гг. как освободительную. Многочисленные факты подтверждают стремление аджарцев воссоединиться с Грузией. И несмотря на трехвековое османское владычество

аджарцам удалось сохранить свою культуру, традиции и родной язык. По завершению русско-турецкой войны европейские государства (Великобритания, Франция, Австрия) сделали все возможное, чтобы пересмотреть условия мирного договора между Османской и Российской империями, не в пользу последней. Не без вмешательства европейских держав Батуми (Батум) был объявлен порто-франко (до 1886 г.). Статус порто-франко способствовал расширению торговли, привлечению капитала и возникновению промышленности. В эти годы Батуми превратился из крохотного провинциального городка в благоустроенный по европейскому образцу город. Численность населения стремительно увеличивалась (с 3 до 35 тыс. чел.), и вскоре город стал третьим по величине на Южном Кавказе. Выгодное географическое положение Батуми осознали еще в 80-е гг. XIX века, что позволило использовать порт для транспортировки бакинской нефти. Это был третий по значимости порт Российской империи после Санкт-Петербурга и Одессы. После подписания Берлинского мирного договора территория бывшего Аджарского санджака, отошедшего к Российской империи, была преобразована в Батумскую область (с 1883 по 1903 г. являлась частью Кутаисской губернии).

Кавказский театр первой мировой войны и октябрьский переворот большевиков внесли свои коррективы в погранично-территориальные вопросы. После подписания Советской Россией Брестского мирного договора (3 марта 1918 г.) Аджария переходила к Турции. С 15 апреля по декабрь 1918 года Аджария была занята турецкими войсками, но уже вскоре, в следствие поражения Турции в первой мировой войне и подписания Мудросского мира, вошла в состав оккупационной зоны британской Черноморской армии. Англичане управляли Батуми до середины 1920 года, когда союзное командование (Великобритания, Франция, Италия) приняло решение передать эту территорию Грузинской демократической республике. Это совпадало с интересами РСФСР, которая и осуществила переход Аджарии под управление Грузии, официально оформив все Карским договором 1921 года. Карсскому предшествовал Московский договор о дружбе и братстве между Турцией и РСФСР от 16 марта 1921 года, который закреплял районы Карса, Ардагана, Артвина за Турцией, а район Батуми за Грузией (2). А согласно Карсскому договору Турция и Россия оставляли за собой право ввести войска в Аджарию в случае военного вторжения третьих государств в этот регион. Этот договор урегулировал ситуацию на Южном Кавказе после распада Российской империи.

В настоящее время административный центр Аджарии – Батуми – является важным экономическим, культурным, туристическим центром Грузии. В Батуми велик процент русского населения и выходцев из бывшего СССР. Еще некоторое время назад в автономии было российское присутствие. И речь не только о силовой

168

поддержке, которая выражалась в расквартированной в Батуми 145 мотострелковой дивизии. В первую очередь речь об экономическом, социокультурном взаимодействии, о сохранении русской речи и элементов русской культуры в регионе.

В первые постсоветские годы Москве удавалось контролировать политическую ситуацию в автономии, оказывая поддержку главе автономии Аслану Абашидзе. Выражая внешнюю лояльность руководству страны Абашидзе, тем не менее, проводил независимую от Тбилиси внутреннюю и внешнюю политику. Центр соглашался на все условия, выдвигаемые руководством Аджарии, опасаясь получить третью горячую точку. Батуми в свою очередь никогда не выдвигал требований об изменении своего статуса, и регулярно подтверждал намерение остаться в составе Грузии. Со временем союз Батуми и Тбилиси все сильнее походил на конфедерацию, и, вполне естественно, что столь «широкая» автономия не могла удовлетворить грузинские власти. К этому времени в остальной части Грузии, за исключением Абхазии и Южной Осетии, разворачивал активную деятельность Североатлантический альянс, наращивая военное присутствие и осуществляя подготовку грузинских военных. Вероятность вооруженного конфликта центра и автономии увеличилась к 2004 году, когда верные новому президенту Михаилу Саакашвили военные части были готовы вступить на территорию республики. В тот момент определенную миротворческую роль сыграла Россия, чьи войска, находившиеся в Аджарии, продемонстрировали нейтралитет. В мае 2004 года бессменному лидеру Аджарии А. Абашидзе, утратившему доверие населения, и не поддержанному российскими военными частями, ничего не оставалось, как покинуть Батуми и Грузию. Уход Абашидзе многие зарубежные и российские аналитики называли началом краха политики России на Кавказе, и чуть ли ни предвестником распада самой России (3). Были и те, кто более реально смотрел на происходящее (4). Так или иначе, но вмешательство Москвы в историю с Абхазией и Южной Осетией не сводилось лишь к бескорыстной помощи дружественным и лояльным России народам. Это скорее можно назвать демонстрацией национальных интересов и намерений РФ в регионе. Поэтому, несмотря на поддержку Соединенными Штатами радикальных шагов Саакашвили по укреплению грузинской государственности, события в Абхазии и Южной Осетии не могли развиваться по аджарскому сценарию.

В последнее время в СМИ все чаще поднимается вопрос о всевозрастающем турецком влиянии в Грузии, и особенно в Аджарии. В начале XXI века Турция начала осуществлять давнюю мечту восстанавливая свое влияние на аджарских землях. Подспорьем для этого является и тот факт, что около 30 процентов

населения автономии исповедуют ислам. Конечно, вряд ли представляется возможным, чтобы одним прекрасным утром жители Аджарии проснулись в Турции. Однако пантюркизм набирает обороты и со стороны радикальных сил слышны заявления о том, что Аджария исконно турецкая территория, оккупированная Грузией столетие назад (5). Однако абсолютно ясно, что территория автономии попала под влияние Турции в обмен на инвестиции в развитие рекреационной сферы и транспорта.

В настоящее время, когда военное присутствие России в Аджарии осталось в далеком прошлом, геостратегические интересы Москвы в регионе могут быть представлены инвестициями в экономику и расширением культурных связей. Тем более что для подобного сотрудничества есть отличная основа – это богатая совместная история.

Список источников и литературы:

1. Мегрелидзе Ш.В. Грузия в русско-турецкой войне 1877 – 1878 гг. Тбилиси, 1955. С. 92.
2. Скурлатов В. Что потеряла Россия, сдав Аджарию // <http://www.contrtv.ru/common/362>.
3. Дугин А. В Аджарии мы проиграли // www.igrunov.ru/topic/adzhar/1083940686.html
4. Игрунов В. У России на сегодня нет альтернативы дружественным отношениям с Грузией // www.igrunov.ru/vin/vchk-vin-civil/inter_relations/russ_sng/1083841027.html
5. Александров Д. Новый гамбит // vz.ru/politics/2012/6/23/585027.html

Olga Chernyshova

AJARA IN THE RUSSIAN GEOPOLITICS: THE PAST AND THE PRESENT

Summary

In the article the author explores the history of region of Adjara occupying a strategic position and being important factor in the geopolitics of several countries, including Russia. For many centuries territory of Adjara was a part of different states – Ottoman Empire, Russian Empire and Georgia. Current research shows that today the Autonomous Republic of Adjara as being part of Georgia, has been still influenced by the other countries.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და
ინსტიტუციონალური მახსიარება

ნაშრომი შესრულებულია ევროკავშირის პროექტის „MEMORYROW“-ის
ჩარჩო-პროგრამა „მარია კიური“-ს ფარგლებში ფარგლებში

საარქივო მონაცემები. საარქივო მონაცემები მდიდარია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის ამსახველი მასალებით, თუმცა მათი ძირითადი ნაწილი თავმოყრილია რუსეთის, ბალკანეთისა და სხვა სახელმწიფოების არქივებსა და წიგნსაცავებში. საქართველოს არქივებში აღნიშნული ომის ამსახველი მასალები შედარებით მწირადაა შემონახული. ეს გასაგებიცაა, რადგან საქართველო იყო რუსეთის იმპერიის ნაწილი და საარქივო დოკუმენტაციებიც ძირითადად პეტერბურგის არქივში იყრიდა თავს. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, საარქივო დოკუმენტები შეთანხმებისამებრ უნდა დარჩენილიყო ბათუმში, თუმცა ოსმალებმა დაარღვიეს ეს შეთანხმება და დოკუმენტების დიდი ნაწილი გაიტაცეს, ნაწილი კი პეტერბურგში გაიგზავნა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ აჭარის არ-ის საარქივო სამმართველოში ამ ომის შესახებ არსებული დოკუმენტები შედარებით მწირია.

საქართველოს ეროვნულ არქივში რუსეთ-თურქეთის ომის ამსახველი მასალები თავმოყრილია ფონდ 17-სა და ფონდ 1087-ში. აღნიშნულ ფონდებში დაცულია მიმონერები სამხედრო ხელმძღვანელობისადმი თურქეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ (ფ. 1087, ან.1, საქმე 545). დოკუმენტი ეხება რუსების წინსვლას ბუგა-ტაპაკ-ყარსის მიმართულებით. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გენერალ დეველის განკარგულებაშია 7 ბატალიონი. საუბარია იმის შესახებაც, რომ აჭარლები აპირებენ თურქეთის წინააღმდეგ აქტიურ შეტევას ახალციხის მიმართულებით.

ამავე საქმეში დაცულია თავად ჭავჭავაძის წერილები გენერალ-ადიუტანტ ლორის მელიქოვისადმი. ერთ-ერთი წერილი თარიღდება 1877 წ. 14 მაისით. მასში აღწერილია მეომარ მხარეთა შეიარაღება, ამასთანავე აღნიშნულია, რომ ადგილობრივ გზებზე შესაძლებელია მხოლოდ მსუბუქი ტვირთის გადატანა, რომ ამინდები გაუარესდა, გზები გაუვალი გახდა და რუსებმა ვეღარ შეძლეს იარაღის გადატანა ურმების საშუალებით. დოკუმენტებში ნათლად ჩანს ჭორების გავრცელების მექანიზმები მონინააღმდეგის შეშინებისა და მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოსახდენად (თუმცა ზოგჯერ ასეთ ჭორებს საფუძველიც ჰქონდა), კერ-

ძოდ ქრისტიანულ მოსახლეობაზე თავდასხმა-გაძარცვის მიზნით მთიელების მზადებასთან დაკავშირებით.

ამავე ფონდის 516-ე საქმეში წარმოდგენილია 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის ისტორიის გამოსაცემად მომზადებული მასალა, რომელიც შეეხება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განვითარებულ საბრძოლო მოქმედებებს. მასში ჩართული იყო ენგურის და მარუხის შენაერთები. დოკუმენტის მიხედვით ენგურის შენაერთი შეიქმნა სოხუმისა და ქუთაისის შენაერთთა ბაზაზე. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ქობულეთში წარმოებული საბრძოლო ოპერაციების შესახებ, რომელზეც იყო დამოკიდებული რუსთა საერთო წარმატება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ წარუმატებლობის შეთხვევაში საჭირო გახდებოდა გურიის საზღვრებთან თავდაცვის გაძლიერება. აქვეა მასალები ციხისძირთან, სოხუმთან წარმოებული ბრძოლების, მუჰაჯირობის, აფხაზების მიერ მოქვის და კვიტაურის დასახლებული პუნქტების დაკავების შესახებ.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია გრენადერთა მე-14 ქართული პოლკის საბრძოლო ცხოვრების ისტორია (ფ.1087, ან.1, საქმე 76), გრენადერთა პირველი კავკასიური, მე-19 ქვეითი სამხედრო შენაერთების მონაწილეობის ამსახველი მასალები (ფ.1087, ან.1, ს.559) ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მიმონერები სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებასთან ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისათვის დახმარების განწევის თაობაზე. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ჩამოყალიბებულია დახმარების გამწვევი საზოგადოება ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის, დასახლებულია შეგროვილი თანხის რაოდენობითაც (ფ.17, ან.1, საქმე 189).

ეროვნული არქივის ფონდებში დაცულია აგრეთვე 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის ამსახველი სხვა მასალები, კერძოდ, რუკები, სქემები, გეგმები (ფ.1087, ან.1 საქმე 1295), ბათუმის ოლქის მმართველობის დროებითი დებულების მასალები (რომლის მიხედვით ოლქი ერთ სანავსადგურო (ბათუმი) და სამ ოკრუგად (ბათუმის, ართვინის, აჭარის) დაიყო (სცსსა, ფ.229, ან.1, საქმე 48, ფურც.1-ა). ამ მასალებიდან ირკვევა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი ითვალისწინებდა ოსმალთა ბატონობის შედეგებს. სწორედ ამიტომ აქ მოქმედებდა ორი ტიპის სასამართლო//მეფლისი: საერო და ადგილობრივი (სცსსა, ფ.545, საქმე 1677, ფურც.1-3).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუჰაჯირობის პარალელურად სწრაფად დაიწყო რუსების მიერ ახლადშემოერთებული მიწების კოლონიზაცია. გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკის კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ დოკუმენტში პირდაპირ წერია: „მუჰაჯირობას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა თურქეთთან ჩვენი ახალი საზღვრების გამაგრებისა და კავკასიაში ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის... ამიტომ: 1. ხელი არ უნდა

შევუშალოთ მუსლიმანებს თურქეთში გადასახლებაზე არც პირდაპირ, არც ირიბად. 2. უნდა გავატაროთ ღონისძიებები, რათა მუჰაჯირთა მინები მოხდეს მხოლოდ მთავრობის განკარგულებაში... დანახარჯი, მილიონიც რომ იყოს, მიზამნიმართული და სასარგებლოა. მთავარია ჩავასახლოთ რაც შეიძლება მეტი რუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში საბოლოოდ უნდა დავემშვიდობოთ აზრს კავკასიაში რუსების ჩამოსახლების შესახებ. ამას აქვს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. რუსების დასახლება აქაურებს გაუჩინს თურქეთში გადასახლების სურვილს”, წერია მოხსენებაში (სცსსა, ფონდი 416, ან.3 ფურც.9-19). მართლაც, მალე აქ გაჩნდა არაერთი რუსული კოლონია, კერძოდ: სმეკალოვკა – ქობულეთის მახლობლად (გენერალ-გუბერნატორ სმეკალოვის პატივსაცემად), კომაროვკა (ბათუმის ოლქის პირველი გუბერნატორის კომაროვის პატივსაცემად), რომანოვკა, ხოლოდნაია სლობოდა (ეხლ. ბონი), სტეპანოვკა, გოროდოკი, ალექსეევკა და ა.შ. მდ. ჭოროხისპირეთში დღემდე შემორჩენილი ამ მოვლენის ამსახველი გვარსახელური ტოპონიმებიც: სინიციანი, ბიკოვი, სახაროვი და ა.შ.


რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შესახებ მასალებს ვხვდებით აგრეთვე საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრების (ფონდი 1), კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველის მთავარი სამმართველოს უფროსის კანცლარიის (ფონდი 5), კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველის კანცლარიის (ფონდი 12), კავკასიის სამხედრო-სახალხო მმართველობის (ფონდი 545) და სხვა ფონდებში.

საარქივო მასალებში წარმოდგენილია ახალციხის გუბერნატორის თხოვნა კავკასიის მთავარმმართველისადმი ახალციხიდან თურქეთში 1500 ოჯახის გადასახლების თაობაზე (ფონდი 5, ან.1, საქმე 622), სხვადასხვა სახის კერძო თხოვნები მუსლიმთა თურქეთში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით (ფონდი 12, ან.2 საქმე 263), აფხაზების თურქეთში გადასახლების შესახებ (ფონდი 545, ან.1, საქმე 191). ფონდებიდან გამოვლენილ საკატალოგე ბარათებში არის დოკუმენტები მუსლიმი მოღვაწეების: შამილის, ყაზი-მულას, ხაჯი-მურატის მოძრაობებზე, რომელიც პირდაპირ ეხება მუჰაჯირობის პროცესს. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა გელა გუნიავას მიერ გამოცემული დოკუმენტების კრებული „Исламская община Кавказа по документам Грузинских Архивов 1800-1917 гг.“ რომელშიც ამ პერიოდის ისლამური თემის მოღვაწეობის სრული დოკუმენტაციაა თავმოყრილი და რომელიც ახალგაზრდა მკვლევარმა მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ გამოსცა. დოკუმენტურ დონეზე მსგავსი მოცულობის გამოცემა ბოლოს წლების მანძილზე არ შესრულებულა.

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ აჭარა ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. შესაბამისად, **ქუთაისის სახელმწიფო არქივში წარმოდგენილია** არც თუ

ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ მეტად საგულისხმო მასალები ამ ომის შესახებ. ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ქართული საზოგადოება შესანიშნავად ერკვეოდა შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში და სამშობლოსთან დაბრუნებას აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას. ერთ-ერთ დოკუმენტში პირდაპირადაა მითითებული: „რა მიზეზებიც არ უნდა ჰქონდა ომს, იგი აუცილებელი და დიდ მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის“.

ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტებიდან ყურადღებას იქცევს ე.წ. „ნამსახურებთა სიები“. ეს დოკუმენტები დღემდე არავის შეუსწავლია. ამ სიებში წარმოდგენილია 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილე ცალკეულ პირთა საბრძოლო ბიოგრაფია და დამსახურება, საკუთრივ: თავადი **გიორგი თეიმურაზის ძე აგიაშვილი**, კავკასიის სამხედრო ოკრუგის ლეიბ-გვარდიის როტმისტრი (ეკუთვნოდა იმერელ თავადაზნაურთა შტოს, დაბადებულია



1831 წელს, დაამთავრა ქუთაისის სამაზრო სასწავლებელი, მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1853-1856 (ყირიმის) და 1877-1878 წლების ომებში. 1855 წ. 13 სექტემბერს მიაწიჭეს იუნკრის, 1861 წ. პრაპორშჩიკის (ზემდეგი), 1868 წელს კი პოდპორუჩიკის სამხედრო ჩინი და გადაიყვანეს ლეიბ-გვარდიაში, დაქორწინებულია თავადის ქალზე – ნატალია დადიანზე, რომლისგანაც შეეძინა ქალ-ვაჟი: ნიკოლოზი და ელიზავეტა), რომელიც სამხედრო მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო წმ. ვლადიმირის IV ხარისხის ორდენით, ბრინჯაოს მედლით, სამკერდე ნიშნებით (ქუთაისის ცსა, ფონდი 1, საქმე 1715, ფურც. 30, 31, 32, 33).

თავადი **ლევან ალექსანდრეს ძე ჩიჩუა**, შტაბს-კაპიტანი (ქუთაისის გუბერნიის სამეგრელოს თავადაზნაურთა შტო), დაბადებული 1847 წ. 16 აპრილს, სწავლობდა ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიასა და თბილისის იუნკერთა სასწავლებელში, იყო ზუგდიდის მაზრის მეორე განყოფილებაში სამშვიდობო შუამავალი. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომში. 1877 წ. მაისში დაიჭრა და გამოსაჯამრთელებლად გაიგზავნა მე-12 სამხედრო ნაწილის ჰოსპიტალში. მხედრული მამაცობისათვის დაჯილდოვდა წმ. ვალენტინის IV ხარისხის ორდენით (ხმლითა და ბაფთით - 1877 წ. 25 აგვისტო) და ბრინჯაოს მედლით (ქცსა, ფ. 1, ს. 4985, ფურც. 21-27).

გოცირიძე ივანე ლევანისძე, კაპიტანი, ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოს დეპუტატი, 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე, დაბადე-

ბული 1843 წ. 8 თებერვალს, სწავლობდა ერთ-ერთ კერძო სასწავლებელში. საფრონტო საქმის კარგი ცოდნისათვის 1864 წ. 5 დეკემბერს მიანიჭეს უნტეროფიცრის სამხედრო წოდება, 1866 წლიდან კი იუნკერია. 1877 წ. მარტ-ივნისში კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობის 433-ე ბრძანებით ჩარიცხეს გურიის მეორე შტაბში. ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის 1877 წ. 26 ნოემბერს დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით, ხმლითა და ბაფთით. მოგვიანებით, 1878 წ. ნოემბერში დაინიშნა ასეულის ხელმძღვანელად. მონაწილეობდა მუხაესტატესთან, ხუცუბანთან წარმოებულ ბრძოლებში, საბრძოლო თანამშრომლობა აკავშირებდა გენერალ-ლეიტენანტ ოკლობჟიოსთან, გენერალ-მაიორ ჯანიბეკოვთან, გენერალური შტაბის პოლკოვნიკ ყაზბეგთან და ა. შ. (ქცსა, ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულო, ფ. 1. ს. 4498, ფურც. 11-17).

ქუთაისი არქივში დაცული დოკუმენტები ეხება რუსეთ-თურქეთის მეტოქეობის საკითხებსაც, როგორც ომის დროს, ისე ომის შემდეგ. ერთ-ერთი ოქმის მიხედვით ოსმალეთის საზღვაო ხომალდების ბიურო „MAXEYCIE“-ს ბათუმში მიუთვისებია მიწის ფართობი, სადაც ადრე არსებულა საბაჟოს შენობა (ეხლ. გოგე-ბაშვილის ქუჩაზე). დოკუმენტების მიხედვით ბათუმის ყოფილი მმართველი მაჰმუდ ალა გამოთქვამს წუხილს, რომ ადგილობრივმა მილიციამ „ხელყო“ თურქთა „საკუთრება“, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ რუსების შემოსვლის შემდეგ თურქებს ჩამოერთვათ ყველა საკუთრება და იგი რუსების ხელში გადავიდა (ქცცსა, ფონდი 18, საქმე 92, ფურც.21-22).

აჭარის არ სსარქივო სამმართველოში აღნიშნული ომის შესახებ მასალები ძალზე მწირადაა წარმოდგენილი, თუმცა ბრიტანულ კოლექციაში (ბრიტანეთის არქივებში დაცული დოკუმენტების ქსეროასლები (რომლებმაც არქივში ბინა დაიდო 2006 წ. ფონდი ი-83) ვხვდებით დოკუმენტებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ამ ომს უკავშირდება (**ბრიტანული მასალების მიმოხილვა ეფუძნება ფრიდონ ქარდავას გამოკვლევებს**). პირველი ტომის მესამე ნაწილი მოიცავს 1953-1877 წლებს და ეხება ყირიმის ომს. მასში არის მანქანაზე ნაბეჭდი მოხსენებები, სამხედრო – სტრატეგიული გზავნილები. გზავნილები შეეხება 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის წინა პერიოდსაც. აქვეა ბალდადის კონსულისა და არაბეთში პოლიტიკური აგენტის ჰ. რაულინსონის, ა. ქეთგარდის, სიმონსის და პალგრევის მოხსენებები, რომლებშიც მიმოხილულია ბათუმისა და აჭარის იმდროინდელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

პირველი ტომის მეოთხე ნაწილი 1877-1878 წწ. მოიცავს და ეხება რუსეთ-თურქეთის ომს. მოხსენებები ეკუთვნის ჰ. ლეიარდს, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა დიქსონის, კემპბელის, პოლკოვნიკ ლენოქსის, კაპიტან ფაიფის მეთაურ გრენფელის და ვიცეკონსულ დუფუსის წერილებს. საქმეშია სან-სტეფანის ხელ-

შეკრულებისა და ბერლინის კონგრესის მასალები. მათ შორის ოქმების ნაწილი. საქმე მთავრდება ვიცე კონსულ ბილიოტის წერილებით სოლისბერისადმი.

ქართული საზოგადოებრივი აზრი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საკითხში ემთხვეოდა იმპერიის ხელისუფლების დამოკიდებულებას, მაგრამ თურქები ცდილობდნენ ადგილობრივი პატრიოტების წინააღმდეგ პროისლამური ძალების გამოყენებით არ დაეშავათ აჭარის სამშობლოსთან დაბრუნება. ეს ჩანს, როგორც საარქივო მონაცემებიდან თუ პერიოდული პრესის ფურცლებიდან, ისე ხალხური გადმოცემებიდან. სწორედ ფონდი ი-83, საქმე 592-ის 195-ე დოკუმენტის მიხედვით ნაჯახებით, დანებით შეიარაღებული ადგილობრივი მოსახლეობის პროთურქული ნაწილი (რომელთა რაოდენობა იყო მცირე) რუსებს ემუქრებოდნენ, რომ იბრძოლებდნენ მათ წინააღმდეგ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რომ თურქეთის ჯარი მზადაა წინ აღუდგეს რუსთა შემოტევას (ფონდი ი-83, ან. 1, საქმე 592, ფ. 195, 300).

აღნიშნული პროპაგანდის წყალობით პატრიოტი შერიფ ხიმშიაშვილი მონათლეს „აჭარის მოლაღატედ“ თურქოფილ აჭარლებისაგან შექმნეს რაზმები დევრიმ ფაშას ხელმძღვანელობით, რომლებმაც შერიფ ბეგს სახლ-კარი გადაუწვეს. სვიატოპოლკ-მარსკის მიერ დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძისადმი გაგზავნილი დეპეშაში წერია: „დიდი მღელვარებაა აჭარაში. შერიფის სახლი გაანადგურეს აჭარლებმა“. მაგრამ მალე, როცა ისინი დარწმუნდნენ ოსმალთა განზრახვაში შეიგნეს დანაშაული და ისევ შერიფ ხიმშიაშვილისაკენ იბრუნეს პირი.

ი-83 ფონდის პირველ ტომში (საქმე 21, ფურც. 356) 1878 წლის 2 სექტემბრით დათარიღებულია ვიცეკონსულ გარდნერის წერილი მაინკუს სოლსბერისადმი (მიუღია 27 სექტემბერს). დოკუმენტში საუბარია ამ ომის ცალკეულ დეტალებზე, კერძოდ: „ბატონო ჩემო, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მდინარე რიონის პირას ჩამოიტვირთა 15 ზარბაზანი, რომელიც გამიზნულია ფოთიდან 5 მილის დაშორებით განლაგებული დიდი ბატარეის შესაიარაღებლად. გაყვანილი იქნა მოკლე სარკინიგზო ხაზი პორტს, რიონის სამხრეთ სანაპიროს და ქალაქს შორის.

თურქულმა „სანდლებმა“ რომელიც განლაგებული იყო მდინარესთან მიიღეს განკარგულება დაძრულიყვნენ ციხისძირისა და ბათუმის მიმართულებით და დახმარებოდნენ ნავსადგურთან მდგარ ტრანსპორტში სამხედრო მასალების დატვირთვაში.

ნეიდ ფაშა და ჰასან ბეგი ერთი კვირით დაყოვნდნენ ქუთაისში პრინც მირსკისთან გენერალ ოკლობჟიოს სახლში, სადაც განიხილავდნენ ბათუმიდან ევაკუაციის საკითხს, რომელიც უნდა გადავიდეს რუსების ხელში მიმდინარე თვის შვიდში, მაგრამ მოგვიანებით ბათუმის ჩაბარების რიცხვად გადაწყდა მიმდინარე თვის 12/24-ოთხი რუსული კორვეტი ამჟამად დგას ფოთის რეიდზე და მზადაა

ნავსადგურში შესასვლელად დანიშნულ დროს. მიიჩნევენ, რომ გადაადგილებას არ შეხვდება არავითარი წინააღმდეგობა ლაზების მხრიდან, ბევრი მათგანი უკვე გადავიდა ჭოროხიდან თურქეთის ტერიტორიაზე. დოკუმენტში საუბარია რკინიგზის დირექტორის განკარგულების შესახებ, რომლის მიხედვით უნდა მომზადებულიყო ვაგონები 5 ათასი ჯარისკაცის გადასაცვანად თბილისიდან ფოთში. კარვებში მყოფი ოთხი ბატალიონი ბათუმის ჩაბარების შემთხვევაში გადაყვანილი იქნებიან ოდესასა და სევასტოპოლში.

1878 წ. 7 სექტემბრის წერილში გარდნერი სოლისბერის აცნობს რა შექმნილ სიტუაციას, აღნიშნავს, რომ რუსებმა, საკუთრივ დიდი მთავრის მიხედვით ადიუტანტმა ბათუმი ფორმალურად ჩაიბარა 1878 წ. 26 აგვისტოს (7 სექტემბერი), იმპერატორის ქორწინების წლისთავზე. წერილში ხაზგასმულია, რომ ზარბაზნის 20 გასროლით დაეშვა თურქული დროშა, ინცინდენტს ადგილი არ ჰქონიათ. 21-ე ზარბაზნის გასროლით კი აღიმართა რუსული დროშა. გარდნერი ეხება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, რომ რუსებს დახვდით უკაცრიელი ადგილები, საშინელი შიმშილი და სიდუხჭირე. ამიტომ საჭიროა სასწრაფოდ გაიგზავნოს პირველადი მოთხოვნების საქონელი. წერილიდან ვიგებთ, რომ მომზადებული ყოფილა რამოდენიმე პროექტი რკინიგზით თბილისისა და ფოთის ბათუმთან დასაკავშირებლად. ერთ-ერთი პროექტი ითვალისწინებდა რკინიგზის გაყვანას ბორჯომის გავლით, რომელიც სირთულისა და სიძვირის მიუხედავად მოუწონებია დიდ მთავარს.

ბრიტანულ მასალებში მრავლადაა დოკუმენტები რუსეთ-თურქეთის ომში ერთის მხრივ აჭარის საქართველოსთან დაბრუნების მნიშვნელობის, მეორეს მხრივ კი იმ უარყოფით მოვლენების შესახებ, რამაც განაპირობა ძირძველი ქართული რეგიონებიდან მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლება. გადასახლებას დაექვემდებარენ აჭარლები, ლაზები და ქართველი ხალხის სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფები, ასევე აფხაზები, ჩრდილო კავკასიელები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ლაზების საკითხზე. ეს პრობლემა საარქივო დოკუმენტებში დაკავშირებულია სან-სტეფანოს ზავის შემდეგ ბათუმის დაბრუნების საკითხთან. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ლაზების საკითხი ბერლინის კონგრესზეც გამხდარა მსჯელობის საგანი. ბრიტანეთს არ სურდა ბათუმის გადასვლა რუსეთის ხელში. ამიტომ წამოუყენებიათ ინგლისელებს ლაზისტანის სახანოს შექმნის იდეა. იკვეთება, რომ ბრიტანელებს სურდათ ლაზების გამოყენება რუსების წინააღმდეგ, თუმცა მოგვიანებით, ბრიტანეთმა მიაღწია რა გარკვეულ წარმატებას ბერლინის კონგრესზე, შეეცადა დაემოშმინებინათ აჯანყებული ლაზები (ასსცა, ფ. ი-83, ან.1 საქმე 1, ფურც. 348).

ვიციკონსულ ბილიოტის მიერ 1878 წ. 21 აგვისტოს მარკიზ სოლისბერისადმი გაგზავნილი წერილიდან ნათლად ჩანს თურქეთის ხელისუფლთა სურვილი –

აიყაროს მკვიდრი მოსახლეობა მამა-პაპისეული ადგილებიდან. დოკუმენტში ვკითხულობთ: „დერვიშ ფაშამ დაავალა ბათუმის მუთასირიფს, შეატყობინოს მოსახლეობას, რომ რუსები შემოვლენ მიმდინარე თვის 27-ში და ვინც აპირებს ემიგრაციაში წასვლას, უნდა წავიდნენ. მუთასერიფმა უდებემა სამგზავრო გემებს დაიტივროთნ შიდა რაიონებიდან ჩამოსული ემიგრანტების ოჯახებით და ბარგით. . .

ბათუმის მოსახლეობაში თურქების დამარცხების შემდეგ ხმა დაირხა: ვისაც ახლავე არ უნდა წასვლა მუჰაჯირად, შეუძლია ასე მოიქცეს 3 წლის განმავლობაში, მანმადე კი იქნებიან რუსების ქვეშევრდომობაშიო. . . თურქულმა ტრანსპორტმა ამ დღეებში ბათუმიდან გაიტანეს 1200 შეკვრა სამხედრო საჭურველი, უამრავი წერაქვი, ნიჩაბი და ა.შ.” დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს თურქი აგენტების პროპაგანდა, რომლებიც ომში დამარცხების შემდეგ ცდილობენ მკვიდრი მოსახლეობის მუჰაჯირობისათვის შეეწყოს ხელი (ასსცა, ფ. ი-83, ან.1, საქმე 1, ფ. 348).

ეს ის დროა, როცა წყდებოდა ომის შედეგების რეალიზაციის და აჭარის სამშობლოსთან დაბრუნების საკითხი, როცა ოსმალეთს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ბრიტანეთის დახმარებით დაიბრუნებს ომში დამარცხების შედეგად დაკარგულ ტერიტორიებს. რუსების ბათუმში შემოსვლა კი გვიანდებოდა. 18 სექტემბერს შედგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ციხისძირში 17 სექტემბრისათვის ელოდებოდნენ რუსებს, რომლებმაც იქ განიმტკიცეს პოზიციები, რომ რუსები აპირებენ ართვინში შესვლას, ბათუმი კი ემზადება და მზადაა ევაკუაციისათვის (ასსცა, ფონდი ი-83, ან.1, საქმე 1, ფ. 353). ფაშა დოკუმენტების მიხედვით ირწმუნებოდა, რომ რუსები ლაზებს და აჭარლებს ერეკებიან თურქეთისაკენო, თუმცა კონსულის აზრით რუსები მათ დარჩენას თხოვდნენ.

მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლება აწყობდა რუსეთსაც და თურქეთსაც. რუსეთს ახლად შემოერთებული ტერიტორიების დაცარიელებით ეძლეოდა მხარის კოლონიზაციის და რუსულენოვანი ელემენტების შემოსახლების შესაძლებლობა. თურქეთს კი დაუსახლებელი მიწების სამეურნეო ათვისების და საჭიროების შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგ მათი გამოყენების პერსპექტივას ქმნიდა.

გენერალ-ადიუტანტი სვიატოპოლკ მირსკის კავკასიის მეფისნაცვალისადმი გაგზავნილ წერილში პირდაპირაა ნათქვამი, რომ დაცარიელებულ ტერიტორიებზე უნდა დასახლდნენ იმპერიის საიმედო მოსახლეობა. ხალხი მიდის ემიგრაციაში, რასაც აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა თურქეთთან ჩვენი ახალი საზღვრის გამაგრებისა და კავკასიაში ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. გადასახლებულთა ნაცვლად რუსული ელემენტის ჩასახლება შეიძლება ფართო მასშტაბით. . . ამიტომ:

ა) ხელი არ უნდა შევუშალოთ მუსლიმანებს თურქეთში გადასახლებაზე არც პირდაპირ, არც ირიბად;

ბ) უნდა გავატაროთ ღონისძიებები, რათა მუჰაჯირთა მიწები მოხდეს მხოლოდ მთავრობის განკარგულებაში.

ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარი ამოცანაა აქ ჩავასახლოთ რაც შეიძლება მეტი რუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში საბოლოოდ დავემშვიდობებით აზრს კავკასიაში რუსული მოსახლეობის ჩასახლების შესახებ. არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ, რომ 1829 წ. შემდეგ ახალციხის და ალექსანდროპოლის უეზდების მდიდარ მიწაზე ჩამოსახლდნენ არა რუსები, არამედ სომხები, ბერძნები და თურქეთიდან გადმოსულები. ასეთი შეცდომის პატიება არ შეიძლება. თქვენთვის ცნობილია, რა სარგებლობა მოგვიტანა კავკასიაში გაბნეულმა რუსულმა მოსახლეობამ. მას აქვს როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა.

მოსახლეობის შემადგენლობას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპი: ის უნდა იყოს ქრისტიანული. უმეტესობა უნდა იყოს რუსი. რუსული ელემენტის გამოჩენა აქაურებს გაუჩინს თურქეთში წასვლის სურვილს. . . შეიძლება მივიღოთ მხედველობაში, რომ პირველ პერიოდში აქ შეიძლება ჩასახლდეს 18 000 სული (რუსი), ხოლო ბერძნები და სომხები თანაბრად, 6 ათასამდე (სცსა, ფ. 416, ან.3, ფ.9,12,18,19).

რუსეთ თურქეთის ომში დამარცხება და ქართული პროვინციების დაკარგვა – საარქივო დოკუმენტების მიხედვით – პირად ტრაგედიად აღუქვამს ტრაპიზონის გუბერნატორს იუსუფ ფაშას. ამიტომაცაა, რომ ის რუსებზე ქალაქის ჩაბარების წინა ღამეს წასულა ბათუმიდან, რათა მონაწილეობა არ მიეღო ქალაქის ჩაბარებაში. „რამდენიმე დღე ბათუმში ჩემი დარჩენის საჭიროება რომ ყოფილიყო, ავად გავხდებოდიო“, ასე უთქვამს იუსუფ ფაშას (ასსცა, ფ. ი-83, ან.1, საქმე 1, ფ. 354-355).

საარქივო დოკუმენტებში ნათლად ჩანს ბრიტანული დიპლომატიის უტილიტარული დამოუკიდებლობა მუჰაჯირობის პრობლემებისადმი. ლაზისტანის სახანოს შექმნის იდეა მიზნად ისახავდა იმას, რომ ბათუმი არ გადასულიყო რუსების ხელში. ასევე ნათელია რუსეთის ველიკოდერჟავული პოლიტიკა ახლად დაპყრობილი (ქართველთათვის დაბრუნებული) ტერიტორიები მიმართ.

აჭარის საარქივო სამმალთველოში დაცულია ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის ამსახველი მასალები, რომლებშიც ვხვდებით მონაცემებს ბულგარეთის განთავისუფლებისათვის მონაწილე ქართველების საბრძოლო გმირობის შესახებ. მხედველობაში გვაქვს ალ. ნერეთელის დიპლომატიური და საბრძოლო მოღვაწეობა. იგი იყო ბულგარეთში რუსეთის გენერალური კონსულის მდივანი. ბულგარელთა აჯანყების დროს (1876) ის დაინიშნა პლოვდივში ვიცე-კონსულის თანამდებობაზე, ომის დროს კი ბულგარელთა გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაერთო. იმდენად დიდი იყო მისი დამსახურება ბულგარელთა

წინაშე, რომ ერთ-ერთ ქუჩას პლოვდივში, ხოლო ქალაქთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი სოფელს მისი სახელი ეწოდა (ასსცსა, ფ. რ-2, ან. 1, საქმე 6518, ფ. 12).

ამავე ფონდში ვხვდებით ცნობებს ქართველი მოხალისეების: ვ. ჭავჭავაძის, ი. ამილახვარის, დ. ჩხეიძის, ნათიშვილის, ფანჩულიძის, ქავთარაძის, თუმანიშვილის, გურიელის, გოგუაძის, ეგაძის, შევარდნაძის, თავართქილაძის და სხვათა საბრძოლო გმირობის შესახებ (იქვეა, ფურც. 12), რომლებიც გვერდში დაუდგდნენ ბულგარელ პატრიოტებს. აქვეა ცნობები გენერალ ალ. იმერეთინსკის (ბაგრატიონის) შესახებაც, რომლის ხელმძღვანელობით თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლდა რამდენიმე ქალაქი, მათ შორის ქ. პლევენას. სწორედ ამიტომ, ბულგარეთის ქ. ლოვეჩში აღიმართა ალ. ბაგრატიონის ძეგლი, ხოლო ერთ ერთ ცენტრალურ ქუჩას ეწოდა მისი სახელი, ხოლო ნიკოლოზ დადიანს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის რუსეთის საიმპერატორო კარი ომის შემდეგ ბულგარეთის სამეფო ტახტზე ერთ-ერთ კანდიდატურადაც განიხილავდა (ასსცსა, ფ. რ-2, ან. 1, საქმე 6518).

აჭარის არ საარქივო სამმართველოში დაცულია ასევე რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების, აჭარის საქართველოსთან დაბრუნების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებისა და საიუბილეო კრებულის „Батум и его окрестности,“ - ის გამოცემასთან დაკავშირებული მასალები (ასსცსა, ფ. ი-6, ან. 1, საქმე 3, ფურც. 1-19. ონდი ი-6, ან. 1, ს. 250, ფურც. 1-46).

რუსეთ-თურქეთის ომისა და ომის შედეგების ასახვა სასკოლო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებში. აჭარის დედასაქართველოსთან დაბრუნების პერიოდისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სკოლა არ არსებობდა. საქართველოს დანარჩენ რეგიონებში არსებულ სკოლებში აღნიშნული საკითხის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული რუსეთის როლსა და მნიშვნელობაზე, რომ ომში გამარჯვება იყო რუსული იარაღის დიდება. ეს ასეც იყო. იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრი და ოფიციალური ხელისუფლების მოსაზრებები ერთმანეთს ეთანხმებოდა აჭარის საქართველოსთან დაბრუნების მნიშვნელობის თვალსაზრისით. ასეთივე შეფასება იყო მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე გამოცემულ სახელმძღვანელოებში. მათში სამართლიანად იყო შეფასებული რუსეთ-თურქეთის ომის მნიშვნელობა საქართველოს გამთლიანებასთან დაკავშირებით და ამ გამარჯვებაში რუსეთის ფაქტორის გადამწყვეტი როლის აღიარება, მაგრამ იგნორირებული იყო თავად ქართველი მეომრების გმირობა, მკვიდრი მოსახლეობის ანტიოსმალური განწყობა. ცნობილია, რომ ოსმალეთის ჯარში განვევაზე აჭარის მოსახლეობამ კატეგორიული უარი განაცხადა და აქტიურად ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემულ სახელმძღვანელოებში ეს ხარვეზი გამოსწორებულია, ამასთან ყურადღება გამახვილებულია რუსეთის იმპერიულ

ზრახვებზე – გაეფართოებინა იმპერიის საზღვრები, რასაც ბუნებრივია, ობიექტურად ჰქონდა დიდი მნიშვნელობა აჭარის სამშობლოსთან დაბრუნების თვალსაზრისით.

მეხსიერების ალტერნატიული ფორმები. რუსეთ-თურქეთის ომს ინსტიტუციონალურ მეხსიერებასთან ერთად უკავშირდება მეხსიერების ალტერნატიული ფორმები. ცხადია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში დღემდეა ფესვგამდგარი კოლექტიური ხსოვნა იმ ტრაგედიებისადმი, რაც ოსმალთა ბატონობასა და რუსეთ-თურქეთის ომს უკავშირდება. ეს კოლექტიური ხსოვნა ტრაგედიად იყო აღქმული ომის დამთავრების პირველ წლებში და მოგვიანო ხანაშიც. საბჭოთა პერიოდში ტარდებოდა აჭარის მოსახლეობის კოლექტიური ხსოვნის ჩამოყალიბების ინტენსიური პოლიტიკა თურქეთის, როგორც „მტრის ხატის“ ცნობიერების განმტკიცების თვალსაზრისით. ცხადია, ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობდა რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდის ტრავმების გაღვივებას, კოლექტიურ ხსოვნაში თურქთა მიერ ჩადენილი ბოროტების წარმოდგენა-აღქმას. აჭარის საქართველოსთან დაბრუნებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნებოდა მრგვალი თარიღების შესრულებისას, მუდმივად ახსენებდა ხალხს განცდილ ტრაგედიას და ქვეცნობიერად აყალიბებდა ერთის მხრივ ეროვნულ ცნობიერებას, ამავე დროს თურქეთის მიმართ უნდობლობისა და მტრობის განცდის გაძლიერებას. მხედველობაში გვაქვს 1903 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ხუცუბანში ამ მოვლენის ამსახველი ერთადერთი მემორიალი. შედეგად მივიღეთ ის, რომ აჭარის მოსახლეობას ჩამოუყალიბდა „უკვდავი“ უნდობლობა თურქეთისადმი, მუდმივად წარმოუდგებოდა ოსმალური ოკუპაციის სისასტიკე, ცნობიერებასა და ყოფიერებაში გაუჯდა თურქეთის, ისე როგორც ბოროტებისა და დაპყრობის შემოქმედის განცდა.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკა თურქეთის მიმართ შეიცვალა და დამყარდა კეთილმეზობლური ურთიერთობა, თუმცა ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში კვლავ რჩება ოსმალთა ბატონობით მიღებული ტრავმების განცდა. ეს განცდა სხვა პრობლემასთანაცაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ ოსმალებმა აჭარის მოსახლეობა ეკონომიკური ძალადობის ბერკეტების გამოყენებით გაამუსლიმანეს. ქართველის ცნობიერებაში მუსულმანი გაიგივებული იყო თათართან, თათარი კი აღქმული იყო, როგორც ბოროტების შემოქმედი, რადგანაც საქართველოს უხდებოდა მუდმივი ბრძოლა მუსულმანური აგრესიისაგან თავის დასაცავად. რუსეთ-თურქეთის ომამადე, ომის მხველობისას თუ შემდგომ პერიოდში აჭარის მოსახლეობის მიმართ მეომარი ქვეყნების დამოკიდებულება იყო თითქმის იდენტური. მიზანი – ქართული ეროვნული სხეულის გახლეჩა იყო. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მოსახლეობამ (რომელიც ეთნიკური თვალ-

საზრისით ერთმნიშვნელოვანად ქართულია) მიიღო ისლამი, თურქეთმა იგი თურქად არ მიიჩნია, არც რუსმა მიიჩნია იგი ქართველად და ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის შემლახავი ეთნონიმი „თათარი“ უწოდა. ქართველი მუსლიმანი თავს შეურაცხყოფილად თვლიდა. მდგომარეობა არც საბჭოთა პერიოდში გამოსწორებულა. საბჭოთა იმპერიის პირველი აღწერის მასალებში აჭარლები ქართველებისაგან განსხვავებული ეთნოსის სახით არიან წარმოდგენილნი. აჭარლები-სადმი ასეთი დამოკიდებულების რელიქტები დღესაც გვხვდება ყოფაში, რაც რეგიონალურ ტრადიციად აღიქმება. სწორედ ამ დამოკიდებულების შედეგად იყო 1878 წლის შემდეგ განხორციელებული ე.წ. „ნებაყოფლობითი მუჰაჯირობა“, როცა ცალკეული თურქოფილი აჭარელი ოსმალეთის აგენტების პროპაგანდისტულ ანკესს წამოეგო და ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი გადასახლდა თურქეთის შიგა პროვინციაში. ცხადია, ეს შედიოდა რუსეთის ინტერესებშიც. ამით მას ახლადდაპყრობილი ტერიტორიების კოლონიზაციის საშუალება ეძლეოდა, თურქეთს კი ეყოლებოდა ქართველის სახით ანტირუსული ძალა, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყნის შიგა პროვინციების სამეურნეო ათვისებას. ამდენად, მუჰაჯირობა-ალტერნატიული მეხსიერების ფორმად უნდა განვიხილოთ. თავად მუჰაჯირები დღეს მათ იქ ცხოვრებას კანონზომიერად მიიჩნევენ, რადგან მათ არ მიუწვევდათ ხელი ობიექტურ ისტორიაზე. საკუთრივ აჭარის მოსახლეობაში კი ოსმალთა ბატონობის და რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები დღემდე ახსოვთ. ეს ხსოვნა ერთის მხრივ მათი წინაპრების ტრადიციას უკავშირდება, მეორეს მხრივ დედასაქართველოსთან დაბრუნების სიხარულს, რაც რუსეთ-თურქეთის ომს მოჰყვა შედეგად. მათ სწამთ, რომ ოსმალთა ბატონობის და ომის შედეგების დავინწყება ქმნის ტრადიციების გამეორების საფრთხეს. ამიტომაცაა, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის მიუხედავად, ბათუმში თურქების შემოსვლა-დამკვიდრებას აჭარის მოსახლეობა უნდლობლობითა და სიფრთხილით ეკიდება თანამდროვე პირობებშიც.

Tamaz Putkaradze

Nurie Muratova

1877-1878 years Russia-Turkey war and institutional memory

Summary

In article is presented archival materials of 1877-1878 years Russia-Turkey war. Institutional and alternative (collective and individual memory) memorized data of this war.

**დოკუმენტები გათუმის ოლქის საქართველოსთან
შემოერთების შესახებ (1920 წელი)**

1918-1919 წლები - ეს იყო ხანა, როცა პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა. პარიზის საზავო კონფერენციაზე წყდებოდა მსოფლიოს მომავალი ბედ-ილბალი. რუსეთში სოციალისტურ გადატრიალებას სამოქალაქო ომი მოჰყვა, მსოფლიო ქაოსში ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მცირე ერები აღმოჩნდნენ, რომელთა დაუკითხავად და ხშირ შემთხვევაში მათი ინტერესების საზიანოდ წყდებოდა მათივე ბედი. ბრესტის ზავის შემდეგ გართულდა ამიერკავკასიის საგარეო ვითარება. იგი თურქეთის ოკუპაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. თურქეთის არმიამ 1918 წ. აპრილში დაიკავა ბათუმი, ოზურგეთი, ახალციხე. ბათუმის საზავო კონფერენციაზე (მაისში) კი თურქეთის დელეგაციამ ახალი ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენა.

1918წ. 26 მაისს, შინაგანი წინააღმდეგობებით დაუძღურებული ამიერკავკასიის სეიმის დაშლის დღესვე, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებელი საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როგორ განვითარდებოდა მისი ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან, მოისურვებდნენ თუ არა ისინი საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენას, მის დაცვას რუსეთის აგრესიისგან.

ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს ურთიერთობა მჭიდოდ უკავშირდებოდა „რუსეთის საკითხს“. საქართველოს პრობლემას ისინი რუსეთის საშინაო საქმედ მიიჩნევდნენ და ამ მიზეზით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობას აჭიანურებდნენ. საქართველოს მთავრობა კი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით მზად იყო ნებისმიერ სახელმწიფოსთან დაემყარებინა ურთიერთობა. ამ მძიმე მდგომარეობაში მან გერმანიის დახმარება მიიღო. გერმანია უანგაროდ არ აკეთებდა ამას, მაგრამ აშკარაა, რომ შექმნილ ვითარებაში უკეთესი გამოსავალი ვერ მოიძებნა.

გერმანიაზე დამყარებული იმედები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაქარწყლდა. 1918 წ. 26 დეკემბერს ფოთიდან გავიდა გერმანიის ჯარის უკანასკნელი ეშალონი. საქართველოს მთავრობა შეუდგა ახალი მფარველის ძებნას.

მუდროსისა და კომპიენის საზავო ხელშეკრულებით გერმანია-თურქეთს უნდა დაეტოვებინა ამიერკავკასია, ამ პროცესზე კონტროლი კი ბრიტანეთს უნდა განეხორციელებინა. ამიტომ მათი გასვლის პარალელურად ინგლისმა დაიწყო თავისი ჯარების განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე. ინგლისის მთავრობამ, გაითვალისწინა რა ქართველი მენშევიკების აზრიც, მიიღო გადაწყვეტი-

ლება ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების განუსაზღვრელი ვადით შეყვანის შესახებ. ინგლისელები პირველად გამოჩნდნენ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე 1918 წლის 29 ნოემბერს (30 ნოემბერს ფოთში, ხოლო 1 დეკემბერს ბათუმში). მათ უნდა შეემონებინათ ნავსადგურში არსებული მდგომარეობა და შეესწავლათ პირობები სამხედრო ნაწილების განლაგებისათვის. 1918 წ. 22 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა ინგლისის 5 გემი 15-20 ათასკაციანი ჯარით. მუდროსის ზავის თანახმად, მათ დაიკავეს ბათუმი და მისი ოლქი და დაანესეს საოკუპაციო რეჟიმი. 29 დეკემბერს კი ისინი თბილისში შემოვიდნენ.

1918 წ. ნოემბერ-დეკემბერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და დიდი ბრიტანეთი პრაქტიკული თანამშრობლობის დაწყებისთვის ემზადებოდნენ, ინგლისზე აღებული ორიენტაცია ნიშნავდა ეკონომიკური განვითარების კაპიტალიზმის გზით წარმართვას, მაგრამ საინტერესოა, რას მოითხოვდა საპასუხოდ ინგლისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ო. ჟორდროპთან საუბარში 1919 წ. 4 სექტემბერს ამბობდა: „საქართველოს მთავრობას შეგნებული აქვს, რომ ის უნდა ეყრდნობოდეს რომელიმე მტკიცე სახელმწიფოს ორგანიზმს და ამ შეგნებამ გვიკარნახა გარკვეული ორიენტაცია ინგლისზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიცით, რომ ამგვარი დახმარება შეერთებული სამეფოს მხრივ ჩვენ უნდა ავანაზღაუროთ ამა თუ იმ მიმართულებით... საქართველო თხოვს დახმარებას და სურს იცოდეს, რას მოისურვებს ინგლისი ამის სანაცვლოდ.“ საქართველოს მთავრობა ვერ გაერკვა საქართველოში ინგლისის პოლიტიკის უმთავრეს საკითხში, ამიტომ ერთგვარი უნდობლობით ეკიდებოდა მის შემოსვლას რეგიონში.

1918 წ. 14 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი დეპეშით აცნობებდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს ბათუმში დ. თოფურიძეს, რომ ნ. ჟორდანიას აზრით, შესაძლოა, ინგლისმა საქართველოში დენიკინის მოხალისეთა ჯარის შემოყვანა გადაწყვიტოს, „რაც ჩვენთვის მიუღებელია... თუ ისინი ამას მართლაც გააკეთებენ, ჩვენი საქმე წაგებული იქნება. ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, ეს რომ არ მოხდეს.“

1919 წელს საქართველოს მთავრობის ინგლისურ ორიენტაციაზე დამყარებული იმედი არ გამართლდა. ის ხომ ინგლისისგან ფართო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას მოელოდა, რაც ვერ განხორციელდა. თუმცა ინგლისელები თითქოსდა ცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას - ანტანტის ძალების სარდალი შავი ზღვის რაიონში ნ. ჟორდანიას მიმართავდა, როგორც დამოუკიდებელი მთავრობის მეთაურს, მაგრამ ეს სრულ ცნობას არ ნიშნავდა. ინგლისელები თავიანთი გეგმებით უფრო ახლოს იყვნენ სამხრეთ რუსეთში მოქმედ გენერლებთან, ვიდრე საქართველოს მთავრობასთან. დენიკინი

საქართველოს ემუქრებოდა, ხოლო ინგლისელებს მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

1920 წლის 6 იანვარს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ო. უორდროპს გაუგზავნა ნოტა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ინგლისი არ დაეხმარა მას და ბევრ რამეში ავიწროებდა. ბათუმში ინგლისის სამხედრო ხელისუფლების წყალობით საქართველოს არ მიეცა საშუალება, გაემაგრებინა ბათუმის ოლქის საზღვარი თურქების შესაძლო თავდასხმისათვის დაცვის მიზნით. ნოტაში აღნიშნული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის არცნობა. ინგლისმა არ გამოავლინა აუცილებელი ძალისხმევა ფაქტიური ბლოკადის მოხსნისათვის, რომლისგანაც ძლიერ ზარალდებოდა საქართველო. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის ჯარების საქართველოში ყოფნა ასრულებდა სხვა მნიშვნელოვან როლსაც. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ინგლისი კავკასიაში იცავდა სამშვიდობო პროცესს; იგი იყო საქართველოსაკენ ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან მომდინარე აგრესიის შემაკავებელი ფაქტორი. ბათუმ-აჭარის მუსლიმანი ქართველობა წინ აღუდგა თეთრგვარდიელებისა და ოსმალთა დამპყრობლების მცდელობას. 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმში შეიკრიბა მუსლიმანი ქართველთა წარმომადგენლობა, რომელმაც შეიმუშავა მიმართვა საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და პარიზის საზავო კონფერენციისადმი. ამ მიმართვაში ბათუმი, ისევე, როგორც მთელი აჭარა, აღიარებული იყო საქართველოს ნაწილად ავტონომიური მმართველობის უფლებით. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 25 დეკემბერს აჭარის ოლქი ბათუმითურთ საქართველოს განუყოფელ ნაწილად გამოაცხადა, რაც აღიარებულია რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებითაც.

მიუხედავად იმისა, რომ 1919 წ. ბრიტანეთმა თავისი ჯარი საქართველოდან გაიყვანა, ერთი გარნიზონი ბათუმში მაინც დარჩა. ინგლისი ბათუმს ვერ თმობდა. საქართველო აქტიურად იყო ჩართული ამ მხარის დაბრუნებისათვის ბრძოლაში. შავი ზღვის ამ მნიშვნელოვან ნავსადგურზე თვალი ეჭირა სხვა სახელმწიფოებსაც. ისინი ვერ ეგუებოდნენ ბრიტანეთის ერთპიროვნულ გავლენას და ესწრაფოდნენ თავიანთი უფლებების გაფართოებას, ამგვარმა ინტერესმა ბათუმისადმი განაპირობა 1920 წ. თებერვალში მისი საერთაშორისო ნავსადგურად გამოცხადება.

ინგლისელების ბათუმში ყოფნის დროს გამძაფრდა პოლიტიკური დაპირისპირება სხვადასხვა ორიენტაციის პარტიებს შორის. განსაკუთრებით აქტიურობდა თურქული ორიენტაციის პარტია „სედაი მილეთი“, სოციალ-დემოკრატები და სხვები. გახშირდა ტერორისტული აქტები, რომლებსაც დაბნეულობა

შეჰქონდათ ინგლისელთა რიგებში. ტერორისტების მსხვერპლი შეიქნა ბევრი ჩინოვნიკი და ოფიცერი.

1920 წ. ივლისში ბრიტანულმა სამხედრო კონტიგენტმა ბათუმი დატოვა. ბათუმის ოლქი მის კანონიერ მებატრონეს - საქართველოს გადაეცა. ამ ფაქტის შესახებ ხშირად იბეჭდებოდა მასალები იმდროინდელ პრესაში. გაზეთი „ხალხის მეგობარი“ დიდი სიხარულით აცყობინებდა ხალხს ბათუმის დედასამშობლისთან შემოერთებას: „ორი წლის განუწყვეტელ მწუხარებას მოელო ბოლო. შეწყდა გულშემზარავი მოთქმა და გოდება ქართველი ერისა და მის ზრახვასურვილს და ძლიერ ნებისყოფას შეესხა ფრთები. ბათომი და ბათუმის ოლქი, ტლანქი ძალისგან უსამართლოდ და ღალატით წაგლეჯილი კვლავ დაუბრუნდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულს.ვინ არ იცის ის, რომ ბათუმის ოლქის მცხოვრებნი ეროვნულათ ჩვენი სისხლი და ხორცი არიან და ჩვენს შორის მხოლოდ სარწმუნოებრივი განსხვავებაა, ეგ კუთხე რომ სხვის ხელში დარჩენილიყო, მოელოდა სრული განადგურება -ეროვნულათ, ვინაიდან იმის მკვიდრთ არ ასცილდებოდათ გადაგვარება და ამნაირად ისინი საბოლოოდ მოსწყდებოდნენ ქართულ ეროვნულ სულს, ეროვნულ კულტურას. მეორე მხრივ, ბათუმი ეს ხომ ჩვენი „სარკმელია ევროპისაკენ,“ როლის შემწეობითაც ხარბათ შეგვიძლია დავენაფოთ მის კულტურას, ბათომი ხიდია ევროპასა და ჩვენს შორის, რომლის მეოხებითაც ჩვენ თამამად შეგვიძლია წარვსდგეთ მსოფლიო ასპარეზზე და ვიამაყოთ კიდეც ამით. ვინ გინდათ, რომ ბათომსა და მის ოლქს არ ეპოტინებოდა, მაგრამ ყოველივეს მოელო ბოლო, სიმართლემ გზა გაიკაფა.

ყოველივე ეგ კი სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს შორის გააბამს მტკიცე შემაერთებელ ჯაჭვს. ორივე ნაწილი ქართველი ერისა საბოლოოთ დარწმუნდა, რომ მათ უერთმანეთოდ არ შეუძლიათ არსებობა, რომ ისინი შემავსებელი ნაწილები არიან“)1920წ. 4 ივლისი).

ამ მოვლენას დიდი სიხარულით შეხვდა სრულიად საქართველო. 1920 წლის 9 ივლისს ფოთში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგის ხელმძღვანელი ჩიტაია მთავრობის თავმჯდომარეს წერდა: „ბათუმისა და მისი ოლქის დედა-სამშობლოზე შემოერთების გამო შეკრებილი ფოთის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი გულ-მხურვალედ მიესალმება მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას, ამ დიდი ისტორიული ფაქტის გამო, რომლითაც ერთხელ კიდეც მტკიცდება საქართველოს დემოკრატიის ბრძნული და წინდახედული მოქმედება გამარჯვების გზაზე სვლისა.

დეე, ძრწოდნენ საქართველოს მტერნი და ორგულნი. დეე კვლავაც ბასრად ჰკვეთდეს საქართველოს დემოკრატიის მახვილი.

გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველის, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სალამი ბათუმის და მისი ოლქის მცხოვრებთ“ (ფონდი № 120,საქ.№ 2778, ფურ. 5).

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია ერობათა კავშირის კომიტეტის 1920 წ. 7 ივლისის წერილი ქალაქ ფოთის თვითმართველობისადმი. მასში ვკითხულობთ: „ერობათა კავშირის კომიტეტი გიგზავნით ფურცლებს ბათომის შემოერთების შესახებ და დაბეჯითებით გთხოვთ ეს ფურცლები, რაც შეიძლება სწაფათ, ენერგიულათ გაავრცელოთ როგორც ადგილობრივთ, ისე სოფლად მცხოვრებთა შორის. არ დარჩეს კუთხე, სადაც ფურცელი არ იყოს მისული, გააკარით საჯარო ადგილებზე, წაიკითხეთ ყრილობებზე, დაურიგეთ მცხოვრებთა და სხვა.

კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ თქვენი მხრივ ჩვეულებრივ ყოველივე ზომა იქნება მიღებული და სავსებით გაშუქებული იქნება აღნიშნული აქტის დიდ-მნიშვნელობა“.

ამავე საქმეშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერობათა კავშირის კომიტეტეტის მიმართვა და მონოდება ქალაქ ბათუმისა და მისი ოლქის მოსახლეობისადმი აჭარის დედა საქართველოთან დაბრუნების შესახებ:

„რესპუბლიკის ერობას, სოფლის ყველა მოქალაქეს!

ერობათა კავშირის კომიტეტი გილოცავთ იმ დიდ სახალხო დღესასწაულს, იმ ეროვნულ ზეიმს და გამარჯვებას, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა. ბათომი და მისი ოლქი, რომელიც ორი წლის განმავლობაში მთელი ქართველი ხალხის გლოვის საგანი იყო, უკვე თავისუფალია, დაკარგული მარგალიტი დაუბრუნდა ჩვენს რესპუბლიკას.

უსწორო ბრძოლის შემდეგ ქართველ ხალხს, საქართველოს რესპუბლიკას ხმალით მოკვეთეს მისი სასიცოცხლო და უძვირფასესი ნაწილი, ორი წლის წინათ დაკრა ბათომის სამგლოვიარო ზარმა და მისი მწუხარე ბგერა დღემდე ესმოდა და სტანჯავდა ყველა ქართველის სმენასა და გულს. გაიხარეთ მოქალაქენო, გლოვა გათავდა. მაშ გაიხადეთ შავი ძაძები. ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილმა - საქართველოს მუშა-გლეხმა-მხედარმა ქაჯეთის ციხე უკვე აიღეს, და გათავისიფლებული ნესტან დარეჯანი საქართველოს მოგვარეს. ის საბერისწერო ჭრილობა, რომელიც მუხანათმა მტერმა მიაყენა ჩვენ სახელმწიფოებრივ სხეულს ორი წლის წინათ, და რომელიც ასე ბორკავდა და სჩაგრავდა ჩვენს წინსვლას და განვითარებას, უკვე განიკურნა. ცუდათ ჩაუარა ჩვენს მტრებს იმ მუხანათურმა და მოღალატურმა მოღვაწეობამ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში იქითკენ იყო მიმართული, რომ ჩვენი ძველი ეროვნული კულტურის და ახალი განმათავისუფლებელი მოძრაობის აკვანი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და ბათომი, რესპუბლიკისგან საბოლოოდ ჩამოეგლიჯათ. ისიც იცით, რომ რა გააფრთებით

ემსახურებოდნენ ამ ქვენა მიზანს არა მარტო გარეშე, არამედ შინაური მტერნი და ორგულნი, რმელთა განზრახვა იყო ბათომის სამუდამოთ ჩამოგლეჯით, სასიკვდილო ლახტი ჩაეცათ საქართველოს რესპუბლიკისათვის. მაგრამ გარეშე მტერი და შინაური მოღალატე დამარცხდა. საქართველოს შებოჭილი და დამახინჯებული სხეული გაიხსნა და გამთლიანდა. ფართო შარა გზა ევროპისკენ, განათლებულ ქვეყნებისკენ, უკვე ხსნილია ქართველი ხალხისთვის. საქართველოს შეგნებულ და შეკავშირებულ დემოკრატიის შემოქმედებას უფართოვესი ასპარეზი და სარბიელი ეხსნება.

მოქალაქენო, საქართველოს გამთლიანება თითქმის დასრულდა. ჩვენი ყურადღება ეხლა უმთავრესათ უნდა მივაქციოთ შინაური მდგომარეობის განმტკიცება-აღორძინებას. შრომა და შრომა, შრომა დაუღალავი და ნაყოფიერი, შრომა ხალისიანი და იმედიანი, აი რა მოგვცემს ჩვენ საბოლოო ბედნიერებას. აი საითკენ უნდა იქნეს დღეს მიქცეული მთელი ხალხის გულისყური და ენერჯია. ის ხუნდები, რომელიც ამდენ ხანს გვედო უკვე დაიმსხვრა. მამ ეხლა უფრო თავისუფლათ გავანძროთ ხელი. ჩვენი შრომა ამიერიდან უფრო ძლიერი იქნება.

მაგრამ ამავე დროს გახსოვდეთ, რომ მონაპოვარს შენახვა და დაცვა სჭირია. ხომ ხედავთ, რომ ბათომი მხოლოდ მაშინ ჩაგვაბარეს, როდესაც ევროპა დარწმუნდა, ჩვენ შეგვიძლია სახელმწიფოს აშენება და მისი სასტიკად დაცვაც მოსეულ მტრის წინააღმდეგ, ქართველმა ხალხმა ამ უკანასკნელ დროს საბოლოოთ დაუმტკიცა მთელ ქვეყნიერებას, რომ ის სავსებით მომნიფებულია დამოუკიდებელ და თავისუფალ ცხოვებისათვის.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ დიდ საქმეში დიდი წილი უდევს სათემო და სამაზრო ერობებს, რომლებმაც ასე ბრწყინვალეთ ჩაატარეს ჯარების მობილიზაცია და ეგზომ განამტკიცეს ფრონტის ზურგი. ეს ბრწყინვალე ფურცელი უკვე ჩაინერა ჩვენ ერობათა ისტორიაში. რესპუბლიკას სრული იმედი აქვს, რომ ამიერიდანაც ასეთივე მტკიცე და მედგარ მესვეურობას გაუწევს ჩვენი ერობები რესპუბლიკის სოფელს ყოველივე დარგში.

მოქალაქენო, საქართველოს ამშენებლობის საქმე უკვე სრულდება. უძნელესი და უმძიმესი ხანა უკვე თითქმის სავსებით გავიარეთ. დიდი გაჭირვება გადაიტანეთ, მაგრამ კიდევ ცოტა, სრულიად ცოტა გაიჭირეთ და, აჰა, უკვე გავდივართ ფონს.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და ამიერიდან გაერთიანებულ საქართველოს რესპუბლიკას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერობათა კავშირის კომიტეტი.“

6 ივლისს, დილის 9 სთ. 30წ. ბათუმში გაემგზავრა საჩქარო მატარებელი №591. მას თან მიჰყავდა დამფუძნებელი კრების წევრები და მისი ოლქის გენერალ-გუბერნატორი ჩხიკვიშვილი.

კვირა დილას ჯარები შევიდა ბათუმში. მათთან ერთად იყვნენ სახალხო გვარდის უფროსი ჯუღელი, დგებუაძე და ხიმშიაშვილი, რომლებიც უმაღლეს სარდლობასთან და დელეგატებთან ერთად ათვალეიერებდნენ ჯარებს და ჯარისკაცებს ესაუბრებოდნენ. იქ სადაც ჩვენი ჯარი იყო დაბანაკებული, გაემგზავრნენ დამფუძნებელი კრების წევრები, მეჯლისის წარმომადგენლები მემედ-ბეგის აბაშიძის თავჯდომარეობით, მთელი ბათუმი დროშებითა და გირლანდებით იყო მორთული. სახალხო გვარდიასთან ერთად ბათუმში შევიდა ბათუმის გვარდიაც, რიცხვით 600-700 კაცი. ეს გვარდია ფარულად იყო შექმნილი ბათუმის მკვიდთაგან ინგლისის სარდლობის დროს, როცა გენერალმა კუკ-კოლისმა იხილა ისინი, გაოცდა - როგორ და რანაირათ მოახერხეს ასე დარაზმვაო.

ბათუმში ჯარი 7 ივლისს, შუადღის 12 საათზე შევიდა. საღამოს 6 საათზე „აზიზის“ მოედანზე გაიმართა ქართველთა და მოკავშირეთა ჯარის ალღუმი საქართველოსთვის ბათუმის გადაცემის გამო. ალღუმზე იმყოფებოდნენ დამფუძნებელი კრების წევრებიც. იქვე იმყოფებოდა ინგლისის და საფრანგეთის ჯარის ნაწილები, რომლებმაც ადგილი დაიკავეს სმეკალოვის ქუჩის მარცხენა მხარეს. ალღუმი მიიღო ბათუმის ოლქის ყოფილმა სამხედრო გუბერნატორმა, გენერალმა კუკლონმა და ჯარის მთავარსარდალმა გენერალმა კვინიტიძემ. ქართულ ჯარს უძღვოდა გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ზაქარიაძე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. პერტაია დ., „დამოუკიდებელი საქართველო და ინგლის-საფრანგეთის გეგმები (1918-1921წწ.)“.
2. ქ.ც.ა. ფონდი №120; საქმე №2778.
გაზეთები:
 1. „კლდე“ 1920წ. 30 მაისი, №22; 31 ივლისი, №40;
 2. „ხალხის მეგობარი“ 1920წ. 4 ივლისი;
 3. „ერთობა“ 1920წ. 15 ივნისი.
 4. „დიდი საქმე“, 1920წ. 7 ივლისი. (ს. ფირცხალავას სტ.)

Documents connected with Batumi district joining to Georgia (1920)

Summary

At the end of World War I, world's future fate issues were solved on Paris Treaty of Peace. Civil war was followed by the socialist revolution in Russia. In world chaos small nations turned out in difficult situation. In article is a reviewed unique archival document connected with Batumi district joining to Georgia.

გურული მოხალისეები 1877-1878 წლების ომში

გურული ფოლკლორის ერთ-ერთი საუკეთესო სიმღერის „ალი ფაშა“-ს ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია:

„ალი ფაშამ გვილაღატა, ჩაგვიყვანა კვირიკეთში,
იმან ფულები აიღო, ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელში,
კაი არც მას დამართია, ბანრით ჩაათრიეს გემში,
მისი ყვირილი ისმოდა სუფსის გაღმა ბაილეთში“

ცნობილი ქართველი კომპოზიტორი და მუსიკის ისტორიის მკვლევარი დიმიტრი არაყიშვილი ამ სიმღერის შესახებ წერდა: „ალი ფაშაზე ვიცით, რომ ის იყო აჭარის მფლობელი. . . მოსყიდულმა რუსების მიერ, უღალატა გურულებს და განსაკუთრებით აჭარლებს. მაგრამ არც მას დააყარეს ხეირი რუსებმა. თოკით შეკრულს მიათრევდნენ გემზედ, ისე რომ მისი ყვირილი ისმოდა სუფსის გაღმა ბაილეთში. ეს ამბავი ეკუთვნის ალბათ იმ დროს, როდესაც რუსის ჯარი ებრძოდა გურიას“.

ცნობილმა ისტორიკოსმა ი. სიხარულიძემ დააზუსტა ალი ფაშასთან დაკავშირებული მთელი ისტორია და გაარკვია შემდეგი:

- 1) ალი ფაშა მთელი აჭარის მფლობელი კი არა, ქობულეთის ბეგი იყო;
- 2) მან „უღალატა“ არა გურულებს და აჭარლებს, არამედ სულთნის ხელისუფლებას;
- 3) გათოკილ ალი ფაშას სტამბოლისკენ მიმავალ გემზე „მიათრევდნენ“ არა რუსები, არამედ ოსმალები;
- 4) ეს ფაქტი ეკუთვნის არა იმ დროს როცა „რუსის ჯარი ებრძოდა გურიას“ (დ. არაყიშვილი ალბათ გულისხმობს 1841 წლის აჯანყებას), არამედ იმ პერიოდს, როცა 1877-1878 წლების ომში რუსეთის განმათავისუფლებელი ლაშქარი ქართველ პატრიოტებთან ერთად გმირულად ებრძოდა ოსმალო დამპყრობლებს, რასაც შედეგად საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილის, მათ შორის ქობულეთ--აჭარის გათავისუფლება მოჰყვა (გაზ. „ბრძოლის დროშა“: 1956; 3 VI 66).

1877-1878 წლების ომის ისტორია მრავლად იცნობს სამშობლო ტერიტორიების ოსმალთაგან გათავისუფლებისათვის ქრისტიანი თუ მაჰმადიანი ქართველების ერთობლივი ბრძოლის ეპიზოდებს. ამჯერად გურულ მოხალისეთა სამხედრო შემართების რამდენიმე ეპიზოდზე გავამახვილებთ ყურადღებას.

საქართველო და საერთოდ კავკასია, აგრესიული ქვეყნების ყურადღებას ძველთაგანვე იზიდავდა და განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა მათ გეგმებში.

კავკასია სტრატეგიულ მნიშვნელობასთან ერთად XIX საუკუნის მეორე ნახევარში უდიდეს როლს ასრულებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობებში. ყირიმის ომის შემდეგ განახლდა სატრანზიტო გზის ფუნქციონირება ამიერკავკასიით. გემების რეგულარული მოძრაობა დაწესდა ფოთსა და კონსტანტინეპოლს შორის, აუმჯობესებდნენ სახმელეთო გზებს და ხიდებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფოთის ნავსადგურისა და ქალაქის მშენებლობა-კეთილმოწყობას. მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, თურქები სახსრებს არ ზოგავდნენ გზების გაუმჯობესებისათვის, მათ ეხმარებოდათ ინგლისელი და ფრანგი ინჟინრები.

სატრანზიტო მნიშვნელობის გაზრდის მიზნით რუსეთის მთავრობამ დააჩქარა უკვე დაგეგმილი ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა. იგი ექსპლუატაციაში შევიდა 1871 წელს. მკვეთრად გამოცოცხლდა რუსეთის ნაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების საქმიანობა, რომლის გემები ევროპიდან მხოლოდ იმ ტვირთს ეზიდებოდნენ, რომელიც ამიერკავკასიის ტრანზიტით წავიდოდა (მეგრელიძე შ., 1974:52).

რუსეთის ხელისუფლება კარგად გრძნობდა, რომ ამ ომში წარმატება დიდად იყო დამოკიდებული ადგილობრივი მოსახლეობის ორიენტაციაზე, ამიტომ აუცილებლად ჩათვალა არმიასთან ერთად საომარ მოქმედებაში მონაწილეობა მიეღო ქართულ მილიციასაც, რომლის ნაწილი გავიდოდა ბრძოლის ველზე, ხოლო ნაწილი დარჩებოდა ადგილზე წესრიგის დასამყარებლად. „როგორ მოიქცვიან ისინი, რა კაცობასა და ვაჟკაცობას გამოიჩინენ, ეს იმათ ქართველობაზე, იმათ გამჭრიახობაზე იქნება დამოკიდებული“-ო, ამბობს ს. მესხი. როგორც საომარი მოქმედებების უამრავი მაგალითი გვაუწყებს, ქართულმა მილიციამ ჭეშმარიტი გმირობა გამოავლინა და ღირსეული წვლილი შეიტანა უცხოელთაგან მიტაცებული ქართული მიწების გამოხსნაში (სურმანიძე რ., 2000:13).

ქვემო გურიის გამუსულმანებული მოსახლეობა დაინტერესებული იყო ამ ომში რუსების გამარჯვებით, სურდათ თურქთა მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის დაბრუნება და დაცილებული ქართველი ძმების ისევ შეერთება. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ომის დროს სულთნის განსაკუთრებული ღონისძიების მიუხედავად თითქმის ჩაიშალა ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჯარის შეგროვება.

ქართველ მოხალისეთა ომში ჩაბმა რუსეთისათვისაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანა იყო; გენერალ-მაიორი დუხოვსკოი კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლობისადმი წარდგენილ ბრძანებაში მიუთითებს ადგილობრივი მილიციის საჭიროებაზე და აღნიშნავს, რომ კავკასიის ხალხებში საკმაოდ არიან ადამიანები, რომლებიც არა მარტო გაბედულებით გამოირჩევიან, არამედ სამხედრო საქმის დაუფლებისადმი, დისციპლინასა და წესრიგის

შეთვისებისადმი დიდ უნარს იჩენენ. მისი აზრით, მათ სრული უფლება ჰქონდათ მოსახლეობისაგან შეექმნათ არა ნაკლებ 147 ასეული.

ომის გამოცხადების პირველ დღეებიდანვე გურიის ლაშქარი გამოირჩეოდა შემართებითა და შეუპოვრობით. მუხაესტატესა და ხუცუბნისათვის წარმოებულ ბრძოლებში სხვებთან ერთად თავი გამოიჩინა რაზმმა შტაბსკაპიტან გურიელის მეთაურობით. გურიელის მილიცია ბრძოლის ასპარეზს კარგად იცნობდა და ამიტომ ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო. ოზურგეთის რაზმს ამიერიდან ქობულეთის რაზმი ეწოდა.

განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა საზღვრების გადალახვის მეორე დღეს, 25 აპრილს. ქობულეთის (ე.ი გურიის) რაზმი ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. მონაწილეთა ცნობით მარცხენა ხელში დაჭრილ ურიადნიკ შარაშენიძეს მარჯვენა ხელში ეჭირა თოფი და შეუჩერებლად „სპობდა“ მტერს. გურულ მებრძოლთა გმირობაზე საზღვარგარეთის პრესაც კი ალაპარაკდა (მეგრელიძე შ., 1974:74).

რუსეთის სარდლობა ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნილ მილიციას იყენებდა მშვიდობიანობის დროსაც. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1862 წელს დაარსდა ქუთაისის ცხენოსანი არარეგულარული პოლკი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ გურიის მილიციის ასეული, ისინი გამოყენებული იყვნენ საზღვრის დასაცავად.

რასაკვირველია, ქართული მილიცია ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი იყო რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში (1877—1878 წლები). ქართული სამილიციო ნაწილები თითქმის მთლიანად მოხალისეებისაგან დაკომპლექტდა. მოხალისეთა ყველაზე მეტი რაოდენობა გამოცხადდა საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან (გურია, იმერეთი, ჯავახეთი). ეს გასაგებიცაა, ვინაიდან პირველ რიგში სწორედ ეს რაიონები განიცდიდნენ თურქეთის სიახლოვით გამოწვეულ შევიწროებათა მთელ სიმძიმეს (გ. ხოხლენკო, 1963; 12).

გაზეთ „ლენინის დროშა“-ს ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ნარკვევი საბრძოლო თანამეგობრობაზე“ - ავტორი ერთ დამახასიათებელ და საინტერესო ფაქტს ასახელებს: ომის პირველ დღეს, როდესაც რუსეთის ჯარმა მდინარე ჩოლოქზე გადასვლა დაიწყო, რუსთა ჯარების რაზმეულის მეთაურთან გამოცხადდა 16 გლეხი სოფელ ლიხაურიდან (ოზურგეთი) და ნებართვა ითხოვა – მათთან ერთად მიეღო მონაწილეობა თურქ-ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა; ეს გლეხები ხუთი თვის მანძილზე მამაცურად იბრძოდნენ, ხოლო 1877 წლის 23 ოქტომბერს, სოფელ ქაქუთთან მომხდარ ბრძოლაში მნიშვნელოვანი პოზიციის დაცვისას, თექვსმეტივე გმირული სიკვდილით დაეცა.

მსგავსი მაგალითები სხვაც ბევრი იყო, რაც თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომში ქართველი ხალხის მონაწი-

ლეობას ნამდვილად სახალხო, განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს აძლევდა.

ოფიციალური სამხედრო ისტორიკოსები ყოველნაირად ცდილობდნენ მიეჩქმალათ ამიერკავკასიის ხალხების, კერძოდ კი ქართველებისაგან შექმნილი სახალხო ლაშქრის როლი და საბრძოლო დამსახურება, მაგრამ იგი იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი იყო, რომ ცალკეული მხედართუფროსებისა და ომის მონაწილე ოფიცრების მოგონებებსა და წერილებში მაინც ვპოულობთ საყურადღებო ცნობებს მათი საგმირო საქმეების შესახებ. რუსეთის ჯარის ოფიცერი კოლუბიაკინი (იბრძოდა ქობულეთის რაზმში) მაღალ შეფასებას აძლევს ადგილობრივი ჯარისკაცების საბრძოლო თვისებებს: „სალაშქრო ცხოვრებასთან შეუგუებელი ფეხსაცმელი საშუალებას აძლევს გურულებს ადვილად ავიდნენ ციცაბო კლდოვან მაღლობებზე. თავი შეხვეული აქვთ ყაბალახით, ფართო ქამარზე ჰკიდიათ ყოველივე აუცილებელი, რაც საჭიროა ბრძოლისა და ლაშქრობებისათვის, ტყავის დასაკეცი პატარა ჭიქის ჩათვლით. . . ჩვენ გვქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავით გურული მილიციის უპირატესობასა და ღირსებაში, რომელიც გამოდიოდა თავისი ნაციონალური ჩაცმულობით, რაც მათთვის სალაშქრო ჩაცმულობაც არის, და წარმოადგენდა მრავალწლოვანი სამხედრო გამოცდილებით შეიარაღებულ შავი ზღვის იდეალურ ქვეით ჯარისკაცს” (გაზ. „ლენინის დროშა”: 1965; 21 VIII).

მსივე თქმით ლაშქრის ფორმირება ადგილობრივი მართლმადიდებელი მოსახლეობისაგან მიმდინარეობდა შეზღუდული ზომით. „ჩვენ რომ გვყოლოდა იმ რაოდენობის ლაშქარი, რომლის გამოყვანაც მოსახლეობას შეეძლო, ამბობდა იგი, მაშინ უფრო მიმზიდველ და საუკეთესო ნაწილებს გამოვყოფდით საუკეთესო ხაზზე და შევძლებდით დანარჩენი მილიციისათვის მიგვენდო ზურგის სამსახური და გზების დაცვა დენიბეკოვის ყორღანიდან თვით ოზურგეთამდე, აგრეთვე ნიკოლაევსკიდან (შეკვეთილი) ფოთამდე, რაც საშუალებას მოგვცემდა უშუალოდ ციხისძირის სიმაგრესთან თავი მოგვეყარა რიონისპირა მხარის მთელი საველე ჯარისათვის”.

ქართველი მოხალისეებისაგან შექმნილი საჯარისო ერთეულები, ასეულები, ცხენოსანი და ქვეითი ლაშქრები, ცხენოსანი არალეგალური პოლკები, ცალკეული ასეულები და დივიზიები. ომის პერიოდში სულ იყო 25 000-ზე მეტი ქართველი ოფიცერი და მოლაშქრე, რაც მთელს კავკასიაში შეკრებილი მილიციის ნახევარზე მეტს შეადგენდა. მათი შენახვის ხარჯების ნაწილს მოსახლეობა თავის-თავზე იღებდა.



ქართულმა მილიციამ გაამართლა რუსეთის სარდლობის იმედები. ქართველები, როგორც ადგილმდებარეობის კარგი მცოდნენი, ჩვეულებრივ ავანგარდში იბრძოდნენ, მტერს რისხვად ატყდებოდნენ, მაგრამ დიდ მსხვერპლსაც იღებდნენ. ქართველმა მხედრებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი არტაანის, ყარსის, პენიაკის, ოლთასის ალებისას (ხოხლენკო გ., 1963:15).

დღესავით ნათელია, რომ გურია, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად შეძლებისდაგვარად ცდილობდა დახმარებოდა აჭარას. აქაც იყო შექმნილი მილიციის ნაწილები (გურიის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ქვეითი ლაშქარი). შეიქმნა აგრეთვე „ქუთაისისა და გურიის ლაშქრების ნაკრები ბრიგადა“-თავისი საკუთარი სარდლობით.

ხმაღმემართული აჭარაც გურიას სახავდა მტკიცე მოკავშირედ. ხშირი იყო გურიისა და აჭარის მესვეურთა შორის მოყვრულ-ნათესაური კავშირის დამყარება. 1789-1792 წელს სიმონ III გურიელის ასული კესარია, რძლად დაისვა აჭარის წინამძღოლმა სელიმ ხიმშიაშვილმა. ამ პერიოდში ბევრი სასიქადულო ვაჟკაცი გადადიოდა აჭარაში და ცდილობდა დახმარებოდა ადგილობრივებს გათავისუფლებისათვის ბრძოლებში. მათ შორის იყო სოფელ ბჟოლიეთის (ჩოხატაური) მცხოვრები მირიან კეკელიძეც. იგი იარაღასხმული ეახლა სელიმ ხიმშიაშვილს სოფ. ნიგაზეულში (შუახევის რაიონი), საკუთარ რეზიდენციაში. ხიმშიაშვილი მოხიბლულა ახალგაზრდის ტანადობით, გონებრივი გამჭრიახობითა და გაბედულებით, მოწონებია მისი სიტყვა-პასუხი, ადგილ-მამული უბოძებია და აქაურ სირაძის ქალზე დაუქორწინებია. მალე მირიანი თავისი ხაზინის გამგედ დაუნიშნავს. ახალგაზრდა გურული მშობელ მამასავით შეთვისებია ს. ხიმშიაშ-

ვილს, ისლამი მიუღია და მუსტაფად წოდებულა. მუსტაფა ხაზინდარი აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ ბრძოლებში, რომელსაც სელიმის აჭარა აწარმოებდა XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე. ხაზინდარმა მუსტაფა ალამ თავი ისახელა 1877—78 წლების ომში (გაზ. „ბრძოლის დროშა“: 1961; 25 VIII, 101).

საარქივო მასალებში მოიპოვება ომის დროს რუს-ქართველთა მხარეზე გადასულთა 35 კაციანი სია. მათ შორისაა ოსმან მარღანი, ქეზეთ იმნაიშვილი, ზეჟირ ჭყონია, ალი გეორგაძე, სუნა ტაკიძე, ალი ჯაფერ ოლლი, ზენდ ზოიძე, ალი მემარნე, ივანე ლიგაჩოვი, ნიკოლაი ცეკა, გრიგოლ ანასტაში, კასპარ ივანეს ძე და სხვები.

ომის დასაწყისშივე ზოგიერთი სოფლის (მაგ. ქაქუთის მაჰმადიანური მოსახლეობა) მოსახლეობამ თავი რუსეთის ქვეშემრდომად გამოაცხადა. როდესაც ფრონტმა ჩოლოქიდან კიტრიშამდე გადაინაცვლა, სოფელ ქობულეთის 26 ოჯახი რუსეთის მხარეზე გადავიდა. ესე გურიელს (ადგილობრივი მოსახლეობისაგან შექმნილი ე.წ. გურიის პირველი ლაშქრის მეთაური) 125 ადამიანი სოფელ ბაილეთში (ოზურგეთი), თავის მამულში დაუსახლებია და მათგან 50 კაციანი მილიციის რაზმი შეუქმნია.

ომში თავი ისახელა გურიის ერისთავთა ღირსეული შტოს წარმომადგენელმა ჯამბაკურ (ჯაბა) ერისთავმა. თავი გამოიჩინა აგრეთვე კონსტანტინე (კონია) დავითის ძე ერისთავმა. (დაიბადა 1859 წელს, სოფელ ბირკნალაში, ჩოხატაურის მახლობლად, შეძლებული თავადის ოჯახში). უცხოეთიდან (სასწავლებლიდან) დაბრუნებული 18 წლის კონია ერისთავი მოხალისედ ჩაენერა ქუთაისის ცხენოსანთა რაზმში. იბრძოდა გენერალ ოკლობჟიოსა და პოლკოვნიკ გ. ყაზბეგის უშუალო ხელმძღვანელობით (სიხარულიძე ი., ძნელაძე ლ., 2013:65).

გურული მოხალისეების ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ 1877—1878 წლების ომში სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ფურცელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კილაძე მ., „ნარკვევი საბრძოლო თანამეგობრობაზე“, გაზეთი „ლენინის დროშა“, 21 VIII, 16, 1965.
2. მეგრელიძე შ., „საქართველო აღმოსავლეთის ომებში“; თბილისი, 1974.
3. სურმანიძე რ., „წერილები აჭარაზე“; ბათუმი, 2000.
4. სიხარულიძე ი., ლ. ძნელაძე „გურიის ერისთავ-შერვაშიძეები“, თბილისი 2013.

5. სიხარულიძე ი., „მირიან კეკელიძე – მუსტაფა ხაზინდარი“, გაზეთი „ბრძოლის დროშა“, 25 VIII, 101, 1961.
6. სიხარულიძე ი., „ალი ფაშა“, გაზეთი „ბრძოლის დროშა“ 3 VI, 66, 1956.
7. ხოხლენკო გ., „რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა“; თბილისი, 1963.
8. ხოხლენკო გ., „აჭარაზე თურქთა ბატონობის პერიოდში ქობულეთ-გურიის ურთიერთობის საკითხებისათვის“, გაზეთი, „ლენინის დროშა“. 30. VII, 14, 1965.

Natia Kalandadze

Gurian volunteers in 1877-1878 years Russian-Turkey war

Summary

1877-1878 years war history knows Christian or Muslim Georgians joint fight ephisodes for release homeland teritorries from Ottomans.The article focuses on very interesting ephisoeds Gurian volunteer’s military attitude.

აფხაზთა მუჰაჯირობა აჭარაში

1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებს უშუალოდ უკავშირდება ხალხთა დიდი გადასახლების პროცესი, რომელიც მუჰაჯირობის სახელით დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მუჰაჯირობის პროცესი შეეხო კავკასიაში მცხოვრები არაერთი ერისა და ეროვნების წარმომადგენელს. განსაკუთრებით ტრაგიკული იყო მუჰაჯირობის შედეგები აფხაზი ხალხისათვის.

აჭარაში აფხაზების დასახლება XIX ს. პირველ ნახევარში დაიწყო, მაგრამ მან მასიური ხასიათი მიიღო XIX ს-ის 60-70-იან წლებში. მათი აქ დამკვიდრება მუჰაჯირობის პერიოდს უკავშირდება. მუჰაჯირობა ყველაზე ტრაგიკულ მოვლენადაა მიჩნეული აფხაზი და კავკასიის სხვა ხალხების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მუჰაჯირობა - ნერს შ. ინალ-იფა, ეს არის არა უბრალოდ უბედური ეპიზოდი, არამედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედია, რამაც გამოიწვია აფხაზთა სწრაფი შემცირება თავისსავე სამშობლოში და დააყენა აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე (აჩუგა თ., 1988: 3,4).

აფხაზეთის ისტორიაში ცნობილია გადასახლების 5 ტალღა: 1.1840-1841 წწ., გენერალ მურავიოვის დამსჯელი ექსპედიციის შემდეგ; 2. 1853-1856 წწ., ყირიმის ომის დროს; 3. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864) შემდეგ, 4. 1866 წ. ლიხნის აჯანყების პერიოდში, 5. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს (Копешавидзе Г., 1985:3).

ცნობილია, რომ კავკასია და მათ შორის აფხაზეთი უძველესი პერიოდებიდან წარმოადგენდა სხვადასხვა ჯურის აგრესორთა შემოსევების ობიექტს. ელინები, რომაელები, სპარსელები, არაბები, ოსმალები გამუდმებით ეწეოდნენ დამპყრობლურ ომებს აფხაზი და სხვა ხალხების დასამონებლად. მე-19 ს. დასაწყისში, კერძოდ 1810 წელს, აფხაზეთის სამთავრო ოფიციალურად შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, რის შემდეგაც დაიწყო აფხაზთა შფოთიანი ცხოვრება. მართალია, აფხაზეთის მთავარმა გიორგი შერვაშიძემ (ჩაჩბა) და დიდებულთა ნაწილმა აღიარეს ცარიზმის პროტექტორობა, მაგრამ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით გლეხობამ, უარი განაცხადა რუსეთის ქვეშევდომობაზე. დაიწყო ანტიკოლონიური გამოსვლები.

აფხაზეთის საბოლოო დამორჩილების გზაზე ცარიზმი საჭიროდ თვლიდა მკვიდრი მოსახლეობის გადასახლებას იმპერიის საზღვრებს გარეთ. კავკასიის მეფისნაცვალ იმპერატორ ალექსანდრე II-ს თხოვდა - კავკასიის შავიზღვისპირეთის საბოლოო „განმენდას“ მკვიდრი მოსახლეობისაგან. სწორედ ამ პერიოდს

ემთხვევა ასიათასობით აფხაზურ-ადილეური და სხვა კავკასიელი ხალხის მასობრივი, ძალდატანებითი აყრა-გადასახლება მშობლიური მიწა-წყლიდან. 1864 წლის 2 აპრილს რუსეთის სამხედრო შტაბში მისული უბიხების, შაფსულების და საძების წარმომადგენლებს, რომლებიც ითხოვდნენ სამშობლოში დარჩენის ნებართვას, მიეცათ მკაცრი მითითება, რომ ერთი თვის განმავლობაში გადასახლებულიყვნენ ოსმალეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში მთიელები ჩაითვლებოდნენ სამხედრო ტყვეებად და მათ მოექცეოდნენ საომარი წესების შესაბამისად. 19 აპრილს რუსეთის ჯარებს მთებში უკვე აღარ დახვდათ მოსახლეობის ნაწილი, თუმცა მთიელების დიდი ნაწილი არ აპირებდა სამშობლოს დატოვებას. მათ გადაწყვიტეს ბოლომდე ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ მთიელები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ მამა-პაპათა მიწა-წყალი და უცხოეთში გადახვეწილიყვნენ. მთებსა და უღრან ტყეებში გახიზნული მოსახლეობის ამოსაყლელად დაიგზავნა საგანგებო დამსჯელი რაზმები, რომლებმაც ერთგულად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა - არ დაინდეს არც ბავშვები, არც ქალები და არც მოხუცები (აჩუგა თ., 1988:12). ივანე ჯავახიშვილის თქმით „მეკომურნი აპყარეს, ხოლო 1867 წ. აფხაზეთის აჯანყების შემდგომ, ნებელდის მოსახლეობის უკანასკნელი ნაწილიც დიდით პატარამდე, დედაბუდიანად აყრილი და ოსმალეთში განდევნილი იყო“ (ივ. ჯავახიშვილი, 1989).

როგორც 1864 წლის, ასევე 1866-1867 წლების მუჰაჯირობის პერიოდში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკებას მართავდნენ და საგანგებო გეგმებსაც ადგენდნენ - თუ რამდენი კაცი, როდის და რა საშუალებით გადაესახლებინათ აფხაზეთიდან ოსმალეთში.

რუსეთისა და ოსმალეთის მთავრობათა თანამშრომლობა აფხაზებისა და სხვა კავკასიელი ხალხების მუჰაჯირობის საქმეში შემთხვევითი არ ყოფილა. თუ რუსეთი აბორიგენი მოსახლეობის გადასახლებით კავკასიის კოლონიზაციის საქმეს „ანესრიგებდა“, თურქეთის ხელისუფალთ გამიზნული ჰქონდათ რუსეთის იმპერიიდან გამოქცეული მთიელები დაებინავებინათ ოსმალეთის დაუსახლებელ და ნაკლებად დასახლებულ ოლქებში, აგრეთვე რუსეთის საზღვრისპირა რაიონებში. ამ კონტინგენტს სულთანს გამოიყენებდა ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსალოდნელ ომში (აჩუგა თ., 1988:15).

ახალი უბედურება დაატყდათ აფხაზებს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში. ომითა და რუსეთის ბიუროკრატიული ხელისუფლებით შეწუხებული გლეხობა აჯანყდა. ცარიზმმა გლეხთა ეს გამოსვლა ცისხლში ჩაახრშო და მოსახლეობა განაიარაღა. მაგრამ მალე რუსთა ჯარის სარდლობამ სამხედრო ნაწილები მთებში გახიზნა. ბედის ანაბარა მიტოვებულ ქალაქებსა და

სოფლებს ოსმალები შეესივნენ. ხოლო როცა ბრძოლის სასწორი რუსეთის მხარეს გადაიხარა, დამარცხებული ოკუპანტები უკან იხევდნენ, სოფლებს აოხრებდნენ და თან უიარაღო მოსახლეობას ძალით მიერეკებოდნენ ზღვის ნაპირისაკენ, იქედან კი გემებით მიჰყავდათ ოსმალეთში. „თურქებმა, - ვკითხულობთ აფხაზ მუჰაჯირთა ერთ-ერთ წერილში, სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენ დაპატიმრება დაგვიწყეს... როდესაც თურქებს საქმე ცუდად წაუვიდათ უკან დახევის დროს, ჯარი ჩვენს სოფელს შემოესია... და ხალხს ძალად მიერეკებოდნენ ნაპირებისაკენ, გაქცეულებს კი ხვრეტდნენ (მეგრელიძე შ., 1964:4). შიმშილი და ეპიდემია მუსრს ავლებდა სამშობლოდან მოწყვეტილ ტყვეებს. ოსმალს ჯარისკაცები არ ერიდებოდნენ გემების გათავისუფლებას „უსარგებლო ტვირთისაგან“. თურქებს გემებით მიჰყავდათ მოხუცებიც, ახალგაზრდებიც, და ბავშვებიც, მაგრამ როგორც კი გემი ზღვის სიღრმეში გაუჩინარდებოდა, იწყებოდა აფხაზი ტყვეების „დახარისხება“. ყველა მოხუც მამაკაცს, ვისაც კი იარაღის ტარება არ შეეძლო, მოხუც ქალებს, რომლებიც ჰარამხანისათვის არ გამოდგებოდნენ, ბავშვებს, ვისაც დედის მზრუნველობა ესაჭიროებოდათ გემებიდან ზღვაში ყრიდნენ (აჩუგა თ. 1988:17).

სერგეი მესხის ცნობით მარტო 1877-1878 წწ. მუჰაჯირობისას აფხაზეთიდან გასახლებულ იქნა 50 ათასი აფხაზი. ლიტერატურაში გხვდება სხვა ციფრებიც. სადავოა სულ რამდენი ათასი კაცი გადაასახლეს აფხაზეთიდან XIX ს. მეორე ნახევარში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მუჰაჯირობამდე მჭიდროდ დასახლებული მხარე 70-იანი წლების ბოლოსათვის თითქმის დაცარიელდა (აჩუგა თ. 1988:18-19).

ოსმალეთში ძალდატანებით გადასახლებული აფხაზები მთავრობამ „მოლაღატეებად“ მონათლა და აუკრძალა მათ სამშობლოში დაბრუნება. ხოლო ვინც გადასახლებას გადაურჩა, ისინი მეფის წინაშე „დამნაშავეებად“ გამოაცხადეს, თვით სახელწოდება „აფხაზეთი“ ხმარებიდან ამოიღეს და მას სოხუმის ოლქი უწოდეს (აჩუგა თ. 1988:19).

ასეთ სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა აფხაზეთი და მისი მოსახლეობა, როცა აფხაზთა ერთი ნაწილი აღმოჩნდა აჭარის ტერიტორიაზე (აჩუგა თ.1988:20), თუმცა აჭარის ზღვისპირეთში მათი დასახლება XIX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისიდან მიმდინარეობდა (აჩუგა თ., 1988:21).

ემიგრანტები აჭარაში არა მარტო უშუალოდ აფხაზეთიდან გადმოსახლების შემდეგ რჩებოდნენ საცხოვრებლად, არამედ ოსმალეთში გადასახლების შემდეგაც ბრუნდებოდნენ აჭარაში იმ იმედით, რომ აქედან ისევ მშობლიურ მიწას დაუბრუნდებოდნენ, მაგრამ ჯერ ოსმალეთის, შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლება არ აძლევდა სამშობლოში დაბრუნების ნებას, რის შემდეგაც მათი ნა-

წილი აჭარაში რჩებოდა საცხოვრებლად, ნაწილი კი უკან ოსმალეთში ბრუნდებოდა (აჩუგბა თ. 1988:22).

წერილობითი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ თურქეთის ხელისუფლებას აფხაზები ძირითადად დაუსახლებია ქალაქ ბათუმსა და მის შემოგარენში. 1860-იანი წლების დასაწყისში აფხაზები დასახლებულან: კალტიბაურში, ყუშადიეში (ჩელტა), იმამიეში (სალუბაური), ბედენიეში, ფეიზიეში, სოუქსუში, იჯადიეში, ფერიეში, შუქრიეში, ლუთფიეში, ათიეში, ადლიეში, ნურიეში, ერგეში, მაჰმუდიეში, ნამანდროში, უზათიეში, ურეხში და სხვა (სიჭინავა ვ. 1958:53; აჩუგბა თ. 1988:28). დაახლოებით იმავე პერიოდიდან აფხაზები ცხოვრობდნენ გონიოში, ჭარნალში, მახინჯაურში, ჩაქვიში, ციხისძირში, ბობოყვათში, ქობულეთში, ფიჭვნარში და სხვა დასახლებულ პუნქტებში. ემიგრანტებისათვის უმეტესად დაუსახლებელი მიწები გამოუყვიათ, კერძოდ სახელმწიფოს კუთვნილი, ე.წ. ერაზი მირიეს კატეგორიის მიწები (კავკასიის მთიელთა ოსმალეთში დაფუძნების საქმეს ემსახურებოდა კანონი, რომელიც ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ) შემუშავდა. ამ კანონის მიხედვით კავკასიელ ემიგრანტებს უსასყიდლოდ ეძლეოდათ „ერაზი მირიეს“ კატეგორიის თავისუფალი, ნაყოფიერი მიწები. ახალმოსახლეები გარკვეული ვადით თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან და სამხედრო ბეგარისაგან (ავალიანი ა. 1960). დასახლებიდან 20 წლის გასვლის შემდეგ მუჰაჯირებს მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გაყიდვის უფლება ეძლეოდათ. კერძო საკუთრებად ქცეული მიწები, ე.წ. „მულქი“, ოსმალთა ბატონობის პერიოდში აჭარაში გამონაკლისის სახით არსებობდა (ავალიანი ა. 1960:104-106). ამგვარი შეღავათები უკავშირდებოდა ლტოლვილთა აჭარის ტერიტორიაზე დასახლების სურვილს და ოსმალთა სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს. აფხაზი მუჰაჯირების მიმართ ოსმალთა მიერ გატარებული მიწის კანონი მოგვიანებით ცარიზმის მოხელეებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. აჭარაში აფხაზ მუჰაჯირთა ძირითადი ნაწილის დასახლების ვადა 20 წელს არ აღწევდა. რუსეთის ხელისუფლებამ ქალაქში, განსაკუთრებით კი მის ცენტრალურ უბნებში მცხოვრები აფხაზების უმეტესობა აასახლა და ბედის ანაბარა მიატოვა. მათი ნაწილი იძულებული გახდა ისევ თურქეთში გადასახლებულიყო, რადგან აფხაზეთში დასახლების უფლება არ ეძლეოდათ. მცირე ნაწილი კი ბათუმთან ახლო მდებარე სოფლებში დასახლდა. განსაკუთრებით დაზარალებდნენ ქალაქის ერთ-ერთი უბნის - „ნურიეს“ მცხოვრებნი (აჩუგბა თ.1988:29).

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა წინაპრები აფხაზეთის სხვადასხვა რეგიონებიდან არიან გადმოსახლებული. ხ. ბლაჟბა აჭარის აფხაზებს ორ ჯგუფად ყოფს: ფერიელ და ანგისელ აფხაზებად. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ანგისელი აფხაზები გადმოსახლებული არიან სოფ. თხუბუნიდან (მდ. კელასურის მარცხენა

სანაპირო) და თავიანთ თავს „სოხუმელ აფხაზებს“ უწოდებენ, ხოლო ფერიელე-ბი-საძენიდან (გაგრა-ადლერი). დაახლოებით ამავე აზრისაა ე. კილბაც. ორივე ავტორი მიიჩნევს, რომ ანგისელთა მეტყველება ახლოსაა აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტთან, ხოლო ფერიელთა მეტყველება აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტთან. საკუთრივ აჭარის აფხაზებიც წარმომავლობის თვალსაზრისით ფერიელ აფხაზებს ასხვავებენ ანგისელებისაგან. ფერიელეები ანგისელებს უწოდებენ ბზიფის აფხაზებს - „ბზიფაა აფსუა“, ხოლო ანგისელი აფხაზები ფერიელებს ჩერქეზ აფხაზებს - „ჩერქეზ აფსუა“ (აჩუგა თ.1988:36). აჭარაში მცხოვრები ჩერქეზ აფხაზთა შთამომავლები, რომლებიც ძირითადად სოფ. ფერიაში ცხოვრობენ, საძენიდან ანუ „მცირე აფხაზეთიდან“ უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი. ეს ტერიტორია ქართულ წყაროებში ჯიქეთის, ხოლო იქ მცხოვრებნი ჯიქების სახელწოდებითაა ცნობილი. 1886 წ. მონაცემებით ბათუმის ოკრუგში სულ 915 აფხაზი იყო აღრიცხული (თოფჩიშვილი რ. 2007). საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით აჭარაში სულ 1558 აფხაზი ცხოვრობს, მათგან – 800 ქ. ბათუმში; 15 ქედის რაიონში; 50 ქობულეთის რაიონში; 25 შუახევის რაიონში; 645 ხელვაჩაურის რაიონში; 23 ხულოს რაიონში (საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ.1, თბ. 2003).

აჭარაში, ქართველებსა და აფხაზებს შორის საუკუნოვანი თანაცხოვრების პირობებში უბრალო გაუგებრობის არცერთი შემთხვევაც კი არ დასტურდება. აფხაზები აქტიურად მონაწილეობენ რეგიონის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. საფუძვლიანად შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობა არის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის, ეროვნებათა-შორისი ურთიერთობის კლასიკური მაგალითი. ქართველები და აფხაზები შესანიშნავად იცნობენ ერთმანეთს. ყოველი აფხაზი ან ის ქართველი, რომელსაც დედა, ბებია ან ოჯახის რომელიმე წევრი აფხაზი ჰყავს, სიამოვნებით საუბრობს თავის გენეტიკურ წარსულზე. აჭარაში მცხოვრები ქართველები აფხაზებს თვლიან პატიოსან, მშრომელ, წესიერ, სტუმართმოყვარე ხალხად (გვანცალაძე თ., ტაბიძე მ. 2011:27). ყოველივე ეს ქართველების და აფხაზების ურთიერთნდობა-ურთიერთპატივისცემაზე მიუთითებს და წარმოდგენას გვიქმნის ქართველ-აფხაზთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციულ მექანიზმებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავალიანი. ა., მინათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960
2. აჩუგა თ., აფხაზთა დასახლება აჭარაში. ბათ., 1988
3. გვანცალაძე თ., ტაბიძე მ. აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა იდენტობა. თბ. 2011

4. თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბ.,2007
5. მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან თბ., 1964, გვ. 4.
6. საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ.1, თბ. 2003
7. სიჭინავა ვ. ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958
8. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ისტორიული რარიტეტები, თბ.1989
9. Копешавидзе Г., Хозяйственно-бытовой уклад Абхазов, проживающих в Аджрии. Тб.,1985

Ketevan Iakobadze
Dominik Gutmeyr

Abkhazian Muhajir in Ajara

Summary

The results of 1877-1878 years Russia-Turkey war directly associated to the people's great migration process, which has been established the name Muhajir in Scietific literatura. Muhajir process affected to the many nations and nationalitis representatives living in Caucasus. Most tragical was the results of Muhajir for the Abkhazians. In this article, based on scientific data is reviewed issues connected with the Abkhazian Muhajir.

ჩვენი ავტორები:

1. **ოთარ გოგოლიშვილი** - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხარტონ ახვლედიანის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე (ბათუმი, საქართველო);
2. **ინგა ელიავა** – ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო საცნობარო განყოფილების უფროსი სპეციალისტი (ქუთაისი, საქართველო);
3. **მარიანა პისკოვა** – ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის პროფესორი (ბრაგოვეგრადი, ბულგარეთი);
4. **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს ეროვნული არქივის მთავარი სპეციალისტი (თბილისი, საქართველო);
5. **მალხაზ ჩოხრაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
6. **ოთარ თურმანიძე** - მეცნიერებათა დოქტორი, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ბათუმი, საქართველო);
7. **რამაზ სურმანიძე** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
8. **ნათია მირიანაშვილი** – ისტორიის აკადემიური დოქტორი (თბილისი, საქართველო);
9. **მალხაზ აფრიდონიძე** – ისტორიის აკადემიური დოქტორი (თბილისი, საქართველო);
10. **გაიანე აივაზიანი** – მატენადარის ძველი ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ერევანი, სომხეთი);
11. **თეა ქათამაძე** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (ქუთაისი, საქართველო);
12. **ჯემალ კარალიძე** – ასისტენტ პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი, საქართველო);
13. **რეზო დიასამიძე** – აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი, საქართველო);
14. **კარინა ბაზეიანი** – სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სომხეთმცოდნეობის შირაქის ცენტრი, მეცნიერებათა კანდიდატი (ერევანი, სომხეთი);
15. **გრიგორ ალანიანი** – არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი (ერევანი, სომხეთი);

16. **ჰამლეტ სარქისიანი** – ერევნის უნივერსიტეტი, მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (სომხეთი, ერევანი);
17. **კრისტინა პოპოვა** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ბლაგოვევრადი, ბულგარეთი);
18. **მაკა ალბაგაჩიევა** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (სანკტ-პეტერ-ბურგი, რუსეთი);
19. **ლიუბოვ სოლოვიოვა** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო-მაკლასის სახელობის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი (მოსკოვი, რუსეთი);
20. **თამილა ლომთათიძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ბათუმი, საქართველო);
21. **სამველ მკრტიჩიანი** – ერევნის უნივერსიტეტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (სომხეთი, ერევანი);
22. **მერაბ მეგრელიშვილი** - აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი, საქართველო);
23. **მერაბ კეზევაძე** – ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი (ქუთაისი, საქართველო);
24. **ბიჭიკო დიასამიძე** - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
25. **ვლადიმერ წვერავა** – ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პრიფესორი (ქუთაისი, საქართველო);
26. **ფრიდონ ქარდავა** - აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (ბათუმი, საქართველო);
27. **ოლგა ჩერნიშოვა** - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; ჩრდილო-კავკასიის ფედერალური უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის დოცენტი, (სტავროპოლი, რუსეთი);
28. **თამაზ ფუტყარაძე** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
29. **ნურიე მურატოვა** – აკადემიური დოქტორი (ბლაგოვევრადი, ბულგარეთი);

30. **ნაზი დაშნიანი** – აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის მაგისტრი (ქუთაისი, საქართველო);
31. **ნათია კალანდაძე** – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი (ჩოხატაური, საქართველო);
32. **ქეთევან იაკობაძე** – აჭარის არ საარქივო სამმართველოს საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი (ბათუმი, საქართველო);
33. **დომინიკ გუტმაიერი** – გრაცის უნივერსიტეტის დოქტორანტი (გრაცი, ავსტრია).

Our authors:

1. **Otar Gogolishvili** - – doctor of historical science, assoc. professor of Shota Rustaveli State University, deputy chief of Khariton Akhvediani local Museum (Batumi, Georgia);
2. **Inga Eliava** – senior specialist National Archives documents preservation, registration and scientific-informational department (Kutaisi, Georgia);
3. **Mariana Piskova** – professor of Neofit-Rilsky university (Blagoevgrad, Bulgaria);
4. **Tinatin Jabadari** – senior specialist of National Archives of Georgia (Tbilisi, Georgia);
5. **Malkhaz Chokharadze** – full professor of Batumi State University (Batumi, Georgia);
6. **Otar Turmanidze** – doctor of science, Niko Berdzenishvili scientific-research institute (Batumi, Georgia);
7. **Ramaz Surmanidze** – MD, professor (Batumi, Georgia);
8. **Natia Mirianashvili** - academic doctor of history (Tbilisi, Georgia);
9. **Malkhaz Afridonidze** - academic doctor of history (Tbilisi, Georgia);
10. **Gaiane Aivazyán** – junior scientific worker of Ancient Manuscripts University of Matenadaran (Yerevan, Armenia);
11. **Tea Katamadze** – Acting head of National Archives preservation, registration and scientific-informational department of Kutaisi Central Archives (Kutaisi, Georgia);
12. **Jemal Karalidze** – assistant professor of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);

13. **Rezo Diasamidze** – Academic doctor of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
14. **Karina Bazeyan** – candidate of science, Shirak Armenology and Research Center (Yerevan, Armenia);
15. **Grigori Aganyan** – Archaeology and Ethnology institute (Yerevan, Armenia);
16. **Hamlet Sarkisyan** – Ph.D. docent, university of Yerevan (Yerevan, Armenia);
17. **Kristina Popova** – doctor of history (Blagoevgrad, Bulgaria);
18. **Maka Albagachieva** – doctor of historical science (St. Petersburg, Russia);
19. **Lubov Soloviova** – professor of N.N. Miklukho-Maklai institute of Ethnology and Anthropology (Moscow, Russia);
20. **Tamila Lomtadze** – scientific worker of humanities and social science studies of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
21. **Samvel Mkrtichyan** – doctor of historical science, professor, University of Yerevan (Yerevan, Armenia);
22. **Merab Megrelishvili** – academic doctor of Shota Rustavelis State University (Batumi, Georgia);
23. **Merab Kezevadze** – director of Kutaisi central archives (Kutaisi, Georgia);
24. **Bichiko Diasamidze** – professor of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
25. **Vladimer Tsverava** – assoc. professor of history department of Kutaisi Akaki Tsereteli University (Kutaisi, Georgia);
26. **Fridon Kardava** – - Ajara Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and publication and utilization department (Batumi, Georgia);
27. **Olga Chernishova** - doctor of historical science, docent of Russia History faculty of North-Caucasia federal university (Stavropol, Russia);
28. **Tamaz Putkaradze** – Ajara Archives Administration, head of foreign, public, media relations and publication and utilization department; professor of Batumi Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
29. **Nurie Muratova** – academic doctor (Blagoevgrad, Bulgaria);
30. **Nazi Dashniani** – master (Kutaisi, Georgia);
31. **Natia Kalandadze** – director of Niko Berdzenishvili local Museum of Chokhatauri Municipality (Chokhatauri, Georgia);
32. **Ketevan Iakobadze** – Ajara Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and publication and utilization department (Batumi, Georgia);
33. **Dominik Gutmeyr** –Phd, university of Graz (Austria).

ს ა რ ჩ ე ვ ი :

ოთარ გოგოლიშვილი – რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და ქართველები	3
ინგა ელიავა – ნიკოლოზ მერაბის ძე ჩიქოვანი – რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის გმირი	10
მარიანა პისკოვა – საარქივო დოკუმენტები ფილმ „შიპკის გმირები“-ის შესახებ	16
თინათინ ჯაბადარი – საქართველო და თურქეთის ქართველები (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)	25
მალხაზ ჩოხრაძე - „ახისხადან მოსულები“ შავშეთ-კლარჯეთში	36
ოთარ თურმანიძე – შერიფ ხიმშიაშვილის მემამულური მეურნეობა	41
რამაზ სურმანიძე – გენერალ - მაიორ ქრისტოფორე მამაცაშვილის უცნობი წერილი	48
ნათია მირიანაშვილი/მალხაზ აფრიდონიძე – საქართველო- სომხეთის ომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო	59
გაიანე აივაზიანი – ე. ჩელები კემურჯიანის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, როგორც ოსმალეთის იმპერიის ეროვნული უმცირესობების ისტორიის პირველწყარო	75
თეა ქათამაძე – მასალები რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის მონაწილე ქართველი ოფიცრების ბიოგრაფიისათვის	85
ჯემალ კარალიძე /რევაზ დიასამიძე – საერთაშორისო ვითარება 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინ	92
კარინე ბაზუიანი/გრიგორ აღანიანი – ქალაქ ალექსანდროპოლის თვითმმართველობის ორგანოები საარქივო მასალების მიხედვით	102
ჰამლეტ სარქისიანი – სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აეი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივის ფორმირების ისტორიიდან	107
კრისტინა პოპოვა – მონყალების დები სტავროპოლში 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში	113

მაკა ალბაგაჩივა – შოტლანდიური სასულიერო მისიის მოღვაწეობა ინგუშებს შორის (რუსეთის სახელმწიფო ისტორიული არქივის დოკუმენტების მიხედვით)	124
თამილა ლომთათიძე - „მძლეველი ფრინველის“ კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში	130
სამველ მკრტიჩიანი – საარქივო მასალები, როგორც მნიშვნელოვანი პირველწყარო სომეხთა სადღესასწაულო-ჩვეულებითი კულტურის შესასწავლად	135
მერაბ მეგრელიშვილი – მოგზაურობა თურქეთის ლაზეთში (შთაბეჭდილებები).....	142
მერაბ კეზევაძე – ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის გაძარცვა 1866 წელს და ნაძარცვი ნივთსამკაულის გადამრჩენი აჭარლები	145
ბიჭიკო დიასამიძე – გზები მე-19 საუკუნის 70-იანი წლების აჭარაში (გზა ბათუმიდან კაპანდიბამდე)	151
ვლადიმერ წვერავა – ქუთაისში აჭარელ მცველთა (ჩაფრთა) საქალაქო რაზმის ისტორიიდან	157
ფრიდონ ქარდავა – რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის ამსახველი ბრიტანული მასალები აჭარის არქივში	162
ოლგა ჩერნიშოვა – აჭარა რუსეთის გეოპოლიტიკაში: წარსული და აწმყო	167
თამაზ ფუტკარაძე/ნურიე მურატოვა – 1877-1878 წწ. ომი და ინსტიტუციონალური მეხსიერება	171
ნაზი დაშნიანი – დოკუმენტები ბათუმის ოლქის საქართველოსათან შემოერთების შესახებ (1920 წელი).....	183
ნათია კალანდაძე – გურული მოხალისეები 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში	191
ქეთევან იაკობაძე/დომინიკ გუტმაიერი – აფხაზთა მუჰაჯირობა აჭარაში	198



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 01 79, 0. შავჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge